



**გურამ თავართქილაძის სახელობის  
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო შრომათა კრებული  
№10**

**გამოდის 2011 წლიდან**



**სამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2020**

## სარედაქციო საბჭო

## EDITORIAL BOARD

**მთავარი რედაქტორი** - გიორგი მათიაშვილი,  
რექტორი, პროფესორი

**მთავარი რედაქტორის მოადგილე** - მაია უკლება,  
პროფესორი.

### საბჭოს წევრები:

გელა ალადაშვილი, პროფესორი;

ნონა ახალაშვილი, პროფესორი;

ჩერეკ ბუსტრა, გოთენის საპატიო დოქტორი  
(ნიდერლანდები);

ინგა დიაკონიძე, პროფესორი;

მარინა ვეკუა, პროფესორი;

ამირან თავართქილაძე, პროფესორი;

სერგეი იაკუბოვსკი, პროფესორი (უკრაინა);

გივი ლობჯანიძე, პროფესორი;

ამიდ ნიზჰადი, პროფესორი (აშშ);

რაინჰარდ პაულინგი, პროფესორი (გერმანია);

თალიკო ჟვანია, პროფესორი;

იორნ ვან რიი, პროფესორი, ინჰოლანდის  
უნივერსიტეტი, (ნიდერლანდები);

ჟილ რუე, პროფესორი (საფრანგეთი);

შენგელი ფიცხელაური, პროფესორი;

რომან შენგელია, პროფესორი;

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე, პროფესორი;

ბარბარა ჰინესი, პროფესორი (აშშ);

**Chief Editor** – Giorgi Matiashvili,  
Rector, Professor

**Vice Chief Editor** - Maia Ukleba,  
Professor

### Board members:

Gela Aladashvili, Professor;

Nona Akhalashvili, Professor;

Tjerk Busstra, Honorary Doctor of GTUNI (The  
Netherlands);

Inga Diakonidze, Professor;

Marina Vekua, Professor;

Amiran Tavartkiladze, Professor;

Sergei Yakubovskiy, Professor (Ukraine);

Givi Lobzhanidze, Professor

Hameed Nezhad (USA);

Reinhard Pauling, Professor (Germany);

Taliko Zhvania, Professor;

Jorn van Rij, Professor, Inholland University (The  
Netherlands);

Gilles Rouet, Professor (France);

Shengeli Pitskhelauri, Professor

Roman Shengelia, Professor;

Lali Chagelishvili-Agladze, Professor;

Barbara B. Hines, Professor (USA);

ISSN 2587-4543

© შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაშვილის ქ. №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



**SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM  
TAVARTKILADZE TBILISI TEACHING  
UNIVERSITY VOLUME  
№10**

**Published since 2011**



Publishing House **"UNIVERSAL"**

Tbilisi 2020

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველწლიურ, მრავალ-დარგობრივ სამეცნიერო შრომათა კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხების კვლევას.

გამოცემის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი და უცხოელი ავტორების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა სპეციალისტების, მეცნიერული ძიების გაღრმავებას, ორიგინალური კონცეფციების წარმოჩენას, აკადემიური კონტაქტების გაფართოებას და ერთობლივი სამეცნიერო – კვლევითი პროექტების შექმნას, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.



The papers presented in annual, multi-branch journal \_Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University\_ cover the acute problems of economic, social, humanitarian and law sciences.

The purpose of the journal is to foster the scientific research carried out by Georgian and foreign authors, especially those conducted by young specialists; reveal and encourage original conceptions; broaden academic contacts and create joint scientific and research projects; highlight the conclusions and recommendations offered by international organizations, as a consequence of their work carried out in Georgia.

**შ ი ნ ა ა რ ს ი**  
**C O N T E N T S**

**ს ა მ ა რ თ ლ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი**  
**S C I E N C E S O F L A W**

<b>ნინო ბოჭორიშვილი</b> – საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება..... 7 <b>Nino Botchorishvli</b> – Recognition and Enforcement of International Arbitral Awards	7
<b>თამარ ებრალიძე</b> – მექრთამეობის დელიქტები და დანაშაულის განვითარების სტადიები..... 16 <b>Tamar Ebralidze</b> – Bribery offenses and stages of crime development	16
<b>გივი ლობჯანიძე</b> – ძველი ჩინეთი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი..... 23 <b>Givi Lobzhanidze</b> – Old China and International Humanitarian Law	23
<b>დავით ლობჯანიძე</b> – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირითადი ნიშნები და ადგილობრივი (მუნიციპალური) მმართველობის ცნება..... 27 <b>Davit Lobzhanidze</b> – Administrative and Territorial Division Principles and the Concept of Local (Municipal) Government	27
<b>ედიშერ ფუტკარაძე</b> – ეკონომიკური დანაშაულის საკითხისათვის..... 34 <b>Edisher Phutkaradze</b> – On the Issue of Economic Crimes	34
<b>ედიშერ ფუტკარაძე</b> – მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის..... 42 <b>Edisher Phutkaradze</b> – On Academic Integrity	42
<b>ნინო ხუნაშვილი</b> – დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფისათვის..... 47 <b>Nino Khunashvili</b> – For the improvement of the Law of Georgia on Design	47

**ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი**  
**S C I E N C E O F E C O N O M I C S**

<b>დავით ვეკუა</b> – საქართველოს ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრების სირთულეები და მათი დაძლევის გზები..... 64 <b>Davit Vekua</b> – The Challenges of Inculcating Justice in the Georgian Economy and the Ways of Overcoming them	64
<b>ნიკო კვარაცხელია</b> – თბილისის საფეხმავლო ბილიკები..... 68 <b>Niko Kvaratskhelia</b> – Tbilisi Hiking Trails	68
<b>თალიკო ჟვანია, ანა კობიაშვილი</b> – ელექტრონული სწავლება – თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა..... 74 <b>Taliko Zhvania, Ana Kobiashvili</b> – E-learning – the Challenge of the Modern World	74
<b>მაია უკლება</b> – პანდემია, ტურიზმის გლობალური ცვლილება და საზოგადოების ცხოვრების ხარისხი..... 82 <b>Maia Ukleba</b> – Pandemics, Global Change in Tourism and the Quality of Community Life	82

ს ო ც ი ლ უ რ ი   დ ა   ჰ უ მ ა ნ ი თ ა რ უ ლ ი   მ ე წ ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი  
HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

ინგა დიაკონიძე – უცხო ენის ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები .....	87
<b>Inga Diakonidze – Teaching L2 online – Challenges and Solutions</b>	
ნინო ლომსაძე, ნინო ბოჭორიშვილი – პედაგოგია და ტექნოლოგია ონლაინ განათლებაში .....	93
<b>Nino Lomsadze, Nino Bochorishvili – Pedagogy and Technology in Online Education</b>	
გიორგი მათიაშვილი – აკაკი წერეთელი რუსეთთან ურთიერთობის შესახებ.....	96
<b>Giorgi Matiashvili – Akaki Tsereteli about the Relationship with Russia</b>	

# სამართლის მეცნიერებები

## წინო ბოჭორიშვილი

### საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცედურაა, რადგან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიების გარეშე, ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა საარბიტრაჟო განხილვა და არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა მის ჩატარებას. აქვე აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგები მხარეებისთვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ ღვება. წინამდებარე კვლევის მიზანია უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შორის არსებული განსხვავებების განხილვა, ასევე მიზანია უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების კუთხით არსებული პრობლემების ანალიზი უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით და გადაწყვეტის გზების შეთავაზება.

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ უნივერსალურ დოკუმენტს წარმოადგენს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“<sup>1</sup>. ნიუ-იორკის კონვენციის შექმნის მიზანი იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სწრაფი იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებებით, მნიშვნელოვნად გაეზარდა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის როლი.

ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლში მოცემულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, კერძოდ: „ყველა ხელშეკრული სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მას წინამდებარე კონვენციის ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისას, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია – არ შეიძლება დანესებულ იქნას არსებითად უფრო მეტი დამაბრკოლებელი პირობები, ან უფრო მაღალი ბაჟი, ვიდრე შიდა გადაწყვეტილებების აღსრულებისას.“<sup>2</sup>

ნიუ-იორკის კონვენცია უზრუნველყოფს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის ტერიტორიის გარეთ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა არის პროცესი, რომლის შედეგადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ხდება ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილი. ზოგჯერ მხარემ შეიძლება მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მხოლოდ ცნობა იმ მიზნით, რომ დააყენოს პრიუდიციული შესაგებელი და ამ გზით თავიდან აიცილოს იმ საკითხის ხელმეორედ განხილვა სასამართლოში, რაც უკვე გადაწყვეტილ იქნა უცხო ქვეყნის არბიტრაჟის მიერ ან მოითხოვოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მინიჭებულ უფლებასთან მიმართებით. ვინაიდან ცნობა უმეტესად გამოიყენება, როგორც თავდაცვის საშუალება<sup>3</sup>.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისაგან განსხვავებით, აღსრულება არის სამართლებრივი შედეგის რეალურად დადგომის საშუალება. აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების უმეტესობა სრულდება ნებაყოფლობით. თუმცა, როდესაც ნაგებელი მხარე უარს ამბობს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაზე, მოგებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მოთხოვნით მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

<sup>1</sup> ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“.

<sup>2</sup> ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ მუხლი 3.

<sup>3</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისთვის, კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, თბ. 2013



ნიუ-იორკის კონვენცია აძლევს მხარეებს საშუალებას, რომ მოითხოვონ ამგვარი დახმარება სასამართლოს მხრიდან. აღნიშნულის ვათვალისწინებით, ცნობა და აღსრულება ანიჭებს უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას იურიდიულ ძალას იმ ქვეყანაში, სადაც არ მომხდარა აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა. მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აღსრულებადად გამოაცხადებს, მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა, უფლება აქვს მიმართოს ეროვნული კანონმდებლობით დასაშვებ აღსრულების მეთოდებს.

აღსრულების პროცესი იგივეა რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის პროცესი, რომელიც ითვლება აღსრულების წინაპირობად. უცხოური სასამართლო აქტის მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედების დაშვება არ არის მიზანშეწონილი მისი საფუძვლიანი შესწავლისა და გადამოწმების გარეშე.<sup>1</sup>

საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, ითვალისწინებს, როგორც ქვეყნის შიდა არბიტრაჟების, ისე უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, რომლის მიხედვით სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის გზით უნდა მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.<sup>2</sup> საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართ, უფლებამოსილ სასამართლოს წარმოდგენს სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას ხელი მოაწერა 1994 წელს, თუმცა მისი რატიფიცირება 2009 წლამდე ვერ განხორციელდა. საქართველოს კონვენციაზე ხელმოწერის დღიდან აქვს ვალდებულება აღსრულოს უცხო ქვეყანაში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მაგრამ განხორციელების მეთოდები წლების მანძილზე შებლუდული იყო, რადგან არ არსებობდა გამართული შიდა კანონმდებლობა. ახალი “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონით კი გაჩნდა სამართლებრივი სისტემა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ცნობა და აღსრულება“, ფაქტობრივად, „არბიტრაჟის შესახებ“ დღეს მოქმედმა კანონმა დაამკვიდრა. 1997 წლის კანონი “კერძო არბიტრაჟის შესახებ” მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ, ეროვნული არბიტრაჟის საქმიანობას აწესრიგებდა და არ ითვალისწინებდა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონის პრინციპებსა და წესებს. სწორედ ამიტომ საქართველოში ახალი “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული აქტი არ არსებობდა, რაც ქმნიდა პრობლემებს უცხოეთში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით.

ჩვენს ქვეყანაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პროცესი წლების მანძილზე შიდა სამართლებრივი ნორმების არარსებობის ან გაუმჭვირვალე ნორმების ვათვალისწინებით უდიდესი დარღვევების მიმდინარეობდა, ამას მონაწილეობს, როგორც ამ მიმართულებით არსებული სასამართლო პრაქტიკა, ასევე აღნიშნულ პრობლემებზე იურისტთა მიერ გაკეთებული შენიშვნები, კერძოდ “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედების პერიოდში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ირღვეოდა მხარეთა არა მარტო საპროცესო უფლებები, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებებიც. სწორედ ამიტომაც, რომ “არბიტრაჟის შესახებ” ახალმა კანონმა გააფართოვა სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით.<sup>3</sup>

განსხვავებით ქართული სამართლის სისტემისგან გერმანული სამართალი იცნობს ე.წ. კუმულატიურობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს მეორე სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ იმ სამართლებრივი შედეგების ცნობას, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობით არის დასა-

<sup>1</sup> გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც., „ბონა კაუზა“, 2008, გვ.423.  
<sup>2</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 44. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 19/06/2009, სსმ, 13, 02/07/2009.  
<sup>3</sup> მ. ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., გამომც., „სამართალი“, 2012, გვ.442.





შეები.<sup>1</sup> მხარეები ხშირად მიმართავენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა დაადასტუროს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. ამ დროს დგება საკითხი, რომელი გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, საარბიტრაჟო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადასტურდა. გერმანიის უზენაესი სასამართლო მიემხრო დოქტრინაში რ. შლოსერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კრედიტორს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება, რათა თვითონ გადაწყვიტოს, რომელს წარადგენს აღსასრულებლად.<sup>2</sup>

გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2008, გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1984 წელს გერმანიის უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ კრედიტორის ასარჩევია პირდაპირ წარადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აღსასრულებლად, თუ ჯერ გამოტანის ადგილის მიხედვით მიმართავს შესაბამის სასამართლოს და იქ გადაწყვეტს აღსრულების საკითხს და მერე ამ სააღსრულებლო დოკუმენტს გერმანიაში წარადგენს აღსასრულებლად როგორც სასამართლო გადაწყვეტილებას.<sup>3</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების პროცესში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საჯარო წესრიგის ცნებას. მისი არსი კი მდგომარეობს შემდეგში: საჯარო წესრიგი საერთაშორისო არბიტრაჟის ერთერთი ყველაზე პრობლემური ცნებაა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გადაწყვეტილების გაუქმების, ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის პროცესში. განსაკუთრებით კი მაშინ თუ გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის საჯარო წესრიგთან.<sup>4</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შესაძლოა უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე იყო ქმედუუნარო, ან სამართლებრივი ნორმების მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია; მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნისას ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან რაიმე სხვა საპატიო მიზეზით ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში; საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებულია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით; არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას - იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა; საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს არბიტრაჟის განხილვის საგანი, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი ერთი კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში შესაძლოა მხარეს უარი ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

თუ გადავხედავთ საერთაშორისო და საქართველოს პრაქტიკას საჯარო წესრიგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შედავების ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველია. თუმცა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში საჯარო წესრიგი გაცილებით ხშირად ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძველი; ამასთან, მისი დღევანდელი განმარტება რისკის ქვეშ აყენებს არბიტრაჟის დამოუკიდებლობას და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობას.<sup>5</sup>

უცხო ქვეყნის მიერ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შეტანა ხდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. როგორც ნიუ-იორკის კონვენციის წევრ ყველა სახელმწიფოს სასამართლოს აქვს უფლება დააკისროს უცხო ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება მხარეს ასევე აქვს ქართულ სასამართლოსაც.

საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ცნობასა და აღსრულებაზე გადაყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს, საქმის შინაარსის გათვალისწინებით არბიტრაჟის შესახებ საქარ-

<sup>1</sup> მ. ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., გამომც., „სამართალი“, 2012, გვ.148.

<sup>2</sup> ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2008, გვ.547-548.

<sup>3</sup> გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2008, გვ.449.

<sup>4</sup> გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2008, გვ.435-436.

<sup>5</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში; საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018, გვ.34.



თველოს კანონის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის<sup>1</sup> მიხედვით, ხოლო უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საფუძვლად უთითებს საქართველოს კანონს საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის შესახებ. რომელშიც მოცემულია უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულების მომწესრიგებელი ნორმები. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო წლების მანძილზე უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პროცესში მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლად უთითებდა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციას<sup>2</sup> და არ უთითებდა ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“, ეს მაშინ როდესაც აღნიშნული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს საქართველოსათვის, ასევე, როგორც ზევით ავლნიშნეთ სწორედ აღნიშნული კონვენციის საფუძველზე და მასში იმპლემენტიორებული დებულებების გათვალისწინებით არის ქართული სასამართლოები ვალდებული მოახდინონ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. აღნიშნული მსჯელობის კვალდაკვალ გთავაზობთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რამდენიმე განჩინების ანალიზს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2018 წლის 27 მარტს მიღებულ განჩინებაში<sup>3</sup> საქმის გადასაწყვეტად გამოიყენა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები. საქმეში მხარე მოითხოვდა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება AC #480r/2016 საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას. თუმცა მოგვიანებით მხარეებმა უზენაეს სასამართლოს წარუდგინეს მორიგების აქტი, რის გამოც საკასაციო სასამართლომ მხარეებს შორის უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ წარდგენილი მორიგების აქტი ცნო კანონიერად და დააკმაყოფილა, ხოლო წარმოდგენილ შუამდგომლობაზე საქმის წარმოება შეწყვიტა. სწორედ ამიტომ საკასაციო სასამართლომ ამ შემთხვევაში სრულიად გამართლებულად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით, როცა დაამტკიცა მორიგების აქტი, თუმცა ნიუ-იორკის კონვენციაზე მითითება, ამ შემთხვევაშიც აუცილებელი იყო რადგან მხარის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ეხებოდა და მოგვიანებით მხარეთა შორის მიღწეული მორიგების აქტი დამტკიცდა, ხოლო მხარის ძირითადი მოთხოვნას რა ბედი ეწია და რის საფუძველზე შეწყდა წარმოება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ნაწილში, სარეზოლიცო ნაწილიდან აღარ ირკვევა.

აქვე აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება<sup>4</sup>, სადაც მხარის შუამდგომლობით მოთხოვნილი იყო ჩინეთის სავაჭრო არბიტრაჟის 2016 წლის 17 ოქტომბრის #1216 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. აღნიშნული საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ შპს „CG“ შუამდგომლობა ჩინეთის სავაჭრო არბიტრაჟის 2016 წლის 17 ოქტომბრის #1216 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ აკმაყოფილებს, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>22</sup> მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, ისე – „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის კონვენციის მე-4, მე-5 მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ სრულიად სამართლიანად იხელმძღვანელა, ნიუ-იორკის საერთაშორისო ხელშეკრულებით და შიდასამართლებრივი აქტებით, რადგან ნიუ-იორკის კონვენცია წარმოადგენს რა საერთაშორისო ხელშეკრულებას რომელიც საქართველოს პარლამენტის მხრიდან რატიფი-

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

<sup>2</sup> „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, 1993 წლის 22 იანვარი.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის განჩინება საქმე №ა-5273-შ-140-2017

<sup>4</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმე №ა-2458-შ-66-2017



ცილების შემდეგ წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო აქტს და მას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია შიდასამართლებრივ აქტებთან მიმართებაში, ანუ ნიუ-იორკის კონვენციით არიან ვალდებული ეროვნული სასამართლოები მოახდინონ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ასევე კონვენციით არის დაშვებული ამ პროცესში შიდაკანონმდებლობის გამოყენების აუცილებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 დეკემბერს 'ა-44-შ-1-2010 მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>1</sup> არ უხელმძღვანელია არც ერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით და მხოლოდ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლებით დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქმეში სადაც შუამდგომლობით მოთხოვნილი იყო ე. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით #A 40-177252/17-120-1527<sup>2</sup> შპს "კ-ტის" საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება, საკასაციო სასამართლომ საქმის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გადაწყვეტის დასასაბუთებლად მიუთითა 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციისა და აღნიშნა, რომ „1958 წლის ნიუ იორკის კონვენციის (შემდეგში: კონვენცია) პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, და გამოტანილია ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. იგი გამოიყენება აგრეთვე იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც არ ითვლება იმ სახელმწიფოს ადგილობრივ გადაწყვეტილებებად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება. გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა კონვენციის მესამე მუხლზე რომლითაც, ყოველი ხელშეკრული სახელმწიფო ვალდებულია ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ და აღასრულოს ისინი იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ მოცემულ მუხლებში დადგენილი პირობების გათვალისწინებით.“<sup>3</sup> აღნიშნული მსჯელობაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობას საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორედ ეროვნული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით განიხილავს. საბოლოოს საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და შუამდგომლობა, ე. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბრის #A 40-177252/17-120-1527 გადაწყვეტილების უზრუნველყოფის თაობაზე დააკმაყოფილა.

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის გამოყენების პრაქტიკა უცხო ქვეყნის სასამართლო, თუ საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საქმეების განხილვისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვარს №-2443-შ-83-09 მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>4</sup>, სადაც განიხილავდა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე № 129-/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საქმის გადასაწყვეტად იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 2010 წლის 23 დეკემბერი, საქმე 'ა-44-შ-1-2010

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისი, საქმე №ა-3603-შ-90-2018

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისი, საქმე №ა-3603-შ-90-2018

<sup>4</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვარის საქმე №-2443-შ-83-09



კანონის მუხლებით, ასევე მიუთითა “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციაზე და შუამდგომლობა დაკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლო მოგვიანებით 2019 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებში, სადაც ასევე იხილავდა შუამდგომლობას უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ერთმანეთისაგან გამიჯნა “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის გამოყენების შემთხვევები და აღნიშნა, რომ აღნიშნული კონვენცია, გამოიყენება უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს, ხოლო უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცეში გამოყენებულ უნდა იქნას ნიუ-იორკის კონვენცია, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, სადაც განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბრის #A 40-177252/17-120-1527<sup>1</sup> გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე 2017 წლის 22 დეკემბრისა და 2018 წლის 11 იანვრის დადგენილებების, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საკასაციო სასამართლომ საქმის გარემოებების შეფასებისას იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციით და განმარტა, „რომ მოცემულ შემთხვევაში არ ხელმძღვანელობს გაეროს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციით, რადგან უცხო ქვეყნის სასამართლო რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოების შემადგენლობაშია და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საარბიტრაჟო ინსტიტუტს“. ამ შემთხვევაში ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის გამოყენებაზე უარის საფუძველი გახდა ის, რომ ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლო იყო საერთო სასამართლოების შემადგენლობაში და არა დამოუკიდებელი, კერძო ინსტიტუტი. შესაბამისად საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ კონვენციის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლებით და დააკმაყოფილა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მრავალ წლიანი წევრობის პერიოდში საქართველო იყო „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის კონვენციის წევრი. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება კი სწორედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით არის მიღებული, რომელშიც საქართველო მუდამ პასიურ როლს თამაშობდა. მთელი რიგი პოლიტიკური მიზეზების გამო, საქართველო მუდამ იყო ამ წარმონაქმიდან გამოსვლის უპირველესი კანდიდატი, ქვეყნის ხელისუფლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჯაროდ აცხადებდა, რომ არასერიოზულად ეკიდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას და მასში ჩვენი ქვეყნის წევრობა მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. შესაბამისად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დადებული მრავალი შეთანხმება მხოლოდ ქალაქდებზე უნდა დარჩენილიყო, თუმცა ჩვენს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ განხილული საქმეები მონშობს, რომ არა თუ უარს ამბობს სასამართლო აღნიშნული ხელშეკრულების გამოყენებაზე, არამედ აზუსტებს მისი გამოყენების ფაგლებს და უპირისპირებს ნიუ-იორკის უნივერსალურ საერთაშორისო ხელშეკრულებას.

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვისას, ტრაგიკულია ისიც, რომ მინსკის კონვენცია რამდენადაც არ უნდა მივიჩნიოთ „ყველაზე ნაკლებად გამოსაყენებელ“ საერთაშორისო ხელშეკრულებად, არ ცვლის ფაქტს, რომ ის საერთაშორისო ხელშეკრულებაა და საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწი-

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის საქმე №ა-3603-შ-90-2018



ფორმატიული აქტის მიმართ<sup>1</sup>, ასევე ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლი-ს მე-5 პუნქტით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის კოლიზიის არსებობისას ცალსახად საერთაშორისო ხელშეკრულებას ანიჭებს უპირატესობას<sup>2</sup>. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როცა სახეზე გვექნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც ყოველნაირად ეწინააღმდეგება ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და სამართლიანობის შესახებ ელემენტარულ წარმოდგენებს, იურიდიულად გამართული სახით მის აღსრულებაზე უარის თქმა შეუძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, უმჯობესია სასამართლოებმა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში უმთავრესად იხელმძღვანელონ ნიუ-იორკის კონვენციით „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ და მისივე დათქმების გამოყენებით შიდა სამართლებრივი ნორმატიული აქტებით და უარი თქვას უკვე არაერთგზის გაკრიტიკებული და ჩვენი ქვეყნისათვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობით უარყოფილი ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაზე, რომელიც მიღებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით, მათ შორის „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის კონვენციაზე.

### დამონებული წყაროები

#### მონოგრაფიები

1. ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, ცნობარი მოსამართლეებისთვის, კომენტარული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო, თბ. 2013
2. გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., გამომც., „ბონა კაუზა“, 2008.
3. მ. ცისკაძე, საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბ., გამომც., „სამართალი“, 2012
4. არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში; საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ., 2018

#### ნორმატიული აქტები

5. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტი, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
6. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 33, 09/11/2009
7. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 44. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 19/06/2009, სსმ, 13, 02/07/2009.
8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

#### საერთაშორისო ხელშეკრულებები

9. ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“.
10. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, 1993 წლის 22 იანვარი.

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტი, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

<sup>2</sup> ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 33, 09/11/2009



### სასამართლო გადაწყვეტილებები

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბერის განჩინება საქმე 1ა-44-შ-1-2010
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვარის საქმე №ა-2443-შ-83-09
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმე №ა-2458-შ-66-2017
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის განჩინება საქმე №ა-5273-შ-140-2017
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისი, საქმე №ა-3603-შ-90-2018
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ივნისი, საქმე №ა-3603-შ-90-2018
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 იანვრის საქმე №ა-3603-შ-90-2018

### ვებ-გვერდები

- [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
- [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

### ნინო ბოჭორიშვილი

#### საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

#### რეზიუმე

უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობაზე და აღსრულებაზე უფლებამოსილ ორგანოს ჩვენ ქვეყანაში წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებული განჩინებების ანალიზით ირკვევა, რომ სასამართლო უმეტეს შემთხვევაში საერთოდ არ ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ხელმძღვანელობს ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც დიდი ხანია წარულს უნდა ჩაბარებოდა. საკასაციო სასამართლო როგ შემთხვევებში გადაწყვეტილების საფუძვლად უთითებდა “სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ” 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციას და არ უთითებდა ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“, ეს მაშინ როდესაც აღნიშნული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს საქართველოსათვის, ასევე, სწორედ აღნიშნული კონვენციის საფუძველზე და მასში იმპლემენტორებული დებულებების გათვალისწინებით არის ქართული სასამართლოები ვალდებული მოახდინონ უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება.

აქედან გამომდინა, უჭიკბესია სასამართლოებმა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობოსა და აღსრულების პროცესში უმთავრესად იხელმძღვანელონ ნიუ-იორკის კონვენციით „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ და მისივე დათქმების გამოყენებით შიდა სამართლებრივი ნორმატიული აქტებით და უარი თქვას უკვე არაერთგზის გაკრიტიკებული და ჩვენი ქვეყნისათვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობით უარყოფილი ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებაზე, რომელიც მიღებულია დამოუკიდებ სახელმწიფოს თანამეგობრობის ევით.



**Nino Botchorishvli**

## **Recognition and Enforcement of International Arbitral Awards**

### **Abstract**

The authorized body for recognition and enforcement of International Arbitral decisions in our country is the Higher Court of Georgia. Based on the analysis of the verdict passed by the civil case chamber of Higher Court of Georgia, it is evident that in majority of cases, the court does not rule according to international agreements, or rules based on the international agreements that must have been stayed in the past long ago. Appeal Court, in number of cases while taking the decisions, referred to 'Minsk Convention of January 22, 1993 on legal assistance and legal relations in civil, family, and criminal matters', and no reference was made to The New York *Convention* of 1958 on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards. It is noteworthy that the New York convention, having been ratified by the Parliament of Georgia, is a legally binding treaty for Georgia. Respectively, Georgian courts are obliged to recognize and enforce decisions made by the foreign country based on the above-mentioned convention and the statutes implemented in it.

Therefore, it would be better if the courts principally referred to the The New York *Convention* on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards in the process of recognition and enforcement of foreign arbitral awards, by application of its own stipulations, internal normative acts and stop referring to extensively criticized international agreement, accepted under the aegis of the Commonwealth of Independent States and rejected for its geo-political significance.



## თამარ აბრალიძე

### მეჭრთამეობის დელიქტები და დანაშაულის განვითარების სტადიები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით, ქრთამის აღება განმარტებულია, როგორც მოხელის მიერ ფულის, ფასიანი ქაღალდის ... ან სხვა რაიმე არამართლმომიერი უპირატესობის „მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება...“. ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები 338-ე მუხლს დაემატა 2006 წლის 25 აგვისტოს კანონით განხორციელებული ცვლილების შედეგად. ამ ცვლილების შემდეგ, ქრთამის აღების შემადგენლობა დამთავრებულია მოხელის მიერ ქრთამის მოთხოვნის, ასევე შეთავაზების ან დაპირების მიღების მომენტიდან. ამგვარი საკანონმდებლო კონსტრუქცია სრულ შესაბამისობაშია კორუფციასთან ბრძოლის 1999 წლის ევროპული კონვენციის დებულებებთან.<sup>1</sup>

ვინაიდან ქრთამის აღება და მიცემა ფორმალური დანაშაულებია, იბადება კითხვა - შესაძლებელია თუ არა მათი მცდელობა? ფორმალური დანაშაულის არსი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მცდელობის (მცდელობის მსგავს) სტადიაზე უკვე დამთავრებულია, რადგან ქმედების შემადგენლობის დანაშაულისა და დამთავრების მომენტები ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ ამ დანაშაულთა მცდელობა, როგორც წესი, შეუძლებელია. თუმცა ყველა წესს აქვს გამონაკლისები. ისეთი ფორმალური დელიქტებიც არსებობენ, რომელთა მცდელობა შეიძლება (ე.წ. მცდელობის მცდელობა). მთავარია დასჯადი ქმედების ბუნება და ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობა.<sup>2</sup>

რაც შეეხება მეჭრთამეობის დელიქტებს, მათი მცდელობა 338-ე და 339-ე მუხლების საკანონმდებლო აღწერილობიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია. თუ მოხელემ ქრთამის აღების მზადყოფნა არ გამოთქვა, ანუ კანონის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ მიიღო ქრთამის შეთავაზება ან დაპირება, დანაშაულის განვითარების არავითარი სტადია არ არსებობს, ხოლო ქრთამის შეთავაზების ან დაპირების მიღებისთანავე დანაშაული დამთავრებულია. იგივე უნდა ითქვას ქრთამის მიცემაზეც, თუმცა ამ შემთხვევაში დანაშაულის მცდელობის მაგალითი, ერთი შეხედვით, შეიძლება უფრო მარტივად წარმოსადგინო ჩანდეს, ვიდრე ქრთამის აღებისას. კერძოდ, მაშინ, როცა პირს განზრახული ჰქონდა მოხელისთვის ქრთამის მიცემა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ეს ვერ მოახერხა.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი (პირველი ვარიანტი): გიორგიმ გადაწყვიტა მოხელისთვის ქრთამის შეთავაზება ამ უკანასკნელის მიერ გარკვეული მოქმედების შესრულების სანაცვლოდ. ამ განზრახვით, ის გაემართა მოხელის სანახავად და თან წაიღო საჭირო თანხა მისთვის გადასაცემად. გიორგიმ მოხელისთვის ქრთამის მიცემა და ვერც შეთავაზება ვერ შეძლო, რადგან მის კაბინეტში ყოფნისას დანესებულებაში მოულოდნელად ატყდა განგაში და დაიწყო შენობაში მყოფთა სასწრაფო ევაკუაცია - ანონიმური წყარო იტყობინებოდა შენობაში ბომბის არსებობის შესახებ.

ანალოგიურმა კაზუსმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე. გამოითქვა თვალსაზრისი, რომ მოცემული ქმედება ძალიან ახლოს დგას შედეგთან და ამიტომ ქრთამის მიცემის მცდელობად უნდა ჩაითვალოს (შედეგთან სიახლოვის თეორია - „რალა დარჩა ქრთამის მიცემად“).

ეს თვალსაზრისი არ არის გასაზიარებელი. მართლ შედეგთან სიახლოვით ვერ გადაწყვეტთ მცდელობის საკითხს. შედეგთან სიახლოვე მაშინ გამოდგება მცდელობის დასასაბუთებლად, როცა მისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებიც სახებია. მცდელობა არის მოქმედება, რომლითაც იწყება ქმედების შემადგენლობის განხორციელება. გაბატონებული თვალსაზრისით, სწორედ ეს მომენტი - კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დანაშაული, რომელიც უახლოვდება

<sup>1</sup> იხ. კორუფციასთან ბრძოლის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/173> (ნანახია 15.09.2020)

<sup>2</sup> თემურ ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი, „მერიდიანი“, 2015, გვ. 270-274; ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, „მერიდიანი“, 2014, გვ.224-227;





დანაშაულებრივ შედეგს, ითვლება მცდელობის ათვლის წერტილად.<sup>1</sup> მოტანილ მაგალითში ვერ ვიტყვი, რომ სახეზეა სსკ-ის 339-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების უშუალო დაწყება, რომელიც დანაშაულის მცდელობის ობიექტურ წინაპირობას წარმოადგენს. მცდელობის დროს განხორციელებული ქმედება ობიექტურად საშიში, სამართლებრივად დასაძრახი უნდა იყოს. თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარებული თვალსაზრისის მიხედვით, დანაშაულის მცდელობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დანაშაულის მიერ ობიექტურად გაცხადებული დასაძრახი განზრახი ქმედება სამართლებრივი სიკვითის დაზიანების კონკრეტულ მუქარაში გამოიხატა და სოციალურ-ადეკვატურობის ზღვარს გადააბიჯა, რითაც დაარღვია ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეთიკური წესრიგი.<sup>2</sup> თუ ამ „ფორმულას“ ჩვენს მაგალითს მივუსადაგებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ გიორგის ქმედება არ შეიძლება ქრთამის მიცემის მცდელობად ჩაითვალოს. ჯიბეში ფულის ქონა არ არის იმგვარი ობიექტურად საშიში ქმედება, რომელიც სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირების, მათი ავტორიტეტის დაზიანების კონკრეტულ მუქარაში გამოიხატება. საწინააღმდეგო თვალსაზრისის მომხრეთა პოზიციას ვერც ის არგუმენტი გაამყარებს, რომ ანალოგიური შემთხვევები გერმანული სამართლის მიხედვით ქრთამის მიცემის მცდელობად ითვლება.<sup>3</sup> გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით, დანაშაულის მომზადება არ ისჯება. ამიტომ დაუსჯელობის ხარვეზის შესავსებად გაფართოებულია დასჯადი მცდელობის ფარგლები, რისი აუცილებლობაც, ქართულ სისხლის სამართალში, სსკ-ის მე-18 მუხლის არსებობის გამო, არ არის.<sup>4</sup> ბევრი ქმედება, რომელიც ჩვენი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მომზადებად უნდა ჩაითვალოს, გერმანული კანონმდებლობისა და დოგმატიკის შესაბამისად, მცდელობად მიიჩნევა. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთოდ დაუსჯელი დარჩება.

საქართველოს სსკ-ის მიხედვით, გიორგის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც დანაშაულის (ქრთამის მიცემის) მომზადება. გავრცელებული თვალსაზრისით, დანაშაულის დასჯადი მომზადება მაშინ გვაქვს, როდესაც პირის ქმედება დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ განხორციელების დაწყებას უძღვის წინ, ე.ი. როდესაც მოსამზადებელი მოქმედება ახლოს არის მცდელობის სტადიასთან, თუმცა დანაშაულის მცდელობას მას ჯერ კიდევ ვერ დავარქმევთ.<sup>5</sup> სწორედ ასეთ შემთხვევათა ჯგუფს მიეკუთვნება ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითი.

რაც შეეხება უფრო შორეულ მოსამზადებელ მოქმედებებს, მათი დასჯა გამართლებული არ არის. თანამედროვე სისხლის სამართალი სულ უფრო ზღუდავს დასჯადი მომზადების ფარგლებს. გარდა მცდელობასთან სიახლოვისა, სისხლის სამართლის დოგმატიკაში შემოთავაზებულია აგრეთვე „დანაშაულის მომზადების აშკარაობის ახალი სისხლისსამართლებრივი ფორმულაც“. დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა მხოლოდ მაშინ უნდა დაისაჯოს, როდესაც პირის ქმედება „ობიექტურად, აშკარად მიუთითებს დანაშაულის მცდელობასთან სიახლოვეზე“ და უეჭველად მიგვანიშნებს მოქმედის დანაშაულებრივ მიზანზე, ანუ როდესაც მას თავისი ქმედების ახსნა „დამატებლად აღარ შეუძლია“.<sup>6</sup> დანაშაულის მომზადება ზოგჯერ ნეიტრალური ქმედებების საშუალებითაცაა შესაძლებელი, რომლებიც არ

<sup>1</sup> მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომხილვა. მეცხრე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2013, გვ. 309; ლევან ხარანაული, დასახ. ნაშრ., გვ. 185; იოჰანეს ვესელსი/ ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, (რედ. ირაკლი დვალაძე, მთარგმნ. ზურაბ არსენიშვილი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 346.

<sup>2</sup> ლევან ხარანაული, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

<sup>3</sup> გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული თვალსაზრისით, მოსამართლესთან მიახლოება ქრთამის გადასაცემად, წერილის მიწერა და შეხვედრაზე შეთანხმება ქრთამის მიცემის მცდელობად უნდა ჩაითვალოს. იხ. მაგალითად: **Tomas Fischer, Strafgesetzbuch, 61. Aufl, München, C.H. BECK, 2014, §334, Rn.(5) 5**.

<sup>4</sup> მერაბ ტურავა, დასახ. ნაშრ., გვ.306; ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის მომზადების დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის შესახებ გერმანული მოძღვრების გათვალისწინებით, წიგნში: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“, (სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული), რედ. მ. ტურავა. თბილისი, „მერიდიანი“, 2013, გვ. 100.

<sup>5</sup> ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, „მერიდიანი“, 2013, გვ. 242; ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, „მერიდიანი“, 2011, გვ. 26.

<sup>6</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის მომზადების დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის შესახებ გერმანული მოძღვრების გათვალისწინებით. წიგნში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, გვ.98. როგორც მჭედლიშვილი-ჰედრიხი აღნიშნავს, გერმანულ სისხლის სამართალში ჰაინრიხის მიერ განვითარებული დანაშაულის მცდელობის ფორმულა ქართულ სისხლის სამართალში შესაძლებელია დანაშაულის მომზადების ფორმულად გამოვიყენოთ. იქვე, გვ. 98, სქოლიო 55.



მიგვანიშნებენ იმ დანაშაულზე, რომლის ჩადენა პირს განზრახული აქვს. სოციალურად ადეკვატური ქმედებები დანაშაულის დასჯად მომზადებად არ უნდა ჩაითვალოს, „თუნდაც იმ საფრთხის ფასად, რასაც ამგვარი მომზადება შეიცავს“. „სანამ პირს სოციალური ადეკვატურობის საზღვარი არ გადაულახავს, მისი ქმედებანი მის პიროვნულ სფეროში რჩება და სახელმწიფომ იგი არ უნდა დასაჯოს.<sup>1</sup>

წარმოვიდგინოთ ასეთი კაზუსი: პროკურორმა განიზრახა ქრთამის აღება ბრალდებულისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქების სანაცვლოდ. ის დაუკავშირდა მეგობარს, რომელიც ბრალდებულის ოჯახის ახლობელი იყო და „საქმეზე სალაპარაკოდ“ შეხვედრა სთხოვა. თუ პროკურორის ქმედება ამის იქით არ წასულა, სახეზეა პირობების შექმნა დანაშაულის ჩასადენად, ე.ი. დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება. ზემორე მსჯელობიდან გამომდინარე, ამგვარი მომზადება სისხლის სამართლის წესით არ უნდა დაისაჯოს. მომზადება (და არა მცდელობა) იქნება მაშინაც, როცა შეხვედრა შედგა, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო პროკურორმა ქრთამის მოთხოვნა ვერ მოასწრო. მცდელობასთან სიახლოვის გამო უკანასკნელ მაგალითში შეიძლება ვიფიქროთ დასჯად მომზადებაზე, თუ, რა თქმა უნდა, დადასტურდა, რომ პროკურორი სწორედ ქრთამის მოთხოვნის მიზნით მოქმედებდა.<sup>2</sup> ცხადია, დასჯადი მომზადების შემთხვევებში მოხელე შედარებით მსუბუქად უნდა დაისაჯოს. სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, თავდაპირველი რედაქციისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს სასჯელის სავალდებულო შემცირებას მომზადებისა და მცდელობისთვის, რამაც შესაძლოა რიგ შემთხვევებში დამნაშავესათვის ზედმეტად მკაცრი სასჯელის შეფარდება გამოიწვიოს.

ქრთამის მიცემის მომზადება იქნება ბანკიდან ფულის გამოტანა მოხელისთვის გადასაცემად, შუამავლის მოძებნა მოხელისთვის ქრთამის შესათავაზებლად და ა.შ.. მოტანილ მაგალითებში პირი ქმნის პირობებს ქრთამის მიცემისთვის. თუმცა, როგორც აღნიშნული იყო, ყველა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება გამართლებული არ იქნება. პროცესუალური თვალსაზრისითაც მსგავს შემთხვევებში განზრახვის მიმართულების დადგენა საკმაოდ რთულია.

ისევ დავუბრუნდეთ მაგალითს, რომლის მიხედვითაც გიორგი ქრთამის შეთავაზების მიზნით გაემართა მოხელის სანახავად და თან წაიღო თანხა. მან მოხელისთვის ქრთამის მიცემა და ვერც შეთავაზება ვერ შეძლო, რადგან მის კაბინეტში ყოფნისას დაწესებულებაში მოულოდნელად ატყდა განგაში. შეეცვალოთ ეს მაგალითი შემდეგნაირად: (მეორე ვარიანტი): გიორგიმ გადანყვიტა მოხელისთვის ქრთამის შეთავაზება. ამ განზრახვით, ის გაემართა მოხელის სანახავად და თან წაიღო თანხა მისთვის გადასაცემად. გიორგი მივიდა მდივანთან, რომელიც მისი ახლობელი იყო, აუხსნა, რისთვისაც იყო მოსული და სთხოვა დახმარება მოხელესთან შეხვედრასა და ქრთამის გადაცემაში. მდივანმა გიორგი მოხელესთან ისეთ დროს შეიყვანა, როცა მათ ხელს არავინ შეუშლიდა. თან მოხელეს აუწყა, რომ გიორგი მისი ახლობელი და სანდო ადამიანია. ამ დროს დაწესებულებაში ატყდა განგაში და გიორგიმ ქრთამის გადაცემა ვერ შეძლო.

ამ მაგალითში სახეზეა არა მხოლოდ დამნაშავეს ბოროტი ნება, ქრთამი მისცეს მოხელეს, არამედ სოციალურად არაადეკვატური კონკრეტული ქმედება, რომელშიც დამნაშავემ ობიექტურად გამოხატა თავისი დანაშაულებრივი ნება (მდივანთან შეთანხმება, მისი დახმარებით ხელსაყრელი დროის შერჩევა და მოხელესთან შესვლა ქრთამის მისაცემად). ასე რომ, სახეზეა 339-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების უშუალო დაწყება. თუ შედეგთან სიახლოვესაც გავითვალისწინებთ, სრული საფუძველი გვაქვს, გიორგის ქმედება ქრთამის მიცემის მცდელობად მივიჩნიოთ, განსხვავებით ზემოთ მოტანილი პირველი ვარიანტისგან.

როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, მექრთამეობის დელიქტებში დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამოჯნა საკმაოდ პრობლემურია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან არ არსებობს და ვერც იარსებებს ისეთი „ჯადოსნური ფორმულა“, რომელიც ყველა პრობლემურ შემთხვევაში ერთნაირი წარმატებით უზრუნველყოფს მომზადებისა და მცდელობის „არასაორჭოფო ურთიერთგამიჯნას“.<sup>3</sup>

ქრთამის აღებასთან დაკავშირებით საინტერესოა უვარგისი მცდელობის საკითხი. კერძოდ კი, მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ. ეს მაშინ გვაქვს, როდესაც დანაშაულის სუბიექტი არ აკმაყოფილებს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 97-98.

<sup>2</sup> ქართულ სისხლის სამართალში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ სასურველია მოსამზადებელი მოქმედებისათვის დამნაშავე მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა ის მიზნად ისახავდა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული მძიმე დანაშაულის (განზრახ მკვლელობა, მძევლად ხელში ჩაგდება და ა.შ.) ჩადენას. **ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, გვ. 242.**

<sup>3</sup> იოჰანეს ვესელსი/ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, გვ. 351.



იმ მოთხოვნებს, რომელიც კანონის თანახმად მას წაეყენება, თუმცა პირს ჰგონია, რომ ის სუბიექტისათვის საჭირო ყველა თვისების მქონეა. დანაშაულის არსებობა-არარსებობისა და ქმედების სწორი კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, ვარგისია თუ არა მისი სუბიექტი. ასე რომ, ამ საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მოტანილია ასეთი მაგალითი: პეტრეს ჰგონია, რომ მოხელეა და მოქალაქისგან იღებს ქრთამს, თუმცა ის ჯერ არაა მოხელედ დანიშნული. გავრცელებული თვალსაზრისით, მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ პუტატიური დანაშაულია და არ უნდა დაისაჯოს. იმ სუბიექტის მოქმედება, რომელიც არაა მოხელე, სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტს ვერც დააზიანებს და ვერც საფრთხეს შეუქმნის.<sup>1</sup> ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გერმანული სამართლის ზეგავლენით მკვიდრდება თვალსაზრისი, რომ უვარგისი სუბიექტის დაუსჯელობა, მართალია, პირდაპირ არ გამომდინარეობს საქართველოს სსკ-ის მე-20 მუხლიდან, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში ხსენებული მუხლის ანალოგიის წესით გამოყენება და ამით დაუსჯელობის დასაბუთება.<sup>2</sup>

შეცვალათ მოტანილი მაგალითი შემდეგნაირად: პეტრემ არ იცის, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს, თავი ისევ მოხელე ჰგონია, განაგრძობს სამსახურებრივ საქმიანობას და მოქალაქისგან იღებს ქრთამს.

ერთი შეხედვით, ამ მაგალითებს შორის განსხვავება არ არის და ორივე შემთხვევაში უვარგისი სუბიექტთან გვაქვს საქმე, თუმცა ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ეს ორი მაგალითი არ შეიძლება სამართლებრივი თვალსაზრისით ერთნაირად შეფასდეს. სანამ მოხელე თავის უფლებამოსილებებში რჩება, მის მოქმედებას მანამ შეუძლია ზიანი მიაყენოს (ან საფრთხე შეუქმნას) სახელმწიფო ორგანოთა ავტორიტეტსა და ნორმალურ ფუნქციონირებას, რაც 338-ე მუხლით დასჯულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ასე რომ, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ როდის წყდება მოხელის უფლებამოსილება - გათავისუფლების აქტის გამოცემისთანავე თუ მაშინ, როცა მას ეცნობება ამის შესახებ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს (54-ე მუხლის 1 ნაწილი). კანონის ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარე, გამოქვეყნებისთანავე ადმინისტრაციული აქტი მხოლოდ მაშინ შევა ძალაში, თუ თვითონ აქტში არის აღნიშნული ამის შესახებ. იმავე მუხლის მეცამე ნაწილის თანახმად, დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ მიუღია.

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები ნათლად მიუთითებს, რომ ხსენებული აქტის ძალაში შესვლისათვის კანონმდებელი გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ მხარის მიერ მის ოფიციალურ გაცნობას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული ნორმა.<sup>3</sup> როგორც ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერები მიუთითებენ, ოფიციალური გაცნობა წარმოადგენს არა მართო აქტის კანონიერების კრიტერიუმს, არამედ მისი არსებობის წინაპირობას. როგორც კანონი მისი ოფიციალური გამოქვეყნებით შედის ძალაში, ასევე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას მისი ადრესატისათვის ოფიციალური გაცნობით.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გვ. 55.

<sup>2</sup> ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. თბილისი, „მერიდიანი“, 2014, გვ. 263; ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

<sup>3</sup> პაატა ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, „იურისტების სამყარო“, 2018, გვ. 145; იხ. ასევე: პაატა ტურავა, ნათია წვეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, „სეზანი“, 2010, გვ. 50.

<sup>4</sup> პაატა ტურავა, დასახ. ნაშრ., გვ. 146; პაატა ტურავა, ნათია წვეპლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50-51. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ოფიციალური“ გამოხატავს ადმინისტრაციული ორგანოს ნებას, მიმართულს იქითკენ, რომ მოხდეს ადრესატისათვის მისი გაცნობა. ეს ოფიციალურობა აძლევს აქტს შესასრულებლად სავალდებულო ძალას. სხვაგვარად მასზე ინფორმაციის მიღება (კერძო საუბრებში, შემთხვევით ან არაუფლებამოსილი ორგანოს საშუალებით) - არ ითვლება ადრესატისათვის აქტის ოფიციალურ გაცნობად. (პაატა ტურავა, დასახ. ნაშრ., გვ. 147).



მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამიტომ მასზე ვრცელდება სწორედ ზემოთ მოტანილი წესი. აქედან გამომდინარე, სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელის უფლებამოსილება წყდება მაშინ, როცა მას აცნობებენ ამის შესახებ (თუ გათავისუფლების აქტში სხვა რამ არ არის მითითებული).

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება გ.ც-ძის საქმეზე, რომელსაც მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. განჩინებაში, მართალია, მოხელის მიერ ქრთამის აღებაზე არ არის საუბარი, მაგრამ მისი ერთი ეპიზოდი ეხება სწორედ სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელის უფლებამოსილების შეწყვეტის დროს.

დაცვის მხარემ საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ გ. ც.-ძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, დაკითხვა, მისი დაპატიმრების მოთხოვნით სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა და სასამართლოში ამ შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობა, განახორციელეს არაუფლებამოსილმა პირებმა, მცხეთის რაიონული პროკურორის თანაშემწეებმა - თ. ნ.-მა და დ. ს. - ამ... წლის 12 აგვისტოს, როდესაც გ. ც.-ძის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე, აღნიშნული თანამდებობის პირები საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით უკვე დათხოვნილი იყვნენ პროკურატურის ორგანოებიდან მათივე პირადი განცხადების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა განხორციელებულ საპროცესო მოქმედებათა ბათილად და მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას. ყოველივე ამის საფუძველზე კი, გ. ც.-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

დიდმა პალატამ არ გაიზიარა დაცვის მხარის ასეთი პოზიცია და განმარტა, რომ შესაბამისი ადრესატის უფლება-მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ხდება ადმინისტრაციული აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის შემდეგ, ვის მიმართაც არის იგი გამოცემული.<sup>1</sup>

როგორც პალატის განჩინებაშია აღნიშნული, საქართველოს გენერალური პროკურორის #...და #...ბრძანებები თ. ნ.-სა და დ. ს.-ას პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ ... 16 აგვისტოს გადაიგზავნა მცხეთის რაიონულ პროკურატურაში, სადაც ისინი შევიდა 17 აგვისტოს. იმავე დღეს მოხდა თ. ნ.-ისა და დ. ს.-თვის მათი ოფიციალური გაცნობა, რის გამოც, შრომის კანონმდებლობის თანახმად, ხსენებულ პირებს სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუწყდათ 18 აგვისტოდან.

აღნიშნულ გარემოებათა საფუძველზე დიდი პალატა ასკვნის, რომ 12 და 13 აგვისტოს, როდესაც თ.ნ.-ი და დ. ს.-ა ბრალდებულ გ.ც.-ძის მიმართ ახორციელებდნენ საპროცესო კანონით განსაზღვრულ საგამოძიებო მოქმედებებს, ისინი ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებებში, რის გამოც ხსენებული საგამოძიებო მოქმედებები და ამ მოქმედებებთან დაკავშირებით მათ მიერ მიღებული საპროცესო აქტები არის კანონიერი და ბათილად ვერ ჩაითვლება.

ანალოგიურად უნდა გადამწყდეს მოხელის უფლებამოსილების საკითხი ზემოთ მოტანილ მაგალითში, როდესაც პეტრემ არ იცის, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თავი ისევ მოხელე ჰგონია და მოქალაქისაგან იღებს მატერიალურ გასამრჯელოს. როგორც აღნიშნული იყო, სანამ მოხელე თავის უფლებამოსილებებში რჩება, მას მანამ შეუძლია ხელყოს 338-ე მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე - სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება, მათი პრესტიჟი და ავტორიტეტი. ამიტომ ამ მაგალითში პეტრე არ არის უვარგისი სუბიექტი და მან პასუხი უნდა აგოს დამთავრებული ქრთამის აღებისათვის.

ყურადღებას იმსახურებს მექრთამეობაში შუამავლობასთან დაკავშირებული საკითხები. თუ ქრთამის მიმცემმა მოხელისთვის გადასაცემად თანხა მისცა შუამავალს და ამ დროს დააკავეს, გვეჩვენა ქრთამის მიცემის მცდელობა.<sup>2</sup> ცხადია, იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა მანამდე მოხელისთვის ქრთამის შეთავაზებას ან დაპირებას (პირადად ან შუამავლის მეშვეობით) ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება შუამავალს, იგი არის ქრთამის მიმცემის მიერ ჩადენილი ქმედების თანამონაწილე, კერძოდ, დამხმარე და თანამონაწილეობის აქსერორული ბუნებიდან გამომდინარე, პასუხს აგებს 25-19-339-ე მუხლებით.

<sup>1</sup> supremekurt.ge. საქმის #202კოლ.

<sup>2</sup> Thomas Fischer, Strafgesetzbuch, 61. Aufl, München, C.H.BECK, 2014, § 334, Rn.(5) 5).



ქრთამის მიმცემი მცდელობისთვის აგებს პასუხს ცრუ შუამავლობის დროსაც. ცრუ შუამავალი არის პირი, რომელიც ატყუებს ქრთამის მიმცემს, იღებს მისგან ფულს ან სხვა ფასეულობას, თითქოსდა მოხელისთვის გადასაცემად და ითვისებს მას. ასე რომ, ცრუ შუამავალი მოტყუების გზით ეფელდება სხვის ნივთს. ამიტომ ის პასუხს აგებს თაღლითობისათვის. რაც შეეხება ქრთამის მიმცემს, ე.ი. პირს, ვინც მოხელისთვის გადასაცემად ცრუ შუამავალს ქრთამი მისცა, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, მისი ქმედება ქრთამის მიცემის მცდელობად უნდა ჩაითვალოს.<sup>1</sup>

ზოგიერთ ავტორს ამგვარი კვალიფიკაცია 339-ე მუხლის ფორმალურ დელიქტად ჩამოყალიბების შემდეგ, შეეძლება მიაჩნია. თემურ ცქიტეშვილი თავის სადოქტორო დისერტაციაში აღნიშნავს, რომ კანონის მოქმედი რედაქციის პირობებში, ცრუ შუამავლობის დროს ქრთამის მიმცემის ქმედება არ შეიძლება მცდელობად ჩაითვალოს.<sup>2</sup> მოგვიანებით გამოცემულ მონოგრაფიაში თ. ცქიტეშვილი ნაკლებად კატეგორიულია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და იგი „საკამათოდ“ მიაჩნია.<sup>3</sup>

ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემის დროს ქრთამის მიმცემმა პასუხი უნდა აგოს დამთავრებული დანაშაულისათვის. მან გააკეთა ყველაფერი - მისცა ქრთამი შუამავალს, რის შემდეგაც ის აღარ ბატონობს ქმედებაზე. თუმცა თუ საკითხს ღრმად ჩაუვკვირდებით, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: მართალია, ქრთამის მიცემა ფორმალური დელიქტია, მაგრამ კანონი მოითხოვს მოხელისთვის ქრთამის შეთავაზებას ან დაპირებას. ცრუ შუამავლობის დროს კი, ქრთამის მიმცემს მოხელისთვის არ შეუთავაზებია ქრთამი და არც მიუცია. მან ქრთამი შუამავალს მისცა, რათა ამ უკანასკნელს იგი მოხელისთვის გადაეცა. შუამავალი კი თაღლითი აღმოჩნდა და თანხა მიისაკუთრა. ასე რომ, ქრთამის მიმცემმა ყველაფერი მაინც ვერ გააკეთა, რასაც დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის კანონი მოითხოვს. მან მიზანს ვერ მიაღწია და ვერ შეძლო შუამავლის მეშვეობით მოხელისთვის ქრთამის მიცემა. მცდელობის დროს ხომ სუბიექტური მხარე სჭარბობს ობიექტურს, რაც გვაქვს სწორედ ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემისას.

ასე რომ, მოხელისთვის გადასაცემად შუამავლისათვის ქრთამის მიცემის შემთხვევაში ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია შუამავლის ქმედებაზე. თუ ამ უკანასკნელმა ქრთამი გადასცა მოხელეს, ქრთამის მიმცემი პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისთვის, ხოლო თუ ქრთამის საგანი შუამავალმა მიისაკუთრა (ცრუ შუამავლობა) - სახეზეა ქრთამის მიცემის მცდელობა.<sup>4</sup> ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობა სსკ-ის 19-339-ე მუხლებით, კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის პირობებშიც, სავსებით გამართლებულია.

### დამონშებული წყაროები

1. ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, „მერიდიანი“, 2014;
2. თემურ ცქიტეშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი, „მერიდიანი“, 2015;
3. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრინი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი, „მერიდიანი“, 2011;

<sup>1</sup> ირაკლი დვალიძე წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (რედ-ები: გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 165-166; მზია ლეკვიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, (რედ. გოჩა მამულაშვილი), თბილისი, „მერიდიანი“, 2017, გვ. 360; თ. გამყრელიძის აზრით, ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემა უვარგისი მცდელობაა. თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, „მერიდიანი“, 2013, გვ. 251.

<sup>2</sup> თ. ცქიტეშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, დისერტაცია, თბილისი, 2014, გვ. 246-247. [Tsu.edu.ge](http://Tsu.edu.ge).

<sup>3</sup> თ. ცქიტეშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი, „მერიდიანი“, 2015, გვ.274.

<sup>4</sup> შეიძლება ვიდავოთ იმაზე, ამ შემთხვევაში დამთავრებული მცდელობა გვაქვს თუ დაუმთავრებელი. ირაკლი დვალიძეს ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემა ფორმალურ დანაშაულებში დამთავრებული მცდელობის შესაძლებლობის საილუსტრაციოდ მოჰყავს. წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (რედ-ები გურამ ნაჭყებია, ირაკლი დვალიძე), თბილისი, 2007, გვ. 165; საწინააღმდეგო თვალსაზრისი იხ.: თამარ ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, (რედ. გოჩა ფერაძე), თბილისი, „მერიდიანი“, 2019.



4. იოჰანეს ვესელსი/ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, (რედ. ირაკლი დვალიძე, მთარგმნ. ზურაბ არსენიშვილი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010;
5. ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, „მერიდიანი“, 2013;
6. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომხილვა. მეცხრე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 2013;
7. პაატა ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, „იურისტების სამყარო“, 2018;
8. Thomas Fischer, Strafgesetzbuch, 61. Aufl, München, C.H. BECK, 2014;
9. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი, დანაშაულის მომზადების დასჯადობა ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის მცდელობის შესახებ გერმანული მოძღვრების გათვალისწინებით, წიგნში: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“, (სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული), რედ. მერაბ ტურავა. თბილისი, „მერიდიანი“, 2013;
10. თამარ ებრალიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, (რედ. გოჩა ფერაძე), თბილისი, „მერიდიანი“, 2019.
11. კორუფციასთან ბრძოლის ევროპული კონვენცია.  
<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/173>.
12. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge); საქმის #202კოლ.

## თამარ ებრალიძე

### მექრთამეობის დელიქტები და დანაშაულის განვითარების სტადიები

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია ქრთამის აღებისა და მიცემის, როგორც ფორმალური დელიქტების კვალიფიკაციასთან. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის საკითხებს. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ფორმალურ დელიქტთა იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ქრთამის აღება/მიცემის მცდელობა, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. რაც შეეხება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას, იგი მხოლოდ მაშინ უნდა დაისაჯოს, როცა პირი სოციალური ადეკვატურობის ზღვარს გადალახავს. მანამდე მისი ქმედებანი მის პიროვნულ სფეროში რჩება და დასჯად მომზადებად არ უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მექრთამეობის დელიქტებში დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის პრობლემას.

Tamar Ebralidze

### Bribery offenses and stages of crime development

#### Abstract

This article discusses the difficulties associated with giving and accepting bribe, as the formal qualification of the offenses. First of all, this concerns the issues of crime preparation and attempt. The author states that due to the legal nature of formal offenses, attempting to take/give a bribe is impossible in most cases. However, there are exceptions. As for the creation of conditions for the crime commitment, it should be punished only when a person exceeds the threshold of social adequacy. Until then, his actions remain in his personal sphere and should not be considered as preparation for punishment. Particular attention is paid to the problem of distinguishing crime preparation and attempt in bribery offences.



## გივი ლობჯანიძე

### ძველი ჩინეთი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

გავრცელებულია აზრი, თითქოს თავდაპირველად საზოგადოებაში ომს არ ჰქონია არავითარი წესი. ამ თეზას შეიძლება დავეთანხმოთ და შეიძლება არა, რადგანაც ადამიანი, ანუ „ჰომო საპიენსი“, ყოველთვის უფროთხილდებოდა სიცოცხლეს, რადგანაც მან თავიდანვე იწამა, მისი დაკარგვით რომ ყველაფერი ქრებოდა. ამ გზით კი ადამიანი სხვისი სიცოცხლის დასახსნელად საკუთარს სწირავდა, რითაც ზოგადად ღირსებას იცავდა. ასე მოიქცა 300 სპარტელი, ბერძნების და 200 დიდგორელი ქართველთა გადასარჩენად, მათ შორის განსხვავება ერთშია: სპარტელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იდგნენ დაცვაში და „იდგნენ სასიკვდილოდ“. დიდგორელები კი თვითონ წავიდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, „მიდიოდნენ სიკვდილზე“. აქ თავდადების და გმირობის ორი სხვადასხვა სახეა.<sup>1</sup> თუმცა მიზანი - ერთი. ასე მოიქცა დემეტრე მეფე (თავდადებული) ქვეყნის გადასარჩენად „ჩემი ქვეყანა მტერს არ ავაოხრებინო, წავიდა და წამებული გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელით“.<sup>2</sup> რა თქმა უნდა, ყველას როდი შესწევს ძალა სიცოცხლე დათმოს სხვის გადასარჩენად, მაგრამ მათ გარეშეც ისტორია რა იქნებოდა. ჩვენი აზრით, ჰუმანიტარული სამართლის ნორმები მშვილდ-ისართან ერთად გაჩნდა კაცობრიობის ისტორიაში, თუმცა ამ დარგის ნორმების კოდიფიკაციას ძალიან დიდი დრო მონაწილეობა ადამიანმა.

ჰუმანიტარული სამართლის გნოსეოლოგიური ფესვების გააზრებისათვის რამდენიმე ტრადიციული ქვეყნის „ომის კანონების“ განხილვა გადავწყვიტეთ, და გზამ ჩინეთთან მიგვიყვანა.

#### სუნ-ძის სამხედრო დოქტრინა

ძველი ჩინეთის მოღვაწეთა მიერ დატოვებულ მრავალრიცხოვან თეორიულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი სამხედრო ხელოვნების ამსახველ ნაშრომებს უჭირავს. ჩინეთის სამხედრო მეცნიერება მრავალ თხზულებას ითვლიდა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სუნ ძის ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, ღრმა ფილოსოფიური ნააზრევია. მან საუკუნეებს გაუძლო, და დღესაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც ძვ.წ.ად. VI – III ს.ს. ის ჩინეთში. მისი მთარგმნელისა და კომენტატორის ნ. კონრადის აზრით, სუნ ძის როლი მართლ ჩინეთით არ შემოიფარგლებოდა: ზუსტად იმავე როლს ასრულებდა სუნ ძის ტრაქტატი ძველ კორეასა და ფეოდალურ იაპონიაში. იქაც ის იყო ავტორიტეტი იმ საკითხებში, რომლებიც ომს შეეხებოდა.<sup>3</sup>

თანამედროვე მსოფლიომ სუნ ძი და მისი ტრაქტატი სახელმძღვანელო დოქტრინად აქცია. აზიისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სამხედრო საგანმანათლებლო სისტემაში აუცილებელი ელემენტი გახდა. იმ ქვეყნებს შორის შეიძლება დასახელდეს აშ.შ., რომელიც სასწავლო პროცესში იყენებს „სუნ ძის სამხედრო დოქტრინას“.<sup>4</sup>

ვინ იყო სუნ ძი, მის შესახებ ერთადერთი წყარო არსებობს, რომელიც ძალზე მწირ ინფორმაციას იძლევა. ეს არის სიმა ციანის წიგნი „ისტორიული ჩანაწერები“, სადაც გადმოცემულია, რომ სუნ ძის სახელად

<sup>1</sup> ირ. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1990წ, გვ. 103

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. VI, გვ. 187-188 (იგივე გააკეთა ლუარსაბ მეფემ)

<sup>3</sup> ნ. კონრადი, სუნ ძი, თბ. 2000 წ. გვ. 5-12

<sup>4</sup> ამის რეალური თვითმხილველი თქვენი მონა მორჩილია, როდესაც 2001 წლის 8-21 სექტემბერს საქართველოში ამერიკის საელჩოს დახმარებით, ნიუ მექსიკის შტატში ე. სოკოროში, საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებთან დაკავშირებულ პროგრამაში ვმონაწილეობდი. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყენებდა ნ. კონრადის წიგნის ინგლისურ ვარიანტს, როდესაც დელეგაციის წევრებმა ვთხოვეთ დაგვხმარებოდნენ წიგნის შექმნაში, პროცედურა ძალიან პრობლემური გვეჩვენა, წიგნის გამოწერას ნ თვე მაინც დასჭირდებოდა, თუ კი საერთოდ მოიძებნებოდა სა-რეალიზაციო ეგზემპლარი.. სამშობლოში დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ-ლეიტენანტ ვ. გურგენიძეს შევხვდი, რომელმაც წიგნი მაჩუქა და ეს აღმოჩნდა სწორედ ნ. კონრადის სუნ ძი-ს ქართული თარგმანი. როგორ ვინატრე, ყველაფერი ეს ეხილა ჩვენს ამერიკელ მეგობარს, რომელმაც წიგნის უნიკალურობის გამო ფაქტურად მისი შექმნის იმედი გადაგვიწერა და ახლა ამ წიგნის მოკლე მიმოხილვას ვაკეთებ, რომელიც ჩვენს სტუდენტობას უნდა დაეხმაროს პრობლემებში გარკვევასა და მათ მეთოდურ დაძლევაში.



ერქვა იუ, რომ იგი დაიბადა ცის სამეფოში, ერთ დროს მსახურობდა ეს სამეფოს მთავარსარდლად, შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და მალე გარდაიცვალა.

სიმა ციანის გადმოცემის თანახმად, სუნ ძი მხედართმთავარია მეფე ხოლუისთან. აქ იგი წარმატებით მოღვაწეობს, სიმ ციანი გვამცნობს, რომ სუნ ძიმ ჩუს სამეფო გაანადგურა, რომელიც ეს დასავლეთით მდებარეობდა. მან დაიპყრო მისი დედაქალაქი ინი: ჩრდილოეთით ორი სხვა სამეფო დამარცხა - ცი და წინი. სწორედ მის გამარჯვებას უნდა უმაღლოდეს ეს სამეფო თავის ძლიერებას და სხვა სამეფოთა შორის მდგომარეობის განმტკიცებას. ტრაქტატის შექმნის პერიოდთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. საბოლოოდ ჩამოყალიბდა აზრი, რომ ძეგლის შექმნის დრო ძვ. წ. აღ. VI – V საუკუნეებია.<sup>1</sup>

სუნ ძიმ თქვა: ომი – ეს არის დიდი საქმე სახელმწიფოსათვის, ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის, ეს არის გზა არსებობისა და გზა დაღუპვის. ეს უნდა გავაცნობიეროთ. ასე იწყებს სუნ ძი წინასწარ გათვლებს, რომელიც 5 ცნებისაგან შედგება (მას გაიაზრებენ 7 გათვლით და განსაზღვრავს მდგომარეობას) ესენია: გზა – ეს არის, როცა მიიღწევენ იმას, რომ ხალხისა და მმართველის აზრები ერთმანეთს ემთხვევა, როცა ხალხი მზადაა, მასთან ერთად მოკვდეს, მასთან ერთად იცოცხლოს, როცა მას არც არაფრის ეშინია და არც არაფერს უყურებს ეჭვის თვალთ.

ცა – ეს არის ნათელი და ბნელი, საცივე და სიცხე; ეს არის დროის კანონები.

მიწა – ეს არის შორეული და ახლობელი, სწორი და უსწორო, ფართო და ვიწრო, სიკვდილი და სიცოცხლე.

სარდალი – ეს არის გონი (ჭკუა) მიუკერძოებლობა (სამართლიანობა) ჰუმანურობა, ვაჟკაცობა, სიმტკიცე.

კანონი – ეს არის სამხედრო წყობა, სარდლობა და უზრუნველყოფა. არ არსებობს სარდალი, რომელსაც არ გაეგოს ამ ხუთი ცნების შესახებ, მაგრამ მათგან იმარჯვებს ის, ვინც მათ შეითვისებს, ის კი ვინც მას არ შეითვისებს, ვერ გაიმარჯვებს.

სუნ ძი თვლის, რომ ამ ვითარებიდან გამომდინარე ომს განსაზღვრავენ 7 ცნებით:

რომელი ხელმწიფე ფლობს ამ გზას? რომელ სარდალს ჰყავს ტალანტები? ვინ გამოიყენა ცა და დედამიწა? ვის უსრულებენ წესებს და ბრძანებებს? ვის ჰყავს უფრო ძლიერი ჯარი? ვისი ოფიცრები და ჯარისკაცები არიან უკეთესად განვრთვინისთვის განსწავლული? ვისთან აჭილდობენ და სჯიან სამართლიანად.

სუნ ძის დასკვნით, ყოველივე ამით გავიგებთ, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება.<sup>2</sup>

სუნ ძის აზრით, თუ სარდალი გამოიყენებს იმ წესებს, რომელიც მან ჩამოაყალიბა, უსათუოდ გაიმარჯვებს, მაგრამ მისთვის მთავარია არა მარტო გამოყენება, არამედ მათი შეთვისება რის გარეშეც გამარჯვება არ მიიღწევა, მითუმეტეს, თუ იგი შეითვისებს მათ სარგებლობის მიზნით, ეს წესები შექმნიან პოტენციალს, რომელიც ყველგან დაეხმარება.

პოტენცია კი, მისი აზრით, არის ტაქტიკის გამოყენების უნარი სარგებლობის მიზნით.

საინტერესოა სუნ ძის აზრი ომის შესახებ, იგი მას მიაჩნია მოტყუების გზად. ამიტომ დასაშვებად თვლის მონინაალმდევის მიმართ გამოიყენოს მოჩვენებითობის პრინციპი. ეს ითვალისწინებს შორს და ახლოს ყოფნას, ინფორმაციით ცუდ ხასიათზე მის დაყენებას, საკუთარი „უსაფრთხოების მოჩვენებით“ თავზე დიდი წარმოდგენის შექმნას, უმართაობას, მოქანცვას, გათიშვას და მოულოდნელ თავდასხმას. როცა მონინაალმდევე ამას არ ითვალისწინებს, მისი აზრით, ყოველივე ეს უზრუნველყოფს მეომრის გამარჯვებას, წინასწარი რჩევის მიცემის გამოიციხვით.

საინტერესოა მისი დასკვნები სხვა თვალსაზრისითაც. ასე მაგ. ვინც ჯერ კიდევ ბრძოლის დასაწყისში იმარჯვებს გათვლებით, მას დიდი შანსი აქვს: ვინც ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე ვერ იმარჯვებს გათვლებით, მას ბედი ნაკლებად უღიმის, ვისაც ბედი უღიმის – იმარჯვებს: ვისაც ბედი ცოტათი უღიმის – ვერ იმარჯვებს: მით უმეტეს ვერ იმარჯვებს ის, ვისაც შანსი საერთოდ არა აქვს. ამიტომ ერთ-ერთი მათგანის დანახვისთანავე მისთვის უკვე ნათელია, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება.

ტრაქტატის II თავი ეძღვნება ომის წარმოებას. სუნ ძი უპირატესობას ანიჭებს სწრაფ და მოკლევადიან ომის წარმოების თეორიულ საფუძვლებს. და შემოაქვს ომის წარმოების 14 წესი. თავი III აღწერს მისეული სტრატეგიული თავდასხმის გეგმას, რომელიც 9 პუნქტისაგან შედგება, ხოლო თავი IV-ში აღწერილია

<sup>1</sup> სუნ ძი. გვ. 30

<sup>2</sup> ნ. კონრადი, სუნ ძი, თბ. 2000 წ. გვ. 35-12





ფორმები, რომელიც 10 პუნქტს მოიცავს, თავი V ძღვევამოსილების 10 ვარიანტს გვთავაზობს. რაც შეეხება VI თავს, მასში აღწერილია სისავსისა და სიცარიელის თეორია, სადაც განხილულია 15 ვარიანტი, VII თავი აღწერს ომის წარმოების წესებს ანუ „ბრძოლა ომში! რომელიც 17 წესს მოიცავს. VIII თავში საინტერესოა აღწერილი ომის წარმოების წესის „ცხრა ცვლილება“ IX თავში აღწერილია ლაშქრობის დროს გასათვალისწინებელი 21 პოზიცია. X თავში მოცემულია ბრძოლის ადგილის მნიშვნელობა და ვარაუდი, აღწერილია რეალურად არსებული ადგილის 6 ვარიანტი. სადაც 15 პრინციპია გათვალისწინებული. XI თავი ითვალისწინებს ცხრა ადგილს და 31 ვარიანტს. XII თავში აღწერილია საცეცხლე თავდასხმის 5 გასათვალისწინებელი ვარიანტი და ბოლოს XIII თავში აღწერილია ჯაშუშების გამოყენების მეთოდიკა ლაშქრობის დროს. მისი აზრით, არსებობს ჯაშუშთა ხუთი სახეობა: ადგილობრივი, შიდა, გადმობირებული, სიკვდილის და სიცოცხლის ჯაშუშები. მისი აზრით, ჯაშუშთა ხუთივე სახეობა მუშაობს და მათი გზების ცოდნა შეუძლებელია, ამას გამოუცნობი საიდუმლო“ ჰქვია. და მას სახელმწიფო განძად მიიჩნევს, რომლებსაც ხელმწიფე უნდა მართავდეს, რადგანაც არმიას ჯაშუშზე ახლობელი არავის ჰყავს.

ნიკინის წინასიტყვაობის ავტორი გენერალ-ლეიტენანტი გ. ნიკოლეიშვილი თვლის, რომ „ტრაქტატის“ პოპულარობას ისიც უწყობს ხელს, რომ ავტორი, ომის წარმოების შესახებ საუბრის დროს, მშვიდობის პოზიციებზე დგას. ამ პოზიციებიდან გვიქადაგებს იგი მთელ თავის სამხედრო თეორიას. ამავე დროს ნაშრომი დატვირთულია უდიდესი ფილოსოფიური, მშვიდობისმოყვარე მოსაზრებებით, მიუხედავად „ტრაქტატის“ მეომარი სულისა, იგი მაინც მშვიდობას ქადაგებს, სადაც ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებიც ჩანს, არ ითვალისწინებს სისასტიკეს და მიანიშნებს ომის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე.

სუნ-ძი ამტკიცებდა, რომ სამხედრო ტყვეებს კარგად უნდა მოეპყრონ, მისი აზრით, ომის დროს საუკეთესო პოლიტიკაა სახელმწიფომ დაპყრობა ზიანის მიყენების გარეშე შეძლოს, მონინალმდევის იარაღის ხელში ჩაგდება სჯობს მის განადგურებას, ასე გამარჯვების მოპოვება ას ომში არ არის საომარი ოსტატობის მწვერვალი და ა.შ.

საერთოდ, თანამედროვე უსაფრთხოების პოლიტიკაში წამყვანი ქმედებები პროფილაქტიკური, თუ შეკავებითი ხასიათისაა (დიპლომატია, ეკონომიკური ბერკეტები, ძალის დემონსტრაცია). ამით არის ჩინური „ტრაქტატი“ აქტუალური და პასუხობს დღევანდელობას. ჩინელი სამხედრო სტრატეგი თავისი სამხედრო დოქტრინით, თუ მშვიდობისმოყვარული პოზიციებით თითქოსდა საფუძველს უყრის დღეისათვის ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფენომენს, როგორცაა სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები, მათი დემოკრატიზაცია და გამჭვირვალობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ძვ.წ. VI-III სს-ში დაწყებული ამ ცნების ჩანასახი რიგ ქვეყნებში დღესაც ჩამოუყალიბებელია. სამწუხაროდ, ამ ქვეყანათა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება.<sup>1</sup>

## დასკვნა

განხილული სუნ ძის სამხედრო ტრაქტატის შინაარსიდან ნათელი წარმოდგენა იქმნება, თუ სიბრძნეს როგორ შეუძლია დააკავშიროს ერთმანეთს დროსა და სივრცეში უდიდესად დაშორებული თაობები და თავისი გონივრული კონცეფციებით კაცობრიობას დაეხმაროს მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში. ასეთად ჩაითვლება სუნ ძის „ტრაქტატი“ ანუ „ომის წარმოების დოქტრინა“.

## დამონებული წყაროები

1. კონრადი ნ., სუნ ძი, თბ., 2000;
2. ლობჯანიძე გ., საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 2013;
3. ჭავჭავაძე ი. თხზ. ტ. VI;
4. ჯორჯაძე ირ., ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1990.

<sup>1</sup> ნ. კონრადი, სუნ ძი, თბ. 2000 წ. გვ. 7



გივი ლობჯანიძე

### ძველი ჩინეთი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

#### რეზიუმე

ჰუმანიტარული სამართლის გნოსეოლოგიური ფესვების გააზრებისათვის წინამდებარე ნაშრომის ავტორმა რამდენიმე ტრადიციული ქვეყნის `ომის კანონების` განხილვა გადაწყვიტა და ამჯერად არჩევანი ძველ ჩინეთზე გააკეთა.

ჩინეთის მოღვაწეთა მიერ დატოვებულ მრავალრიცხოვან თეორიულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი სამხედრო ხელოვნების ამსახველ ნაშრომებს უჭირავს. ჩინეთის სამხედრო მეცნიერება მრავალ თხზულებას ითვლიდა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სუნ ძის ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელიც სპეციალისტთა აზრით, ღრმა ფილოსოფიური ნააზრევია. მან საუკუნებს გაუძლო, და დღესაც ძველებური ინტერესით იკითხება.

ნაშრომში ასახული პოლიტიკურ-სოციალური წყობა და სამხედრო სტრატეგიები დღესაც აქტუალურია თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

Givi Lobzhanidze

### Old China and International Humanitarian Law

#### Abstract

To comprehend the historical background of the humanitarian law, the author discusses several countries' "laws of war", the old china, in particular.

In enormous theoretical inheritance left by Chinese public figures, the special importance is given to the military literary works. Chinese military science consisted of many works. Among them most important is the tractate of Sun Dzin written about the military art, which is considered a deep philosophic work by the field experts. It was popular during many centuries and is read with deep interest even today.

The political and social system reflected in the work of Sun Dzin and the military strategies described in detail are actual even for the contemporary international society.



## დავით ლობჯანიძე

### ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირითადი ნიშნები და ადგილობრივი (მუნიციპალური) მმართველობის ცნება

ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების სისტემა, როგორც წესი, იგება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება ნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიის დაყოფას განსაზღვრულ ერთეულებად სახელმწიფოს რაციონალური მართვის მიზნით. ასეთი მიდგომა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. როგორც წესი, ამ დანაწილების საფუძველში დევს მართვის მოხერხებულობა, სიადვილე, სხვა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების წარმოქმნას, და რომლებსაც შეიძლება მიეკუთვნოს: ბუნებრივ-გეოგრაფიული (მაგალითად, ეს ერთეულები იქმნება დიდი ქალაქების ირგვლივ), დემოგრაფიული ხასიათის (ერთეულები იქმნება მოსახლეობის დაახლოებით თანაბარი რაოდენობით), მოსახლეობის ნაციონალური ან ეთნიკური შემადგენლობა, საყოველთაო ყაიდის, წესის, რელიგიური ხასიათის ფაქტორები და პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებები.

ცნობილი ფაქტია, რომ ადმინისტრაციული ერთეულები არსებობს უხსოვარი დროიდან, ე.ი. ისინი ისტორიულად ჩამოყალიბდა ყოფილი ფეოდალური ერთეულების ტერიტორიებზე, სადაც მოქალაქეები თავიდანვე განიხილავდნენ საკუთარ თავს ამ ტერიტორიის ნაწილად. თუმცა გეოგრაფიული საზღვრები არ წარმოადგენენ რაღაც ხელშეუხებელს, ისინი იცვლებოდნენ ცხოვრების პირობებისა და კანონების შესაბამისად.

როგორც წესი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, იგება ამ ერთეულების მართვის ორგანოთა სისტემა. ეს შეიძლება იყოს თვითმმართველობის სტრუქტურები, რამდენადაც ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს ხელისუფლების ან მართვის განხორციელების ორგანო, რომელიც არ არის დამახასიათებელი სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისათვის.

მაგალითად, არსებობს დიდი და მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები. მათ მასშტაბებს შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სისტემა. სხვადასხვა ქვეყანაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სხვადასხვაგვარი სისტემა მოქმედებს: განვითარებული და ნაკლებად განვითარებული, რთული და მარტივი. ეს ქვეყნის სიდიდესა და მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ანსხვაგვარად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ორსაფეხურიან, სამსაფეხურიან და ა.შ. სისტემებს, მაგალითად, საფრანგეთში არის ხუთსაფეხურიანი სისტემა.

ადგილობრივი თვითმმართველობა აფრიკის ბევრ ქვეყანაში (კამერუნი, სენეგალი) სამრგოლიანია, ევროპაში (იტალია), ორრგოლიანია, რაც ძირითადად ჩვეულებრივ, პატარა ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. არსებობენ გამონაკლისებიც, მაგალითად, დანიის სისტემა, შემდეგნაირად გამოიყურება: ოკრუგი (ეს უფრო მსხვილი ერთეულია), მუნიციპალიტეტი (სასოფლო ერთეულები) და ქალაქები. ოკრუგი აერთიანებს მუნიციპალიტეტებს, რომლებიც ითვლება თითქოსდა მართვის მეორე რგოლად, განასხვავებენ ქალაქებს, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ მეორე რგოლი და არსებობენ თვითმმართველობის პრინციპით, არ აქვთ ზემდგომი სტრუქტურა, ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

თვითმმართველობის საკმაოდ თავისებური სისტემა არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ შტატები ტრადიციულად იყოფა ე.წ. საგრაფოებად, ხოლო საგრაფოები - ოკრუგებად. ისინი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, მათ შორის - სასოფლო ოლქი, რომლის მიზანია არსებობდეს ადგილობრივი ორგანოების სისტემის პირდაპირი დამოკიდებულება სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმასთან.

უნიტარულ სახელმწიფოებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის უფლებამოსილება შედის ცენტრალური ხელისუფლებისა და მთავრობის კომპეტენციაში, ხოლო ფედერალურ სახელმწიფოებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურების ფორმირება ფედერაციის სუბიექტის კომპეტენციაა. სხვა შტატში, მიწაზე, პროვინციაში არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია, რომელიც ხორციელდება ფედერაციის სუბიექტის, ხელისუფლებისა და მცხოვრებთა ნება-სურვილით.

სახელმწიფო-მმართველობითი ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა განაწილებული ხელისუფლება ცენტრსა და პერიფერიას შორის. საჯარო მმართველობის აუცილებელი სუბიექტი არის ტერიტორიული თანასაზოგადოება (საქალაქო ან სასოფლო დასახლება), სადაც ყალიბდება ადგილობრივი



თვითმმართველობა, როგორც მოსახლეობის შესაძლებლობა, გადანყვიტოს ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხი პირდაპირ ან ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

აქედან გამომდინარე, „ადგილობრივი თვითმმართველობა არის მოსახლეობის დამოუკიდებელი მოღვაწეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოსაწესრიგებლად“. ეს ცნება ყოველისმომცველი არ არის, მაგრამ იგი გამოხატავს ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად შინაარსს.

საზღვარგარეთულ იურიდიულსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში მუნიციპალური მმართველობის ცნება წარმოდგენილია ფართო გაგებით, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ადმინისტრირებას ადგილობრივ ერთეულებში. აქ იგულისხმება ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რომელთა ერთობა ქმნის ადგილობრივ თვითმმართველობას.<sup>1</sup>

ადგილობრივ თვითმმართველობას, როგორც დამოუკიდებელ სამართლებრივ წარმონაქმნს, აქვს დამახასიათებელი ნიშნები:

1) იგი იქმნება ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით, რაც იმას ნიშნავს, რომ სარგებლობს დამოუკიდებლობით, რაც იურიდიულად განმტკიცებულია საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში, რაზედაც უფრო კონკრეტულად ქვემოთ გვექნება მსჯელობა. ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში განსაკუთრებული ურთიერთობა მყარდება ადგილობრივ მოსახლეობასთან. კანონმდებლობა ითვალისწინებს, მაქსიმალურად იქნას დაცული ადამიანის უფლებები და კონტროლის ფორმები ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობაზე. მაგალითად, საფრანგეთში ნებისმიერი პირი, რომელიც იხდის გადასახადს, უფლებამოსილია, მოითხოვოს მუნიციპალური ორგანოს სხდომის ოქმი, სადაც ასახული იქნება მისთვის საინტერესო პრობლემის გადანყვიტის შინაარსი. ასევე, უფლება აქვს, შეისწავლოს ადმინისტრაციული დოკუმენტაცია. ამერიკის ზოგიერთ შტატში მოსახლეობა სარგებლობს ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის გამონვევის უფლებით. 2) ტერიტორიული ავტონომია და ადგილობრივი თვითმმართველობა ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის ძირითადი საფუძველი სწორედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპია. ამას ვერ ვიტყვით ტერიტორიისა თუ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მცირე ქვეყნებზე. (მაგალითად, სინგაპური, ნაურუს კუნძულები). ამდენად, ამა თუ იმ ქვეყანაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად დაყოფის სხვადასხვა მაგალითს ვხვდებით. არსებობენ ორდონიანი (დანია, ფინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, იაპონია, ახალი ზელანდია), სამდონიანი (იტალია, ინდოეთის ზოგიერთი შტატი, მონღოლეთი, კოლუმბია), ოთხდონიანი (გერმანია, ერაყი, სირია, კამერუნი) და ხუთდონიანი (საფრანგეთი, ზაირი).

მსოფლიოში მეტნაკლებად გავრცელებულია ორდონიანი და სამდონიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ასეთ პირობებში ძირითად რგოლებად ითვლება ქალაქი, სოფელი და დაბა, შედარებით დიდ ქალაქებში - ქალაქის რაიონები, ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო რგოლად მიჩნეულია სოფლების ჯგუფი. შედარებით მსხვილი ტერიტორიული ერთეულებია პროვინციები, პრეფექტურები და ა.შ. ყველაზე დიდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად ითვლება რეგიონი და მხარე. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც წესი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში იქმნება (აშშ, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ბრაზილია, კოლუმბია).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ნებისმიერი ქვეყნისათვის წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან და სათუთ საკითხს, ამიტომ იგი დიდ ყურადღებასა და არაერთი ფაქტორის გათვალისწინებას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხშირად წარმოიშობა პრობლემები, რაც შეიძლება ეთნოკონფლიქტშიც კი გადაიზარდოს.

უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე გეოპოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა განაპირობეს ფართომასშტაბიანი რეფორმების ჩატარება. ბევრმა ქვეყანამ (ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, გერმანია, სკანდინავიის ქვეყნები) შეამცირა წვრილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა, რის ხარჯზეც გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიები და მოსახლეობის რაოდენობაც. მაგ. შვეიცარიაში კომუნების რაოდენობა თითქმის 4-ჯერ შემცირდა. დანიაში კი - ხუთჯერ, მათ ხარჯზე შეიქმნა რეგიონები – შედარებით მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, რომლებსაც, საფრანგეთში, ბელგიაში, საბერძნეთში, პერუში და სხვა ქვეყნებში, მიენიჭათ ადგილობრივი

<sup>1</sup> H.F. Alderfer, Local government in itveleping covtries N.Y. 1964, p. 117.



თვითმმართველობის სტატუსი. ევროპის საბჭო მხარს უჭერს მსხვილი რეგიონების შექმნას, რადგანაც ბევრი პროგრამა სწორედ სამხრეთის სისტემაზეა გათვლილი.

პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებსაც, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბება დაკავშირებული არ არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპთან. ასე, მაგალითად, აშშ დაშვებულია ადგილობრივი (მუნიციპალური) კორპორაციების შექმნა.

ადგილობრივი ხელისუფლების ტერიტორიული მართვის ორგანიზაციის ფორმად, განსაკუთრებით ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში, ჩამოყალიბდა მუნიციპალური კორპორაციები, რომლისათვისაც დამახასიათებელია:

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელოს თავისი უფლებამოსილებანი, რომლებიც ატარებს საჯარო და სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს.

სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებანი გამომდინარეობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან. ამ ძალაუფლების პრინციპის მიხედვით, ის ერთდროულად არის მმართველობაც და ადგილობრივი თვითმმართველობაც.

ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა სფეროს ყველა ორგანო, მათ შორის, მუნიციპალური საბჭოებიც „კორპორაციული შინაარსისა“.

ადგილობრივი მმართველობის ყველა ორგანო დამოუკიდებელ იურიდიულ პირს წარმოადგენს.

ადგილობრივი მართვის ორგანოებს უფლება აქვთ განახორციელონ ადმინისტრაციული მმართველობაც.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებს ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირი კენჭისყრის წესით ირჩევენ და ისინი ითვლებიან მათ წარმომადგენლად.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა თავიანთი ფუნქციები უნდა შეასრულონ, უპირველეს ყოვლისა, კანონის შესაბამისად, ასევე, ადგილობრივი ერთეულის რესურსებისა და შესაძლებლობების მიხედვით.<sup>1</sup>

მაგალითად, ამ კორპორაციებისათვის სტატუსის მინიჭება რთული და ბიუროკრატიული გზის გავლას ითვალისწინებს. ასეთი კორპორაციების შესაქმნელად მოსახლეობის 25%-მა ხელი უნდა მოაწეროს პეტიციას, რომელიც იგზავნება სპეციალური ფორმის დაცვით შტატის შესაბამის ორგანოში და რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გადის მოსახლეობის სამსჯავროზე რეფერენდუმის წესით. საკითხი საბოლოოდ დადებითად გადაწყდება, თუ მას ხმას მისცემს რეფერენდუმის მონაწილეთა ნახევარზე მეტი. ასეთ შემთხვევაში შტატის მდივანი ადასტურებს რეფერენდუმის შედეგებს.

3) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ფუნქციონირების დამოუკიდებლობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ერთი მხრივ, მოქმედებენ დამოუკიდებლად. მეორე მხრივ, ისინი ვალდებული არიან, ერთმანეთთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ითანამშრომლონ რთული და სერიოზული პრობლემების მოგვარების დროს. უპირველეს ყოვლისა, კანონი განსაზღვრავს, რა საკითხების მონესრიგება შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობის ამა თუ იმ ორგანოს დამოუკიდებლად და რისი - არა.

იურიდიულად მუნიციპალური ორგანოები არ ექვემდებარება ცენტრალურ ადმინისტრაციას. ისინი ფლობენ ფინანსურ დამოუკიდებლობას და აქვთ საკუთარი სამსახურები. ცენტრალურ ხელისუფლებას უფლება არა აქვს, გასცეს სავალდებულო განკარგულებები, რომელიც შეეხება ადგილობრივი საკითხების მონესრიგებას, ვერ აუქმებს და ცვლის მათ გადაწყვეტილებებს ადმინისტრაციული წესით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თავისუფლების დონე უთანაბრდება ანგლოსაქსონურ და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას არა მარტო სამართლებრივად, არამედ რეალურადაც, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი დამოუკიდებლობის დონეს მეტ-ნაკლებად მაინც განსაზღვრავს პოლიტიკური რეჟიმი. ამიტომ სამართლებრივ სახელმწიფოებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებულია, თვითმმართველობა გაცილებით უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე განვითარებად და გარდამავალი პერიოდის მდგომარეობის ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის გნოსეოლოგიური ფესვები, თეორიული თვალსაზრისით, ძველალმოსავლური და ანტიკური პერიოდის ხალხთა ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ, დღევანდელი მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში იგი სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების პროცესშია. ამითაა განპირობებული, რომ

<sup>1</sup> Cm. Bleck S., Law Dictionary//Fifth edition 1979, p. 917; J. Garner, Administrative Law //Fifth edition, P. 385-389



ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სამართლებრივი და ფაქტობრივი სტატუსის სხვადასხვა ასპექტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამართალმცოდნეთა ყურადღების მუდმივ საგანს წარმოადგენს. სწორედ ამან განაპირობა სხვადასხვა დონეზე მუნიციპალური სამართლის ჩამოყალიბება. ტერმინი „მუნიციპალური“ ლათინური წარმოშობისაა (მუნიციპიუმ) და ნიშნავს თვითმმართველ თემს. თანამედროვე კანონმდებლობაში ტერმინები „მუნიციპალური“ და „ადგილობრივი“ ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ერთიანი აზრი თვითმმართველობის ძირითად ინსტიტუტებთან დაკავშირებით არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, თუმცა არსებობს მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულებები ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ფორმებზე. წინამდებარე ნაშრომში განხილულია თვითმმართველობის პრობლემებზე არსებული გავრცელებული და პოპულარული შეხედულებები და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მმართველობისა და თვითმმართველობის სამართლებრივი ასპექტები.

პოლიტიკურსა და სამართლებრივ ლიტერატურაში ასახულ თეორიასა და პრაქტიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უშუალოდ მოქალაქეები ირჩევენ, ხოლო ადგილობრივ მმართველობაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეები არიან. ეს არის მათ შორის არსებული მთავარი განსხვავება. თუმცა სპეციალისტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ არჩევითობა არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთადერთი ნიშან-თვისება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არამარტო უნდა ირჩეოდნენ, არამედ აღჭურვილნი უნდა იყვნენ უფლებამოსილების განმსაზღვრელი კომპეტენციებით გარკვეულ დონეზე, ე.ი. უნდა ფლობდნენ რეალურსა და არაფორმალურ უფლებებს.

ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილება, როგორც წესი, განმტკიცებულია სპეციალურ ნორმატიულ აქტებით. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კონსტიტუცია შეიცავს ან თავებს, ან ცალკეულ მუხლებს, რომლებიც ეძღვნება ადგილობრივ თვითმმართველობას. როგორც წესი, ასეთი თავები მოკულობით მცირეა, მაგრამ უფრო ფართო გაგებით სპეციალურ მოქმედ კანონმდებლობას უკავშირდებიან. მაგალითად, იაპონიის კონსტიტუცია შეიცავს მე-8 თავს „ადგილობრივი თვითმმართველობა“. ამ თავში შედის მხოლოდ ოთხი მუხლი (92-95). იგი ასახავს იმ ძირითად პრინციპებსა და დებულებებს, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობას ეხება. მასში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში არსებობს ასეთი ორგანოები და მათი საქმიანობა დგინდება კანონით. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მთავარ თანამდებობის პირებს ირჩევს მოსახლეობა, არჩევით ორგანოებს აქვს საკუთარი ქონების მართვის უფლება. სპეციალური კანონი, გამოყენებული რომელიმე კონკრეტული ადგილობრივი ორგანოს მიმართ, შეიძლება გამოსცეს პარლამენტმა მხოლოდ ამ ადგილობრივი ორგანოს ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლების უმრავლესობის თანხმობით, რაც, მკვლევართა აზრით, საკმაოდ დემოკრატიული დებულებაა და ნებისმიერმა სახელმწიფოებრივმა წარმომადგენლობითმა ორგანომ, თუ კანონი მათ ინტერესებს ეხება, უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული რეგიონის მცხოვრებთა აზრი.

იტალიის კონსტიტუციაში არის მე-5 პუნქტი - „ოლქები, პროვინციები და თემები.“<sup>1</sup> ეს თავი ძირითადად ოლქების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის უფლებამოსილებათა მოსაწესრიგებლადაა გამოიზნული. ოლქების სტატუსი იტალიაში საკმაოდ სპეციფიკურია. ოლქი – ეს არის მსხვილი რეგიონი. იტალიაში ოლქი ხასიათდება ავტონომიურობისა და განსაკუთრებულობის სტატუსით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლომდე ვერ ამართლებს „ადგილობრივი“ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცნებას. ამ ორგანოებს აქ უფრო წონადი სტატუსი აქვს. რაც შეეხება პროვინციებისა და კომუნების ორგანოების სტატუსს, იტალიის კონსტიტუციაში მათზე ძალიან მოკლედ არის აღნიშნული: „პროვინციები და თემები მოქმედებს დადგენილი პრინციპების ფარგლებში“ (მუხ. 128); „პროვინციები და თემები აგრეთვე ითვლება სახელმწიფო საოლქო დაყოფის ტერიტორიულ ერთეულებად“ (მუხ. 129). მითითებულია ისიც, რომ მათი საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება ხდება კანონით.<sup>2</sup>

გერმანიის კანონმდებლობა საკმაო სიხალდით აწესრიგებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის საკითხებს. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი რამდენიმე მუხლი შესულია ფედერალურ კონსტიტუციაში – გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძირითად კანონში. ეს არის მუხლი 28, რომელშიც ნათქვამია, რომ მიწების, ოკრუგების, თემების ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხს უნდა ჰყავდეს

<sup>1</sup> ა. დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბ., 1992, გვ. 202.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 202.



პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის გზით არჩეული წარმომდგენლობა. აქვე მითითებულია, რომ თემებს უნდა ჰქონდეს კანონის ფარგლებში მინიჭებული ადგილობრივი საზოგადოების ყველა საკითხის მონესრიგების უფლება.<sup>1</sup>

თემებში იგულისხმება ადგილობრივი დონის ტერიტორიული ერთეულები, ე.ი. უფრო ნაკლები, ვიდრე მიწის ფედერაციის სუბიექტები. თემების გაერთიანების შესახებ ლაპარაკია, აგრეთვე, 105-ე მუხლის 3 პუნქტში. თუმცა, თუკი გერმანიის კანონმდებლობას ავიღებთ, უფრო დანვრილებით ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი მიწების დონეზე წესრიგდება. გერმანიაში ყოველ მიწას საკუთარი კონსტიტუცია და თითოეულ მათგანში მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობისადმი მიძღვნილი კანონები აქვს. არსებობს ვრცელი დებულება ბადენ-ვიურტემბერგის მიწის თემების თაობაზე. ეს დებულება ხუთი ნაწილისაგან შედგება და 147 პარაგრაფს შეიცავს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ამ მოცულობის ნორმატიული აქტი აღნიშნულ საკითხს საკმაოდ ნათლად აწესრიგებს. ერთობ ლაკონურადაა ასახული თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების თემა საფრანგეთის კონსტიტუციაში, რომელიც შეიცავს მე-12 პუნქტს „ტერიტორიული კოლექტივების შესახებ“. მასში მოხსენიებულია ამ ქვეყნის მხოლოდ ორი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ადგილობრივ ორგანოებს. „რესპუბლიკის ტერიტორიულ კოლექტივებად ითვლება კანტონები, დეპარტამენტები, ზღვისიქითა ტერიტორიები. ეს კოლექტივები თავისუფლად იმართება არჩევითი ორგანოების მიერ კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვისას“ (მუხ. 72). საფრანგეთის კონსტიტუციითაა განმტკიცებული ადმინისტრაციული ერთეულების ავტონომიურობა და განსაზღვრავს ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობის პრინციპი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფრანგული თვითმმართველობის ყველა საკითხი კანონით წესრიგდება.

ესპანეთისა და საბერძნეთის კონსტიტუციები არ იყენებს ტერმინს „ადგილობრივი თვითმმართველობა“. მოქმედებს კატეგორია - „ადგილობრივი ადმინისტრაცია“. ესპანეთის კონსტიტუციის მე-8 ნაწილის მე-2 თავში („ადგილობრივი ადმინისტრაციის შესახებ“) ნათქვამია, რომ კონსტიტუციით გარანტირებულია ავტონომია მუნიციპალიტეტებისა, რომლებიც ფლობენ იურიდიული პირის ყველა უფლებას. მათი მმართველობა ეფუძნება შესაბამის მუნიციპალურ საბჭოებს, რომლებშიც შედიან ალკალდები და მრჩეველები. მრჩეველებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ირჩევს საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით კანონით დადგენილ პირობებში. ალკალდებს კი ირჩევენ მრჩეველები ან მოსახლეობა.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „მუნიციპალიტეტი“, „მუნიციპალური ორგანო“ ბევრ ქვეყანაში უტოლდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევით ორგანოს ცნებას. აშშ-სა და ინგლისში მუნიციპალურ ორგანოებს უწოდებენ მხოლოდ საქალაქო ორგანოებს, სხვა ქვეყნებში – ესაა ნებისმიერი არჩევითი ორგანო. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოთა ნაწილში სახელდება, როგორც მუნიციპალური სამართალი „სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა,“ - ადგილობრივ თვითმმართველობად და მუნიციპალურ მმართველობად და ა.შ.

საბერძნეთის კონსტიტუციაში (განყოფილება ფ, რომელსაც ეწოდება „ადმინისტრაციის შესახებ“, თავი 1. „ადმინისტრაციის ორგანიზაცია“) აღნიშნულია, რომ ადგილობრივ საკითხებს აწესრიგებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. შემდეგ საუბარია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე. მკვლევართა აზრით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, ბერძნული კანონმდებლობით, ადგილობრივი მმართველობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ცნებები გაიგივებულა, ყოველ შემთხვევაში, 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში.

აქ ნათქვამია: „ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სარგებლობენ ადმინისტრაციული დამოუკიდებლობით. მათი ხელისუფლების ორგანოებს ირჩევენ საყოველთაო და ფარული კენჭისყრით.“ ეს ისე უნდა იყოს გაგებული, რომ ადგილობრივი მმართველობა და ადგილობრივი ხელისუფლება არჩევითი ორგანოებია. ფაქტობრივად, ესაა თვითმმართველობის ორგანოები. ბერძნული კონსტიტუცია ითვალისწინებს ადგილობრივ მმართველობაზე სახელმწიფო კონტროლის შესაძლებლობას.<sup>2</sup>

ამგვარად, ვხედავთ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ტერმინოლოგია საკმაოდ განსხვავებულია. ერთი და იგივე ორგანოები შეიძლება იწოდებოდეს ადმინისტრაციადაც, მართვის ორგანოებადაც და თვითმმართველობის ორგანოებადაც, მაგრამ თეორიაში ჩადებული პრინციპების გამოყენებით, აუცილებელი

<sup>1</sup> GRUNDGESETZ, für die Bundesrepublik Deutschland, stand: Juni, 1993

<sup>2</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული II, თბ., 2002, გვ. 182.



ლია მათი გამოჩენა. თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ მხოლოდ არჩევითი ორგანოები, რაკი ასეთი ორგანოები პრაქტიკულად არსებობენ საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: 1985 წლის 15 ოქტომბერს მიღებულ იქნა ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომლის ძირითადი პრინციპების განხილვას ცალკე პარაგრაფი ეძღვნება.<sup>1</sup> იგი რეგიონული მნიშვნელობის დოკუმენტია და ევროპის საბჭოსა და მისი წევრი სახელმწიფოებისათვის ამკვიდრებს ადგილობრივი თვითმმართველობის უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო, კონსტიტუციურ საფუძვლებს. მასში პირდაპირაა მითითებული, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებული უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობაში და შეძლებისდაგვარად, ქვეყნის კონსტიტუციაში. ადგილობრივ თვითმმართველობაში, როგორც ეს მითითებულია მე-3 მუხლში, იგულისხმება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება და რეალური უნარი მოაწესრიგოს სახელმწიფო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი და მართოს კანონის ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ეს უფლება ხორციელდება საბჭოების ან კრებების მიერ, რომლებიც შედგება თავისუფალი, ფარული, თანასწორი, პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრის შედეგად არჩეული წევრებისაგან.

აღსანიშნავია ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც ადგენს ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. მისი არსი ისაა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კანონით დადგენილ ფარგლებში, ფლობენ მოქმედების სრულ თავისუფლებას საკუთარი ინიციატივების განსახორციელებლად ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც არ სცილდება მათ კომპეტენციებს და არ მიეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს კომპეტენციას. შესაბამისად, მკვიდრდება განსაკუთრებული კომპეტენციის პრინციპი, რომლითაც დგინდება დამოუკიდებელი უფლებამოსილების განსაზღვრული სფერო ამ ორგანოებისათვის.

ამგვარად, შეიძლება გამოიკვეთოს ორი ძირითადი პრინციპი: ა) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მისი ორგანოების გამოჩენილი კომპეტენციები და ბ) თვითმმართველობის, როგორც მოვლენის, ბუნების შინაარსის ახსნა. ეს არის არჩევითობა და უფლებების განსაზღვრული კომპლექსი. თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი კომპეტენცია და ფლობდნენ რეალურ უფლებებსა და შესაძლებლობებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებაზე მსჯელობა შემდგომში იქნება.

### დამონშებული წყაროები

1. დავიდი რ., თანამედროვეობის მსოფლიო სამართლებრივი სისტემები, თბ., 1989,
2. დემეტრაშვილი ა., მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბ., 1992,
3. ლობჟანიძე გ., საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2011,
4. მაღანჩუკი პ., აკეპარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2005,
5. მელქაძე ო., ეზუბაია ზ., მუნიციპალური სამართალი, თბ., 2002,
6. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული II, თბ., 2002,
7. Alderfer H.F., Local government in itveleping covtries N.Y. 1964,
8. Cm. Bleck S., Law Dictionary//Fifth edition 1979, p. 917; J. Garner, Administrative Law //Fifth edition,
9. GRUNDGESETZ, fur die Bundesrepublik Deutschlanda, stand: Juni, 1993.

<sup>1</sup> გ. ლობჟანიძე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2011, გვ. 244.





**დავით ლობჯანიძე**

**ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირითადი ნიშნები და ადგილობრივი (მუნიციპალური) მმართველობის ცნება**

რეზიუმე

ადმინისტრაციული ერთეულები არსებობს უხსოვარი დროიდან, ისინი ისტორიულად ჩამოყალიბდა ყოფილი ფეოდალური ერთეულების ტერიტორიებზე და იცვლებოდნენ ცხოვრების პირობებისა და კანონების შესაბამისად.

მოცემულ ნაშრომში ავტორი დანვრილებით აღწერს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების დაყოფის პრინციპებს, სახელწოდებებს და მათი უფლება-მოვალეობებისა და ფუნქციონირების მექანიზმებს.

**Davit Lobzhanidze**

**Administrative and Territorial Division Principles and the Concept of Local (Municipal) Government**

Abstract

Administrative units have existed since the ancient period. Historically they have been formed on the former territory of the feudal unities. The units have been changing in accordance with living conditions and legislative laws.

The author thoroughly describes the administrative unit division principles in different countries, their titles, rights and responsibilities, as well as functioning mechanisms.



## ედიზარ ფუტყარაძე

### ეკონომიკური დანაშაულის საკითხისათვის

ადამიანს ყოველთვის ჰქონდა, აქვს და ექნება ეკონომიკური ინტერესი.

ეკონომიკური ინტერესი შეიძლება გავიგოთ როგორც ეკონომიკური, ისე იურიდიული და თუნდაც საერთო მნიშვნელობით.

ცალკეული გამონაკლისების გარდა სხვადასხვა დროსა და სივრცეში ადამიანი ცდილობდა და ახლაც ცდილობს სიმდიდრის მოპოვებას, ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნასა და ამაღლებას. საკუთრების მოპოვებისა და გამდიდრების წყურვილი შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს თან დაჰყვა.

ეკონომიკური ინტერესი უფრო ფართოა, ვიდრე საკუთრების შექმნისა თუ მოპოვების ინტერესი. თუმცა საკუთრება ეკონომიკური ინტერესის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. მაგრამ ცნობილია, რომ ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილება საკუთრების მოპოვების გარდა სხვა გზითაც შეიძლება. მაგალითად, ფინანსური მაქინაციებით, ფალსიფიკაციით, სამერნამეო საქმიანობით და ა. შ. ადამიანი ხშირად სჩადის ნებისმიერ ქმედებას, რაც მას ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს და დაუკმაყოფილებს ეკონომიკურ ინტერესს.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად იცვლება და ფართოვდება ადამიანის ეკონომიკური ინტერესი. შესაბამისად მრავალფეროვანი ხდება მისი დაკმაყოფილების გზები. თუ ამ საკითხს მივხინა და საშუალების ანდა შინაარსისა და ფორმის თვალსაზრისით შევხედავთ, ვნახავთ, რომ ადამიანს ყოველთვის აქვს ერთი მიზანი - ეკონომიკური ინტერესი, ხოლო მიღწევის საშუალება სხვადასხვა. ამ საშუალებათაგან ნაწილი ლეგიტიმური და კანონიერია, ნაწილი კი არალეგიტიმური, სამართალდარღვევითი ხასიათის და არც თუ ისე იშვიათად დანაშაულებრივიც. რაც შეეხება ეკონომიკურ ინტერესთან დაკავშირებულ შინაარსსა და ფორმას<sup>1</sup>.

ეკონომიკური ინტერესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა მიიღოს თავისი ქმედებით ის სარგებელი, რასაც სავარაუდოდ ელოდება. ადამიანს სურს რაიმე სიმდიდრის, სარგებლის, ეკონომიკური კეთილდღეობის თუ სხვა ისეთი რამის მიღება, რაც მის ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულთან შედარებით გააუმჯობესებს. ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდა, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება არის ეკონომიკური ინტერესი. შეიძლება მას სხვაგვარი განმარტებაც მივცეთ, სხვა ფორმით ჩამოვაცალიბოთ, მაგრამ მისი შინაარსი არ იცვლება თუკი შეიცვლება, მაშინ ის აღარ იქნება ეკონომიკური ინტერესი. ჩვენი ინტერესებისათვის, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ეკონომიკური ინტერესის ასეთი განმარტება სავსებით მისაღები და ვარგისია.

ეკონომიკური ინტერესის არსი სტაბილური და შეიძლება ითქვას, რომ უცვლელია, მაგრამ ცვლადია მისი გამოხატვის ფორმა. ადამიანს სხვადასხვა ფორმით სურს ადამიანური ეკონომიკური ინტერესის გამოხატვა და მით უმეტეს მიღწევა.

ეკონომიკური ინტერესი არ დაიყვანება, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს ის მინიმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, რომელიც ადამიანს სჭირდება. ეს პირობები კი დროისა და სივრცის შესაბამისად სხვადასხვაა ქვეყნების მიხედვით. ამას ემეტება ადამიანის ინდივიდუალური ხასიათი და შესაძლებლობები, გემოვნება, მოთხოვნილება და ა. შ.

ბევრი არგუმენტის მოყვანა შეიძლება, რომლის მიხედვითაც შეიძლება დავასაბუთოთ, რომ ადამიანს ჰქონდა, აქვს და ექნება ეკონომიკური ინტერესი.

ამ მიზნის – იგულისხმება ეკონომიკური ინტერესი – მისაღწევად ადამიანი არჩევს სხვადასხვა საშუალებას და სჩადის შესაბამის ქმედებას. ამ საშუალებათა ანუ მიზნის მისაღწევად ჩადენილ ქმედებათა ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია და მიზანშეუწონელიც. ეკონომიკური ინტერესი არსებობს, მაგრამ ყველა

<sup>1</sup> აქ მიზანშეწონილად აღარ მიმაჩნია ისეთ ფილოსოფიურ კატეგორიებზე საუბარი, როგორცაა შინაარსი და ფორმა, მიზანი და საშუალება, დრო და სივრცე, შემთხვევითობა და კანონზომიერება და ა. შ. მათი, ისევე როგორც ფილოსოფიის სხვა საკითხების ცოდნა აუცილებელია სიღრმისეული აზროვნებისათვის. მეცნიერების სხვა დარგებისა და თუნდაც ფილოსოფიის საკითხების ცოდნა უნდა მოვიშველიოთ ყოველთვის იმ მოცულობით, რაც აუცილებელი და საკმარისია ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასაშუქებლად და დასასაბუთებლად.



ადამიანს განსხვავებული ეკონომიკური ინტერესი აქვს. შესაბამისად მის მისაღწევად განსხვავებულ ქმედებას სჩადის.

მართალია ამ ქმედებათა ამომწურავი ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მათი დაყოფა ორ ჯგუფად:

1. ლეგიტიმური, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად ნებადართული ანუ ე. წ. კანონიერი ქმედებები და
2. არალეგიტიმური, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აკრძალული, ანუ ე. წ. უკანონო ქმედებები.

თუ ამ საკითხს იურიდიული თვალსაზრისით შევხედავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანი სჩადის კანონიერ ან/და უკანონო ქმედებას. თუ რა ქმედება უნდა ჩაითვალოს კანონიერად და რა უკანონოდ სახელმწიფოს მიერ და ამ ქმედებებით რამდენად არის დაცული ადამიანის უფლება, ეს არანაკლებ საინტერესო და ცალკე კვლევის საკითხია, რომელსაც აქ არ შევხებით.

აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ დროისა და სივრცის მიხედვით ყოველ სახელმწიფოში მოქმედებს კანონები. თუ რამდენად სამართლიანია ეს კანონები, ესეც ცალკე კვლევისა და განხილვის საკითხია.

ადამიანის ქმედება კონკრეტულ დროსა და სივრცეში ან შეესაბამება მოქმედ კანონებს ან ეწინააღმდეგება, შესაბამისად ადამიანის ქმედება კანონიერია ან უკანონო.

ეს შეეხება ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად ჩადენილ ქმედებებსაც. ადამიანი ეკონომიკურ ინტერესს იკმაყოფილებს ან კანონიერი ქმედებით ან უკანონო ქმედებით.

იურისტებისთვის ყოველთვის საინტერესოა ადამიანის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედება. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით კი უკანონო ქმედებათაგან საინტერესოა დანაშაულებრივი ქმედება.

უკანონო ქმედება შეიძლება ვუნოდოთ სხვადასხვა სახის სამართალდარღვევას. ყველა სამართალდარღვევა არ არის დანაშაული. ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ემსახურება ადამიანის ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილებას.

თუ ჩვენ ქმედებები დავყავით კანონიერ და უკანონო ქმედებებად, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ქმედებები შეიძლება დავყოთ დანაშაულებრივ და არადანაშაულებრივ ქმედებად. აქედან გამომდინარე, ადამიანმა ეკონომიკური ინტერესი შეიძლება დაიკმაყოფილოს როგორც დანაშაულებრივი, ისე არადანაშაულებრივი ქმედებით.

ხშირად ადამიანი თავის ეკონომიკურ კეთილდღეობას აღწევს სამართლებრივად ნებადართული ქმედებით, ისე, რომ ის არ სჩადის არა თუ დანაშაულს, არამედ სხვა სახის სამართალდარღვევასაც კი. უფრო მეტიც, მისი ქმედება მოსაწონი და გამართლებულია ზნეობრივი თვალსაზრისითაც, მაგალითად, ოფიციალურად გამდიდრებული ბიზნესმენი სჩადის ქველმოქმედებას.

ადამიანს რომ ჰქონდეს ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების ინტერესი, ეკონომიკური ინტერესი, ამაში დასაძრახი და გასაკვიცი არაფერია. ის მუდამ უნდა ზრუნავდეს საკუთარი და თუნდაც სხვების კეთილდღეობაზე, მაგრამ ამას უნდა აკეთებდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მის ფარგლებში.

გაკვიცხვასა და დანაშაულებრივ ქმედებად შეფასებას იმსახურებს ადამიანის მიერ ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილება სახელმწიფოს მიერ დანაშაულად გამოცხადებული ქმედების ჩადენის ხარჯზე.

ჩვენ აქ აღარ შევუძღვებით სისხლის სამართლის ისეთი ფუნდამენტური და ცნობილი საკითხების განხილვა-დახასიათებას, როგორიცაა სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი განმარტება, კანონიერების და სხვა პრინციპები, დანაშაულის ცნება, სისხლისსამართლებრივად დაცული სამართლებრივი სიკეთე და ა. შ.

ეს სისხლის სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისათვის აუცილებლად საჭირო საკითხებია, რომელთა სათანადო ცოდნის გარეშე შეუძლებელია სისხლის სამართლის სხვა თემატიკის გაგება და მით უმეტეს გამოყენება.

ვითარდება საზოგადოება და სახელმწიფო, ვითარდება და იცვლება საზოგადოებასა და სახელმწიფოში და ასევე სახელმწიფოთაშორის არსებული ურთიერთობები, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობები.



შეიძლება ითქვას, რომ დღეს, როგორც არასდროს მრავალმხრივი გახდა ეკონომიკური ურთიერთობები. მრავალმხრივი გახდა და შეიცვალა ადამიანის ეკონომიკური ინტერესები.

სამართლებრივად დაცული ეკონომიკური ურთიერთობების დანაშაულებრივ ხელყოფას ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად შეიძლება ვუნოდოთ ეკონომიკური დანაშაული. ეკონომიკური დანაშაული ხელყოფს ეკონომიკურ ურთიერთობებს და ემსახურება ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივ დაკმაყოფილებას.

ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივ დაკმაყოფილებაზე (ანდა მიღწევაზე) იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ადამიანმა ეკონომიკური ინტერესი შეიძლება დაიკმაყოფილოს არა მხოლოდ ეკონომიკური დანაშაულების ჩადენით, რომელიც არის მიზნის - ეკონომიკური ინტერესის - მიღწევის საშუალება, არამედ სხვა საშუალებითაც, სხვა დანაშაულების ჩადენითაც, რომლებიც მართალია პრიორიტეტულად აღიარებს სხვა სამართლებრივი სიკეთის დაცვას<sup>1</sup>, მაგრამ ასევე ემსახურება ადამიანის ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილებას.

აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ისეთი დანაშაული, როგორც არის მაგალითად, ანგარებით მკვლელობა ან მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით. აქ აღარ შევუდგებით ამ შემადგენლობათა დეტალურ დახასიათებას, ვიცით, რომ მკვლელობის დროს დაცული სამართლებრივი სიკეთეა ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ ანგარებით მკვლელობა არის საშუალება ადამიანის ეკონომიკური ინტერესის მისაღწევად. რომ არა ეკონომიკური ინტერესი, ანგარებით მკვლელობის ჩადენა არ მოხდებოდა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით ჩადენილი მკვლელობები ყოველთვის არ გულისხმობს ეკონომიკური ინტერესით ჩადენილ დანაშაულებს, მაგრამ სასამართლო სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მკვლელობის ჩადენა ხშირად სწორედ ეკონომიკური ინტერესის გამო ხდება. თუმცა ხშირად ეს მკვლელობა სხვა მიზნებსაც ემსახურება.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანს ყოველთვის ამოძრავებდა და ამოძრავებს ეკონომიკური ინტერესი. ხშირად ეს ხდება ქმედების და მათ შორის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივი, მისი გამომწვევი მიზეზი.

მართალია, ხშირად დანაშაულებრივი ქმედებით ხელყოფილია სხვა სამართლებრივი სიკეთე, ან სულ მცირე, პრიორიტეტული სამართლებრივი სიკეთე სხვა რამეა, მაგრამ ქმედების ჩადენის მოტივი რომ ეკონომიკური ინტერესია, ეს დიდ მტკიცებას არ საჭიროებს. მაგალითად, ასეთს წარმოადგენს ნარკოტიკებით ვაჭრობა.

ყველა იურისტისათვის ცნობილია ნარკოტიკული დანაშაულით დაცული სამართლებრივი სიკეთე, მაგრამ ნარკოტიკებით ვაჭრობის მოტივაცია რომ ეკონომიკური ინტერესია, ესეც ყველასათვის ცხადია. ამდენად, ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილება იმდენად ძლიერია ადამიანში, რომ ეკონომიკური ურთიერთობის გარდა სხვა ურთიერთობების ხელყოფის საფუძველი, მამოძრავებელი ძალაც ხდება.

მართალია, ტრეფიკინგის დროს დაცული სამართლებრივი სიკეთე ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს უკავშირდება, მაგრამ ეკონომიკური ინტერესი აქაც აშკარაა. იგივე შეიძლება ითქვას მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებითაც.

ეკონომიკური ინტერესია ყველა იმ დანაშაულებში, რაც ვაჭრობას უკავშირდება. ასეთია იარაღით ვაჭრობაც და მასთან დაკავშირებული შემადგენლობები. ამ ეტაპზე კონკრეტული მუხლების დასახელებისგან თავს იმიტომ შევიკავებ, რომ შეიძლება მუხლების ნუმერაცია შეიცვალოს, მაგრამ ალბათ ყოველთვის იქნება დასჯადი იარაღით, ნარკოტიკებით, ადამიანით და სხვა რამეებით ვაჭრობა, რომლებიც იცავს სხვადასხვა ურთიერთობებს და სამართლებრივ სიკეთეებს, თუმცა ყველა მათგანს საერთო აქვს ეკონომიკური ინტერესი.

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოები, ასე, მაგ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2019; ი.დვალიძე, ლ.ხარანაული, გ.თუმანიშვილი, კ.ნიქარიშვილი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბ., 2019, გვ.3-592; სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ.377; ი.დვალიძე, გ. მახარობლიშვილი, სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბ., 2016, 159 გვ.



ეკონომიკური ინტერესი უდევს საფუძვლად მექრთამეობასა და სხვა სამოხელეო დანაშაულებს. საერთოდ, კორუფციულ დანაშაულთა ჩადენის საფუძველი, მამოძრავებელი ძალა ადამიანის ეკონომიკური ინტერესია.

ჩვენ აქ აღარ შევედგებით ქრთამის აღებისა და სხვა კორუფციული დანაშაულების დახასიათებას, რომლებიც ხელყოფენ არანაკლებ მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს, ვიდრე ეკონომიკური ურთიერთობებია, მაგრამ ყველა კორუფციული დანაშაულის და მათ შორის ქრთამის აღების ჩადენის საფუძველი ეკონომიკური ინტერესია.

ჩვენ შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავსა და კარში მოთავსებული სხვა მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობებიც დავასახელოთ, რომლებიც დაცულ სამართლებრივ სიკეთედ სხვა ურთიერთობებს ითვალისწინებენ, მაგრამ ემსახურებიან ადამიანის ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივი მიღწევის აღკვეთას.

ამდენად, ადამიანმა დანაშაულებრივი გზით ეკონომიკური ინტერესი შეიძლება დაიკმაყოფილოს არა მხოლოდ ეკონომიკური დანაშაულის კარში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა კარში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით, რომელთა ჩადენის მიზეზი და მოტივი აშკარად არის ეკონომიკური ინტერესი.

როგორც კოდექსის სხვადასხვა თავსა და კარში გათვალისწინებულ დანაშაულებს შეიძლება ვუნოდოთ კორუფციული დანაშაული მათი საერთო კორუფციული ნიშნების გამო<sup>1</sup>, ასევე კოდექსის სხვადასხვა თავსა და კარში მითითებულ ყველა შემადგენლობას შეიძლება ვუნოდოთ ეკონომიკური დანაშაული, რომელიც დამნაშავის ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება და რომელთა ჩადენის საფუძველიც სწორედ ეკონომიკური ინტერესია. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეიძლება გვეჩინდეს ეკონომიკური დანაშაული ვინაობა და ფართო გაგებით.

ვინაობა გაგებით ეკონომიკურ დანაშაულში იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 კარით გათვალისწინებული ეკონომიკური დანაშაული, რომელიც დაცულ სამართლებრივ სიკეთედ ითვალისწინებს ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ფართო გაგებით ეკონომიკურ დანაშაულში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ ის დანაშაულები, რომლებიც დაცულ სამართლებრივ სიკეთედ ეკონომიკურ ურთიერთობებს ითვალისწინებს (სისხლის სამართლის მე-8 კარი - ეკონომიკური დანაშაული), არამედ ყველა ის დანაშაული, რომელიც დამნაშავის ეკონომიკურ ინტერესს ემსახურება და ჩადენილია ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად ან გასაზრდელად. ასეთი შემადგენლობები კი, როგორც ვნახეთ, ჩვენს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საკმაოდ ბევრია.

ჩვენ შეიძლება გვეჩინდეს ეკონომიკური დანაშაულის ცნება არა მხოლოდ დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე - ეკონომიკურ ურთიერთობებზე - დაყრდნობით, არამედ მის გამომწვევ მიზეზზე - ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილებაზე დაყრდნობითაც. მართლაც, ეკონომიკური ინტერესის დასაკმაყოფილებლად ჩადენილ დანაშაულთა ეკონომიკური ხასიათი ხომ აშკარაა, თუნდაც ისინი არ ხელყოფდეს ეკონომიკურ ურთიერთობებს და ხელყოფდეს სხვა ურთიერთობებს. ამ საკითხზე უკვე ზემოთ ვისაუბრეთ და აქ აღარ შეგაყოფნებთ.

როგორც მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რისი ხელყოფა ხდება, ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენაც, თუ რატომ ხდება ეს ხელყოფა. დანაშაულის პრევენციისა და კრიმინოლოგიური კვლევის თვალსაზრისით დანაშაულის გამომწვევი მიზეზის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ არ იქნება დანაშაულის გამომწვევი მიზეზი, მაშინ არც მისი ჩადენა მოხდება, თუ ადამიანს არ ექნება მიზანი, არც მისი მიღწევის საშუალებაზე იფიქრებს. ამდენად, ეკონომიკური ინტერესის არსებობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკური ურთიერთობების არსებობა. თუ არ იქნება ეკონომიკური ინტერესი, მაშინ არც ეკონომიკური ურთიერთობა იარსებებს.

ეკონომიკური ინტერესის სამართლებრივი, კანონიერი გზით დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ეკონომიკური ურთიერთობები, მაგრამ ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივი გზით დასაკმაყოფილებლად აუცილებელია დაცული ეკონომიკური ურთიერთობების ხელყოფა. თუმცა ეკონომიკური

<sup>1</sup> იხ. კორუფცია საქართველოში : კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი / [ავტ.: ედიშერ ფუტყარაძე, გიორგი ლლონტი, ირაკლი ლავგილავა, ზაზა მარუაშვილი [და სხვ.] ; სარედ. კოლ.: მანანა მოსულიშვილი [და სხვ.]] ; თსუ-ს თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტი. - თბ., 2011. - 400გვ.



ინტერესის დანაშაულებრივი დაკმაყოფილება შეიძლება ასევე ეკონომიკური ურთიერთობის ხელყოფის გარეშე, სხვა ურთიერთობების ხელყოფით, რომელიც ეკონომიკურ სარგებელს იძლევა, მაგალითად ნარკოტიკებით ან იარაღით ვაჭრობა, ქრთამის აღებით და ა. შ.

ამდენად, თუკი კანონიერი გზით ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილება შესაძლებელია და ემთხვევა ქვეყანაში სამართლით რეგულირებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს, დანაშაულებრივი გზით ეკონომიკური ინტერესის დაკმაყოფილება უფრო ფართოა და გულისხმობს როგორც სამართლით რეგულირებული ეკონომიკური ურთიერთობების ხელყოფას, ისე სხვა ურთიერთობების ხელყოფას, რასაც თან ახლავს ე. წ. ეკონომიკური კეთილდღეობის ამალღება.

კანონმდებელმა ქმედების შემადგენლობის აღწერისას ეკონომიკური ინტერესი შეიძლება სხვადასხვა ფორმით ჩამოაყალიბოს, გაითვალისწინოს ობიექტურ შემადგენლობაში ან სუბიექტურ შემადგენლობაში პირდაპირ ან ირიბად. სწორედ ასეთ დროს დღის წესრიგში დგება სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის ან არსებული კანონმდებლობის სწორად განმარტებისა და შესაბამისად გამოყენების საკითხი.

საინტერესოა ე. წ. „მუშა“ და „მკვდარი“ მუხლების საკითხი ეკონომიკურ დანაშაულთან მიმართებაში<sup>1</sup>. ამჟამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს 415 მუხლს. აქედან კერძო ნაწილი იწყება 108-ე მუხლიდან. აქ აღარ ვსაუბრობ ზოგადი ნაწილისა და კერძო ნაწილის განსხვავებულ თავისებურებაზე. ეს თქვენთვის ისედაც ცნობილია. აქ მხოლოდ იმის აღვნიშნა მინდა, რომ კერძო ნაწილის მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობათა ჩადენის სასამართლო სტატისტიკა განსხვავებულია. სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს ე. წ. „მუშა“ და „მკვდარი“ მუხლები. მუშა შეიძლება ვუწოდოთ ისეთ მუხლებს, რომელთა გათვალისწინებით შემადგენლობების ჩადენა მაღალია, ე. ი. ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა პრაქტიკაში ხშირია და შესაბამისად აისახება სასამართლო სტატისტიკაში. სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს ე. წ. „მკვდარი“ მუხლები. ეს ისეთი შემადგენლობებია, რომელთა ჩადენა პრაქტიკაში არ ხდება ან ხდება ძალიან მცირე რაოდენობით, თუმცა ეს არ იძლევა ამ შემადგენლობათა დეკრიმინალიზაციის საფუძველს.<sup>2</sup>

სასამართლო სტატისტიკა ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკრეტული შემადგენლობების სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციისათვის.

კონკრეტული ქმედებების პრაქტიკაში ხშირად ჩადენა და სასამართლო სტატისტიკაში ასახვა შეიძლება გახდეს ქმედების დანაშაულად კრიმინალიზაციის ან არსებული შემადგენლობის სრულყოფის საფუძველი.

ასევე ქმედების პრაქტიკაში ჩაუდენლობა ან ძალიან მცირე რაოდენობით ჩადენა შეიძლება გახდეს ამ ქმედების შემადგენლობის დეკრიმინალიზაციის საფუძველი. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის და სასამართლო სტატისტიკასთან ერთად მნიშვნელოვანია დაცული სამართლებრივი სიკეთის მოცულობა.

ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკული გამოყენება, ანუ ქმედების დანაშაულად საგამოძიებო-სასამართლო კვალიფიკაცია. ამის საფუძველს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემადგენლობათა პრაქტიკულად ჩადენა და შემდეგ შესაბამისი ორგანოების მიერ გამოვლენა წარმოადგენს. ეს არის სასამართლო სტატისტიკის საფუძველი. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლო სტატისტიკა ყოველთვის არ და ვერ ასახავს რეალურად ჩადენილ ქმედებათა რაოდენობას. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური დანაშაული პირველ ადგილზეა. ყველაზე მეტად ამ დანაშაულთა ჩადენა ხდება. ესეც მიუთითებს იმაზე, რომ დამნაშავეებს ყველაზე მეტად და ხშირად ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებთ. რა თქმა უნდა, სხვადასხვა დანაშაულის ჩამდენს აქვს სხვადასხვა მოტივი და მიზანი, მაგრამ ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ეკონომიკური ინტერესის მოტივით და მის დასაკმაყოფილებლად ჩადენილი დანაშაულებია. ამას ადასტურებს სასამართლო სტატისტიკა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური ინტერესი *მიზანია*, ხოლო დანაშაულის ჩადენა მისი მიღწევის დანაშაულებრივი *საშუალება*. რამდენად მარტივი და მინიმალურია ეკონომიკური ინტერესი - *მიზანი*,

<sup>1</sup> იხ. ე.ფუტყარაძე, ადამიანის უფლების დაცვა სისხლის სამართალში მისი სამართლებრივ სიკეთედ გამოცხადების თვალსაზრისით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №4, 2019, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის გამოცემა, გვ.5-29;

<sup>2</sup> ამ საკითხზე იხ. ჩემი მოსაზრება ამავე ნაშრომში;



იმდენად მარტივი და აუცილებელი იყო და არის მისი მიღწევის *საშუალებაც* - ჩადენილი დანაშაული. ყველგან და ყოველთვის დასჯადი იყო და ალბათ იქნება მომავალშიც ეკონომიკური ინტერესის მისაღწევად ჩადენილი ისეთი კლასიკური დანაშაულები, როგორცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, გამოძალგა და ა. შ. ეს შემადგენლობები არ მოითხოვენ დიდ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და მათი ჩადენა შედარებით მარტივია. თუმცა დროის მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი გახდა ამ შემადგენლობათა საკანონმდებლო სრულყოფა, სხვადასხვა ფორმით ჩამოყალიბება, რაც მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა, მაგრამ ამ ქმედებათა არსი არ შეცვლილა - ისინი ემსახურება მათი ჩამდენის ეკონომიკური ინტერესის დანაშაულებრივ დაკმაყოფილებას.

საზოგადოების განვითარებამ დღის წესრიგში დასვა ეკონომიკური ინტერესის მიღწევის უფრო სრულყოფილი ფორმის შემუშავება და ამოქმედება. სწორედ ამან განაპირობა ე. წ. კლასიკური ეკონომიკური დანაშაულების გვერდით დროის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული და შემდგომ განვითარებული „სხვა ეკონომიკური დანაშაულები“, რომლებიც ხშირად ბლანკეტურ დისპოზიციებს გულისხმობს და სხვა დარგების განვითარებას ეყრდნობა. მათი ჩადენა არ არის ისეთივე მარტივი, როგორც ქურდობის. ის გარკვეულ ინტელექტს და სხვა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. მაგალითად, უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და ა. შ. ამ დანაშაულთა როგორც ჩადენა, ისე მათი გამოვლენა, გამოძიება და სასამართლო განხილვა მთელ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ხშირად სპეციალურ ცოდნასა და განათლებას მოითხოვს. ეს იმიტომ, რომ ქურდობის, ძარცვისა და სხვა კლასიკური ეკონომიკური დანაშაულებისგან განსხვავებით ე. წ. თანამედროვე ეკონომიკური დანაშაულები ერთი შეხედვით, გარეგნულად კანონიერად გამოიყურება და მისი დანაშაულებრივი თვისების დასადგენად სიღრმეებში წვდომაა საჭირო და მხოლოდ გარეგნული დათვალიერება არ კმარა.

ეს დანაშაულები ერთი შეხედვით კანონიერ ხასიათს ატარებს, თუ არ დავადგინებთ მათი უკანონობა. მაგალითად, უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობა. ხშირად საგანმანათლებლო დაწესებულების მესაკუთრეებს აქვთ მაღალი ეკონომიკური ინტერესი და შესაბამისი შპს-ს დაფუძნებისას ისინი გეგმავენ ფულის შოვნას, ვიდრე ახალგაზრდობისათვის კარგი განათლების მიცემას. შპს-ს წესდებასა და სხვა დოკუმენტაციაში მათ ყველაფერი კარგად აქვთ განერჩილი. მაგრამ ხშირად ეს ნიღაბია რეალური მიზნის დასაფარად – ფულის საკეთებლად. ჩვენ ახლა არ შევედგებით ამ შემადგენლობის დეტალურ დახასიათებას, მაგრამ ამ შემადგენლობის სისხლის სამართლის კოდექსში არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკური ინტერესის მიღწევის გზები იხვეწება და ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს უმაღლესი სასწავლებელი<sup>1</sup>. ეს ადრე უცხო იყო არა მხოლოდ ჩვენი, არამედ სხვა ქვეყნების კანონმდებლობისთვისაც. შეიძლება დავასახელოთ სხვა ეკონომიკური დანაშაულებიც (მაგალითად, უკანონო სამენარმეო საქმიანობა, ცრუ მენარმეობა, ფალსიფიკაცია, გადასახადისათვის თავის არიდება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, კომერციული მოსყიდვა და ა. შ.), რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით დროსა და სივრცეში განსახვავებულია, მაგრამ ყველა მათგანი ხელყოფს დასჯულ ეკონომიკურ ინტერესს. განსხვავებულად ჩამოყალიბების მიუხედავად, ისინი ემსახურება ყველა იმ ფორმის საკანონმდებლო რეგულაციას, რა ფორმითაც თანამედროვე ეტაპზე დამნაშავემ შეიძლება ხელყოს ეკონომიკური ინტერესი.

აქედან გამომდინარე იქნება ე. წ. *კლასიკური და თანამედროვე, დროის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული ეკონომიკური დანაშაულები*. დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის ახალმა ფორმამ შეიძლება აუცილებელი გახადოს საკანონმდებლო ცვლილება, რათა სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული იქნეს ყველა ის ქმედება, რაც ხელყოფს ეკონომიკურ ინტერესს და რაც შეიძლება დანაშაულად მივიჩნიოთ.

ეკონომიკური ინტერესების დაცვა სხვადასხვა ქვეყანაში განსახვავებული ფორმით არის კანონმდებლობაში გათვალისწინებული<sup>2</sup>.

<sup>1</sup> 2010 წლის 21 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებით სსკ-ში შემოღებული იქნა უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის დასჯადობა. ამ საკითხზე იხ. სსკ და 2010 წლის შემდეგ გამოცემული სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოები, ასე, მაგ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2019;

<sup>2</sup> ამ საკითხზე იხ. ბ. ჯიშკარიანი, ეკონომიკური სისხლის სამართალი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოსათვის გერმანიის მაგალითზე, გვ.227-241; თსუ იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2012;



### დამონებული წყაროები

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
2. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2019;
3. ი.დვალაძე, ლ.ხარანაული, გ.თუმანიშვილი, კ.წიქარიშვილი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბ., 2019, გვ.3-592;
4. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ.377;
5. ი.დვალაძე, გ. მახარობლიშვილი, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბ., 2016, 159 გვ.
6. კორუფცია საქართველოში: კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი / [ავტ.: ედიშერ ფუტკარაძე, გიორგი ლლონტი, ირაკლი ლაგვილავა, ზაზა მარუაშვილი [და სხვ.] ; სარედ. კოლ.: მანანა მოსულიშვილი [და სხვ.]] ; თსუ-ს თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინტი. - თბ., 2011. - 400 გვ.
7. ე.ფუტკარაძე, ადამიანის უფლების დაცვა სისხლის სამართალში მისი სამართლებრივ სიკეთედ გამოცხადების თვალსაზრისით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №4, 2019, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის გამოცემა, გვ.5-29;
8. ბ. ჯიშკარიანი, ეკონომიკური სისხლის სამართალი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოსათვის გერმანიის მაგალითზე, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2012, გვ.227-241;

### ედიშერ ფუტკარაძე

#### ეკონომიკური დანაშაულის საკითხისათვის

#### რეზიუმე

ადამიანმა დანაშაულებრივი გზით ეკონომიკური ინტერესი შეიძლება დაიკმაყოფილოს არა მხოლოდ ეკონომიკური დანაშაულის კარში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა კარში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით, რომელთა ჩადენის მიზები და მოტივი აშკარად არის ეკონომიკური ინტერესი.

საზოგადოების განვითარებამ დღის წესრიგში დასვა ეკონომიკური ინტერესის მიღწევის უფრო სრულყოფილი ფორმის შემუშავება და ამოქმედება. სწორედ ამან განაპირობა ე. წ. კლასიკური ეკონომიკური დანაშაულების გვერდით დროის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული და შემდგომ განვითარებული „სხვა ეკონომიკური დანაშაულები“, რომლებიც ხშირად ბლანკეტურ დისპოზიციებს გულისხმობს და სხვა დარგების განვითარებას ეყრდნობა.

ეკონომიკური დანაშაულის ფორმის სხვაობის მიუხედავად, არსი ერთია - ეკონომიკური ინტერესის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ამის მისაღწევად კი ის ფორმა, ის საშუალებაა კარგი, რომელიც კონკრეტულ დროსა და სივრცეში ეფექტური იქნება ამ დანაშაულთან საბრძოლველად. იცვლება დამნაშავეთა მიერ ეკონომიკური ინტერესის მიღწევის ფორმები, შესაბამისად უნდა შეიცვალოს და სრულყოფილი უნდა გახდეს კანონმდებლობა, რათა გვექონდეს სამართლებრივი საფუძველი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად. შეიძლება სრულყოფით და შევცვალოთ საშუალება, რათა მივაღწიოთ მიზანს - ეკონომიკური ინტერესის დაცვასა და ეკონომიკური დანაშაულის შემცირებას.





**Edisher Phutkaradze**

## **On the Issue of Economic Crimes**

### **Abstract**

A person can criminally satisfy his/her economic interest not only by committing an offense stipulated under the section of economic crime, but also by committing an offense stipulated under other sections of the Criminal Code, the cause and motive of which are clearly economic interest.

The development of society has put on the agenda the elaboration and implementation of a more comprehensive form of achieving economic interest. Alongside the so-called classic economic crimes, this has led to emergence of the so-called 'other economic crimes' formed and subsequently developed in line with the requirements of the time. They often involve blanket dispositions and rely on the development of other fields.

Despite the difference in the form of economic crime, the essence is the same – to protect the economic interest from criminal infringements. To achieve this, a good form, a good way is the one that will be effective in combating this crime in a specific time and space. The forms of achieving economic interest by criminals are changing, therefore the legislation should be amended and improved in order to have a legal basis to protect economic interests. We can improve and change the way to achieve the goal – protection of the economic interest and reduction of economic crimes.



## ედიზარ ფუტყარაძე

### მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის

ზეპირად იცოდე „ვეფხისტყაოსანი“ ეს დასაფასებელია, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ახალი ლექსის დაწერა. ის უფრო მეტს შემატებს ჩვენს პოეზიას.

სხვისი გენიალური აზრების ცოდნა და ციტირება მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადმოცემა, რა თქმა უნდა, თუ ის რაიმე თუნდაც მცირე მნიშვნელობის „სიახლეს“ შეიცავს ამა თუ იმ დარგისათვის, მეცნიერებისათვის.

სხვის გენიალურ მოსაზრებებს მკითხველი ან/და მსმენელი სხვაგანაც წაიკითხავს ან მოისმენს და შეიძლება უფრო უკეთესადაც. ის, რაც სხვაგან ვერაზინ ნახავს, იქნება მხოლოდ საკუთარი ნააზრევით შექმნილი მოსაზრებები. სწორედ ამ თვალსაზრისით იქნება მნიშვნელოვანი და საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი, როდესაც მასში გადმოცემული იქნება ავტორისიველი მოსაზრება სხვადასხვა საკითხზე. ეს ისეთი მოსაზრებაა, რომელსაც სხვაგან ვერსად ვნახავთ.

ამიტომ ნაშრომის შექმნის დროს რაც არ უნდა ბევრი და საინტერესო წყარო გამოვიყენოთ, ის მაინც ვერ გახდის მიმზიდველს ნაშრომს ინტელექტუალური მკითხველის თვალში. განათლებული, ინტელექტუალური მკითხველი ეძებს ავტორისიველ და თუნდაც მცირე მნიშვნელობის სიახლეს. თუ ნაშრომში არ არის დარგის განვითარებისათვის შემოთავაზებული თუნდაც მცირე მნიშვნელობის „სიახლე“, მაშინ ის ამ დარგის განვითარებას ვერაფერს შემატებს და არც არაფერის მომცემი იქნება.

სხვათა მოსაზრებებს ჩვენ სხვაგანაც წავიკითხავთ. ავტორისიველს, განსხვავებულს კი მხოლოდ მოაზროვნე და პასუხისმგებლობის გრძობის მქონე ავტორთან, რომელიც სხვის მოსაზრებებს იშველიებს (აკრიტიკებს ან იწინააღმდეგება) საკუთარი, ახალი პოზიციის შესამუშავებლად და ჩამოსაყალიბებლად.

მთავარია, რომ ნაშრომი სიახლეს შეიცავდეს, ის თუ როგორ მიიღებს მკითხველი ამ განსხვავებულ სიახლეს, ეს დროისა და მოთმინების საკითხია, რომელიც დაადასტურებს ან უარყოფს ამ „სიახლის“ ვარგისიანობას ან უვარგისობას.

ამიტომ სხვისი გენიალური აზრების გადმოცემას დარგის განვითარებისათვის საკუთარი პოზიციის, მოსაზრების შემუშავება და მკითხველამდე ან მსმენელამდე მიტანა სჭირდება. ის „სიახლე“, რომელიც გაუძლებს ჯანსაღ კრიტიკასა და დროს, გახდება მნიშვნელოვანი და დაიკავებს ღირსეულ ადგილს ამ დარგის განვითარებაში. ხოლო ის „სიახლე“, რომელიც მყარ არგუმენტებზე არ იქნება დაფუძნებული, ვერ გაუძლებს ჯანსაღ კრიტიკას და ვერც დროის ქარტეხილებს. ამიტომ ის არც თანამედროვეობისათვის იქნება საინტერესო და მით უმეტეს არც მომავალი თაობებისათვის. „სიახლის“ მნიშვნელობა მისი აქტუალობის შენარჩუნებაშია. აქტუალობისა და გამოყენებადობის დაკარგვასთან ერთად „სიახლის“ მნიშვნელობა „ძველდება“, იკარგება და ჩნდება „ახალი სიახლის“ შექმნის აუცილებლობა, რაც ყველა დარგს სჭირდება შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომ თუნდაც გენიალური აზრების განმეორება, ახლის შექმნის გარეშე, საკმარისი არ არის დარგის განვითარებისათვის, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს უკვე შეცვლილი, განვითარებული საზოგადოების მოთხოვნებსა და ინტერესებს. ტექნიკურ მეცნიერებასთან ერთად ეს მოეთხოვება ყველა დარგს და მათ შორის სამართალს. სისხლის სამართალს კი განსაკუთრებით.

არსებობს მეცნიერება საზღვრებს გარეშე. აქ იგულისხმება ისეთი მეცნიერება, სადაც მიღწეული აღმოჩენა ან/და გამოგონება საერთო სიახლეა და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში ყველგან მოიტანს სარგებლობას. მაგალითად, ტექნიკის მიღწევები. მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ახალი სამედიცინო პრეპარატის ან ტექნიკის ახალი მოდელის შექმნა მთელი მსოფლიოსათვის საინტერესოა და მსოფლიო განვითარებას უწყობს ხელს ამ კონკრეტულ დარგში. ასეთი სიახლე საინტერესოა და სასარგებლოა ყველასათვის, სანამ უფრო ახალი რამ არ იქნება შექმნილი ან აღმოჩენილი, რომელიც „დააძველებს“ ამჟამინდელ მიღწევას და „ახალი სიახლე“ იქნება ამ დარგში. ეს ასე გაგრძელდება სხვადასხვა ტემპით, რაც აუცილებელი და გარდაუვალია კაცობრიობის განვითარებისათვის.

რა თქმა უნდა, ამ განვითარებაში სხვადასხვა ერების, სახელმწიფოებისა და მით უმეტეს ადამიანების დამსახურება განსხვავებულია. ის სახელმწიფოები, სადაც არ ან ვერ იქმნება ასეთი „სიახლე“, იძულებული არიან დაესესონ ან მიბაძონ სიახლის მწარმოებელ ქვეყნებს, რაც ზრდის სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებას, მათ შორის პოლიტიკურს, ეკონომიკურს, კულტურულს და ა. შ.



ზოგიერთი დიდი მასშტაბის სიახლე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე და კიდევ ცვლის მას.

ხშირად იმ სახელმწიფოში, სადაც „ახალი პროდუქცია“ იქმნება, ამის შესასწავლად ჩადიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები. უმეტესად ისინი სწავლობენ მხოლოდ იმას, რაც შეიქმნა და მეტს ვეღარ ავიტარებენ, ვერ ქმნიან ახალს, განსხვავებულს და ექცევიან სხვის მიერ შექმნილი „სიახლის“ ტყვეობაში.

რა თქმა უნდა, არსებობს ერთეული გამონაკლისები, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის.

შეიძლება მართლაც მიზანშეწონილი იყოს ახალი ტექნიკის შესწავლა ან შექმნა, რომელსაც შენ ვერ ქმნი და საკუთარ ქვეყანაში გადმოტანა და გამოყენება. მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია ეს გავაკეთოთ სამართალში?!

ჩვენ შეიძლება ვისარგებლოთ სხვაგან შექმნილი ტექნიკით, რახან ჩვენ თვითონ ვერ ქმნით და უარის თქმის შემთხვევაში ჩამოვრჩებით ტექნიკურად ცივილიზებულ მსოფლიოს.

ასეთი „სიახლეებით“ სარგებლობა აუცილებელიცაა და გარდაუვალიც.

მაგრამ რა ხდება ამ მხრივ პოზიტიურ სამართალში? ვინ უნდა მივიჩნიოთ სამართლებრივად უფრო განვითარებულად? ტექნიკური და ფინანსური განვითარება იმავდროულად ნიშნავს სამართლებრივად განვითარებას?

შეიძლება ერთნაირი კანონებით იცხოვროს ეკონომიკურად და კულტურულად სხვადასხვა დონეზე განვითარებულმა სახელმწიფოებმა?

საჭიროა კი ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოებისათვის ტექნიკის მსგავსად „სამართლის“ გადმოღება „განვითარებული სახელმწიფოებიდან“ და ამისათვის მის შესასწავლად უცხოეთში წასვლა?

ტექნიკა „მოქმედებს“ საზღვრების გარეშე, სანამ არ დაძველდება. შიდასახელმწიფოებრივ სამართალს კი თავისი მოქმედების სივრცე აქვს. როცა ის ამას დაკარგავს, აღარც იარსებებს.

სახელმწიფოებისათვის ზოგჯერ აუცილებელია საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებაში სხვაგან მიღწეული სიახლეების დანერგვა, მაგრამ „სხვისი“ სამართლის გადმოღება „კლავს“ საკუთარ სამართალს.

გლობალიზაციის პროცესიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება სამართლებრივ ნორმათა ჰარმონიზაცია, დაახლოება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ საკუთარ სამართალზე და ვეძიოთ ან ვისწავლოთ ის სხვაგან, რომელიც ჩვენგან განსხვავებული, სხვანაირია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვისგან სწავლა, სხვაზე მიბაძვა, ცოდნის მიღების შუალედური მდგომარეობაა და ხდება „სხვისი“ ცოდნის შესწავლა. საკუთარი, დამოუკიდებელი, ახალი ცოდნის მისაღებად კი აზროვნებაა საჭირო. საკუთარ აზროვნებაზე უარის თქმა და სხვაზე მიბაძვა ხელს უშლის დამოუკიდებელ განვითარებას.

სხვაგან არსებული ცოდნის შესწავლა საჭიროა მეტი ინფორმაციის მისაღებად, მაგრამ თუ არ/ვერ მოხდა მისი შემდგომი განვითარება, მაშინ სხვის ცოდნაზე ვჩერდებით და ჩვენ ახალს აღარაფერს ვქმნით. ველოდებით ახლის შექმნას ისევ სხვაგან, რომ ვისწავლოთ და შემდეგ გამოვიყენოთ. ასეთ შემთხვევაში ვხვდებით სხვისი ცოდნის შემსწავლელი და „მომხმარებელი“. მაგრამ თუკი შესწავლით, მიბაძვით მიღებულ ცოდნას ჩვენი საკუთარი აზროვნებით განვავითარებთ, მაშინ ჩვენც გვექნება წვლილი ახალი ცოდნის შექმნაში და მხოლოდ მიმბაძველები არ ვიქნებით.

მიმბაძველობა დღეს ძალიან აქტუალურია ჩვენთანაც, განსაკუთრებით კი განათლების მიღების საქმეში. დღეს ბევრი ახალგაზრდა მიდის სასწავლებლად საზღვარგარეთ. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ასეა. რამდენად კვალიფიციური სპეციალისტები მზადდებიან და ბრუნდებიან საქართველოში, ეს ცალკე საკითხია.

სტუდენტებს არც მეცნიერები ჩამოუვარდებიან და ბევრი მიდის უცხოეთში სამეცნიერო სტაჟირებაზე, კვლევაზე. მაგრამ სადაც არ უნდა წაიკითხო, *ამას სხვაც გააკეთებს*. ეს არ იქნება შედეგიანი, თუ მათი დამუშავების საფუძველზე სიახლეს არ შემოგვთავაზებთ.

უცხოეთში წასვლა და სამეცნიერო ცენტრებში კვლევა უნდა იყოს საშუალება ახალი ცოდნის შესაქმნელად და არა თვითმიზანი.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იქ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების შესწავლა და სხვისთვის გაზიარება, მაგრამ ეს იქნება ინფორმაციული ხასიათის საქმიანობა და არა შემოქმედებითი, როდესაც ყველასგან და არსებულისგან განსხვავებული, თუნდაც მცირე მოცულობისა და მნიშვნელობის, მაგრამ „სიახლე“ იქნება შემოთავაზებული.



სად წავიკითხავთ და რას, იმაზე მეტად მნიშვნელოვანია სად რას შევქმნით და როდის. ეს იმიტომ, რომ რაც აქ და დღეს ჩვენ სიახლე გვგონია, ის უკვე სხვაგან შექმნილია. ამიტომ არის აუცილებელი ინფორმაციის ცოდნა სხვადასხვა საკითხზე, რათა ჩვენი „სიახლე“ უკვე „ძველი“ არ აღმოჩნდეს. დღევანდელი ინფორმაციის ტექნიკური საშუალებების არსებობის ფონზე ეს პრობლემა თითქმის აღარ უნდა არსებობდეს, მაგრამ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია.

მართალია დღეს უფრო მეტი ინფორმაცია არსებობს და ადვილია ინფორმაციის მოპოვება, ვიდრე ადრე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დღეს უფრო უკეთესად ვაზროვნებთ ჩვენ, ვიდრე ადრინდელი თაობის ადამიანები, რომელთაც ასეთი ტექნიკურ - ინფორმაციული უზრუნველყოფა არ ჰქონდათ.

დღეს ჩვენი და ზოგადად კაცობრიობის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ყოფნა სწორედ მოაზროვნე ადამიანების შემოქმედების შედეგია, რომლებმაც თავიანთი აზროვნებით შექმნეს ახალი „ცოდნა“ მეცნიერების სხვადასხვა დარგში და არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მიღწეულით, უკვე არსებული ცოდნის შესწავლითა და გამოყენებით ან/და თუნდაც სხვებზე გადაცემით.

განვითარებისათვის „სიახლის“ შემოტანა აუცილებელია. სიახლის შემოტანისათვის კი აზროვნებაა აუცილებელი და მიმბაძველობა და გამოცდილება საკმარისი არ არის. ამით მხოლოდ არსებული ცოდნის შესწავლა და გამოყენებაა შესაძლებელი, რაც დღეს ასე მზარდ მოთხოვნებს უკვე ვეღარ დააკმაყოფილებს. სადაც იქმნება სიახლე, განვითარებას იქ არის.

განვითარება მხოლოდ სიახლის (ახალი ცოდნის) შექმნაშია. რაიმე დარგი ვითარდება მხოლოდ მაშინ, თუ იქ ახალი ცოდნა შეიქმნება.

ჩვენთვის უცნობი საკითხის გაცნობა, შესწავლა და შემდეგ გადმოცემა არ ნიშნავს დარგის განვითარებას და ჩვენს წვლილს დარგის განვითარებაში. ეს ნიშნავს ჩვენს განვითარებას სხვის მიერ უკვე შექმნილი ცოდნის ხარჯზე.

ხშირად ასე ემართებათ იმ მეცნიერებს, ვინც უცხოეთში ცოდნა მიიღო. ვიმეორებ ცოდნა მიიღო და არა შექმნა. ხშირად მათ თავი მოაქვთ უცხო ენების ცოდნით და მის მეშვეობით სხვისი (უცხოელის მიერ შექმნილი) ცოდნის გაცნობით.

უკვე შექმნილი ცოდნის შესწავლა და სხვისთვის გაცნობა თავისთავად არ არის ცუდი და კეთილშობილი საქმეა, თუ ეს კეთილსინდისიერად ხდება. თუმცა ხშირად არაკეთილსინდისიერებისას, ხდება უცხო ნაშრომების გაცნობა და საკუთარი სახელით მინოდება იმ მკითხველისა თუ მსმენელისათვის, ვინც ჯერ ამ ცოდნას არ იცნობს, თორემ როცა გაიცნობს, მიხვდება თუ ვინ არის ამ ცოდნის შემქმნელი და ვინ მიმწოდებელი. და თუ ეს მოხდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც დაბალია ცოდნის რეალურ შემქმნელთა შეცნობის ალბათობა, მაშინ ამ ცოდნის არაკეთილსინდისიერი მიმწოდებელი თავს ცოდნის შემქმნელებად აცხადებენ და არა სხვისი ცოდნის მკითხველამდე ან მსმენელამდე მიმტანებად.

სხვაგან მიღებული ცოდნის შესწავლა ლიტერატურის დამუშავებით თუ სხვა გზით საჭიროა იმიტომ, რომ ვიცოდეთ რა ხდება ამა თუ იმ დარგში. ეს საჭიროა ასევე იმისათვის, რომ თუ ჩვენ რაიმე სიახლეს ვქმნით, ვიცოდეთ ის უკვე ხომ არ არის შემქმნილი სხვის მიერ. ეს იმიტომ რომ უკვე შექმნილი ცოდნის თუნდაც კეთილსინდისიერად ხელმეორედ შექმნა დარგს ვერ განავითარებს. ეს დონე უკვე არსებობდა და თუკი ჩვენ კეთილსინდისიერად რაიმე აღმოვაჩინეთ ისე, რომ პლაგიატს ადგილი არ ჰქონია, ეს მიუთითებს ჩვენ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე და კეთილსინდისიერებაზე, მაგრამ არა დარგის განვითარებაში წვლილზე, რადგან ეს უკვე სხვამ შეძლო ჩვენამდე.

ამიტომ მეცნიერული სიახლეების გაცნობა აუცილებელია თუნდაც ახალი სიახლეების შესაქმნელად და ამ გზით მეცნიერების განსავითარებლად. მეცნიერული სიახლეების გაცნობა უნდა იყოს საშუალება და არა თვითმიზანი. საშუალება ახალი ცოდნის შესაქმნელად და არა შექმნილი ცოდნის ჩვენი სახელით მისათითებლად.

ახალი ლიტერატურის გაცნობა კეთილსინდისიერ მეცნიერს სჭირდება იმისათვის, რომ იცოდეს როცა რაიმე ახალს ქმნის, ხომ არა არის უკვე სხვის მიერ შექმნილი და მან თუნდაც ცოტათი ხომ არ „დაავიანა“. არაკეთილსინდისიერს კი სჭირდება იმისათვის, რომ მოახდინოს მისგან გადმოწერა (ანდა გადმოთარგმნა) და საკუთარი სახელით მიანოდოს იმას, ვისთვისაც ეს სიახლე უცნობია და უცნობი იქნება საკმაო ხნით კიდევ. ასეთ დროს ის არის ცოდნის შემქმნელსა და მომხმარებელს შორის შუამავალი არსებული ცოდნის მისაწოდებლად. როცა არ შეგიძლია ახალი ცოდნის შექმნა, არსებული ცოდნის



მკითხველისათვის მიწოდებაც კეთილშობილური საქმეა, თუ ეს კეთილსინდისიერად ხდება. მკითხველი ამ სხვის მიერ შექმნილ ცოდნას სხვა გზითაც გაცნობა და ოდესღაც, ადრე თუ გვიან, ეს დროის საკითხია, მიხვდება თუ ვინ იყო მისი შემქმნელი, მისი ნამდვილი ავტორი და ვინ მიიტანა ის მასთან ზოგჯერ არასწორი შინაარსითა და ფორმით.

ამიტომ სჯობს ახალ წიგნებს გავეცნოთ იმისათვის, რომ ვიცოდეთ რა ახალი ცოდნა არის უკვე შექმნილი, რომ მის შესაქმნელად „ტყუილად აღარ დავიხარჯოთ და არ გავეცნოთ მათ იმისათვის, რომ იქედან რაიმე სიახლე გადმოვწეროთ (ან გადმოვთარგმნოთ) და ნამდვილი ავტორის მითითების გარეშე მივანოლოთ მკითხველს.

დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში უფრო ადრეა შესაძლებელი ახალი ცოდნის შემქმნელი ნამდვილი ავტორის დადგენა, ვიდრე ეს ადრე იყო. ტექნოლოგიურმა საშუალებებმა შეიძლება გააადვილოს არსებული ცოდნის მოძიება და დამუშავება, გახადოს ადვილად ხელმისაწვდომი დაინტერესებული ადამიანისათვის.

მაგრამ არსებული ცოდნის ხელმისაწვდომობა და დამუშავების შესაძლებლობა არ არის საკმარისი ნამდვილი „ახალი ცოდნის შესაქმნელად“. ის უფრო მეტს მოითხოვს. პირველ რიგში ეს არის აზროვნების უნარი. ამიტომ საკუთარი ნააზრევით შექმნილი ახალი ცოდნა, „რა თქმა უნდა, ამ დარგში არსებული ცოდნის დამუშავების“ თუ სხვა გზით, მეტს მათებს და ავითარებს დარგს, ვიდრე არსებული ცოდნის გამოყენება.

სიახლის შემქმნელი მეცნიერები დარგის განვითარებას ემსახურებიან, შექმნილი ცოდნის გამავრცელებლები (თუნდაც საკუთარი სახელით) მხოლოდ მის გამოყენებას. ისე თუ კარგად ჩაუვლრმავდებით, ვინც ცოდნას ქმნის ის მეცნიერია, ვინც მხოლოდ ავრცელებს ის ამის მასწავლებელი.

თუმცა ზოგ მასწავლებელს ეს ეთაკილება და მეცნიერება სურს. თუ ვინ არის მეცნიერი და ვინ მასწავლებელი, ვინ ორივე ერთად ან არცერთი, ამას დრო, მოთმინება და მკითხველი დაადგენს.

**შენიშვნა:** რადგან მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე ვსაუბრობ, ამ ნაშრომში აღარ ვახდენ სხვა ნაშრომების ციტირებას. მართალია, სამეცნიერო ნაშრომი განსხვავდება ლიტერატურული ნაშრომისგან და გარკვეული მოცულობით მოითხოვს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით არსებული და ხელმისაწვდომი ლიტერატურის დამუშავებას, განხილვასა და გამოყენებას, მაგრამ ამ ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, იგი ყოველგვარი ციტირების გარეშე შემოგთავაზებთ.

იმედი მაქვს ეს ნაშრომი დაიმსახურებს როგორც მონონებას, ასევე შესაძლო კრიტიკასაც.

## ელიშერ ფუტკარაძე

### მეცნიერული კეთილსინდისიერებისათვის

#### რეზიუმე

ნაშრომის შექმნის დროს რაც არ უნდა ბევრი და საინტერესო წყარო გამოვიყენოთ, ის მაინც ვერ გახდის მიმზიდველს ნაშრომს ინტელექტუალური მკითხველის თვალში. განათლებული, ინტელექტუალური მკითხველი ეძებს ავტორისეულ და თუნდაც მცირე მნიშვნელობის სიახლეს. თუ ნაშრომში არ არის დარგის განვითარებისათვის შემოთავაზებული თუნდაც მცირე მნიშვნელობის „სიახლე“, მაშინ ის ამ დარგის განვითარებას ვერაფერს შემატებს და არც არაფერის მომცემი იქნება.

სხვაგან მიღებული ცოდნის შესწავლა ლიტერატურის დამუშავებით თუ სხვა გზით საჭიროა იმიტომ, რომ ვიცოდეთ რა ხდება ამა თუ იმ დარგში. ეს საჭიროა ასევე იმისათვის, რომ თუ ჩვენ რაიმე სიახლეს ვქმნით, ვიცოდეთ ის უკვე ხომ არ არის შემქმნელი სხვის მიერ. ეს იმიტომ რომ უკვე შექმნილი ცოდნის თუნდაც კეთილსინდისიერად ხელმეორედ შექმნა დარგს ვერ განავითარებს. ეს დონე უკვე არსებობდა და თუკი ჩვენ კეთილსინდისიერად რაიმე აღმოვაჩინეთ ისე, რომ პლაგიატს ადგილი არ ჰქონია, ეს მიუთითებს ჩვენ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე და კეთილსინდისიერებაზე, მაგრამ არა დარგის განვითარებაში წვლილზე, რადგან ეს უკვე სხვამ შეძლო ჩვენამდე.



ამიტომ მეცნიერული სიახლეების გაცნობა აუცილებელია თუნდაც ახალი სიახლეების შესაქმნელად და ამ გზით მეცნიერების განსავითარებლად. მეცნიერული სიახლეების გაცნობა უნდა იყოს საშუალება და არა თვითმიზანი. საშუალება ახალი ცოდნის შესაქმნელად და არა შექმნილი ცოდნის ჩვენი სახელით მისათითებლად.

**Edisher Phutkaradze**

### **On Academic Integrity**

#### **Abstract**

No matter how many and interesting sources we use during creation of a work, it still cannot be attractive in the eyes of an intelligent reader. Educated, intelligent reader is looking for authorial innovation, even on minimum importance. If the work does not offer even a little "innovation" for the development of the field, then it will not add anything and will be useless.

Gaining knowledge by working on relevant literature or in other way is important because we should know what is happening in other fields. This is also necessary for knowing that when we are creating some innovations maybe it has already been created by someone else. Because re-creation of already created work will not develop the field. This level already existed and if we found something so that plagiarism did not take place, it shows our intellectual ability and honesty, but not the contribution to the development of the field as it has already been created by someone else before us.

Therefore, it is necessary to get acquainted with scientific innovations, at least for creation of new innovations in order to develop science. Knowledge of scientific innovations should be means and not aim itself. The means for creation of some new works and not to add our names to already created ones.



## ნიმუხუნაშვილი

### დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფისათვის

#### შესავალი

დიზაინის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი აქტუალური და მომხმარებელთა და ინდივიდთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების კუთხით სიღრმისეულად გამოსაკვლევია საკითხი. საკითხის აქტუალობას აძლიერებს ევროსაბჭოს დიზაინდირექტივის მოთხოვნა დიზაინდირექტივის წევრმა ყველა სახელმწიფომ დაიცვას და შესაბამისობაში მოიყვანოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ევროსაბჭოს დიზაინდირექტივის მოთხოვნებთან. სტატიის მიზანია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით დიზაინის არსის, დიზაინისადმი წაყენებული მოთხოვნების ანალიზი, იმ კრიტერიუმების გამოკვეთა, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში დიზაინი ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას, დიზაინზე უფლების მქონე პირთა უფლებების ფარგლების განსაზღვრა, თანადიზაინერთა უფლებების ფარგლების დადგენა ერთობლივად შექმნილ დიზაინზე, დიზაინზე უფლების რეგისტრაციის სამართლებრივი თავისებურებების შესწავლა, დიზაინზე უფლებათა შემლუღვის თავისებურებათა გაანალიზება. ნაშრომში ასევე განხილულია ზნეობის ნორმების და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო დიზაინების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი, ასევე გაანალიზებულია დიზაინუფლების სარგებლობის და განკარგვის თავისებურებანი, დიზაინზე უფლების გადაცემის და დიზაინზე უფლების რეგისტრაციის წესები, დამუშავებულია დიზაინზე უფლების შეწყვეტის სამართლებრივი თავისებურებანი, დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის ხარვეზები და შემუშავებულია წინადადებები და რეკომენდაციები ხარვეზულ ნორმათა სრულყოფის მიზნით.

მოცემული სტატიის მიზანია შედარებითი მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ დიზაინის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირების ანალიზი, ასევე საერთაშორისო აქტებით დიზაინისადმი წაყენებული სტანდარტების გამოკვეთა, ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების განსაზღვრა და საერთაშორისო მოთხოვნებთან მისი ჰარმონიზებისათვის წინადადებების შემუშავება.

მართალია, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონმა გაითვალისწინა ევროსაბჭოს დიზაინდირექტივის მოთხოვნები და ის ძირითადი კრიტერიუმები დაანესა, რომლებიც ერთგვაროვანი უნდა იყოს დიზაინდირექტივის წევრ ყველა სახელმწიფოში და დაუნესდეს ყველა დიზაინს, მაგრამ ზოგიერთი არსებითი საკითხი დაურეგულირებელი დარჩა, ზოგიც დახვეწას მოითხოვს. იმისათვის, რომ დიზაინი იყოს დაცვითუნარიანი (რეგისტრაციუნარიანი) ის უნდა აკმაყოფილებდეს „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალობა.“<sup>1</sup> ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „დიზაინს აქვს სიახლე, თუ განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე არც ერთი მისი იდენტური დიზაინი არ გამხდარა საჯაროდ ხელმისაწვდომი.“<sup>2</sup> ინტერესს იწვევს, როგორ განიმარტება სიახლე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და რა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია ეს ტერმინი. პროფ. სანდრო ჯორბენაძის ავტორობით შედგენილ ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „სიახლე სამრეწველო საკუთრების ობიექტის დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი. გამოგონების სიახლედ ითვლება ის, რაც არ არის ცნობილი ტექნიკის არსებული დონისათვის. სასაქონლო ნიშანი ჩაითვლება ახლად, თუ იგი არ არის იდენტური ადრე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის.“ დასახელებული ავტორის განმარტებით სიახლე „დგინდება მოძიებულ ანალოგთან განცხადებული გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის არსებითი ნიშნების შემოწმების შედეგად.“<sup>3</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ე.წ. „საფირმო ვიტრინის“ ტერმინი. მაგ. ამათუმი კომპანია რესტორნისთვის, ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისთვის და სხვა, შეიძლება გამოიყენოს დიზაინი, მათ შორის სასაქონლო ნიშანი, საფირმო სახელწოდება, ფერთა შეხამება, დეკორატიული

1 დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 3

2 დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 3

3 ჯორბენაძე სანდრო ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი გამომცემლობა „სამართალი“ 1998 წ. გვ. 326



მორთულობა და ა.შ., რათა მომხმარებელს შესაძლებლობა ჰქონდეს ამ ფირმის მომსახურება და არ აერიოს იგი იმავე სფეროში მოღვაწე სხვა ფირმის საქმიანობაში. სწორედ ასეთ დიზაინადაა მიჩნეული „საფირმო ვიტრინა“. „საფირმო ვიტრინა“ შეიძლება მივიჩნიოთ „Trade Dress“ – ად, რომელშიც იგულისხმება საქონლის ან მომსახურების შესახებ შექმნილი საერთო შთაბეჭდილება, გარე სახე, კონფიგურაცია და ფერი. ზემოაღნიშნული ტერმინის ქართულ შესატყვისად პროფ. დავით ძამუკაშვილი იყენებს „სავაჭრო კაზმულობას“, რაც საფირმო ვიტრინის შინაარსს ზუსტად ასახავს. ს.ჯორბენაძის აზრით, მომსახურებისათვის საფირმო ვიტრინა უფრო მისაღები იქნება, „სავაჭრო კაზმულობა“ კი – ნაწარმისათვისაა შესაფერისი.<sup>1</sup>

დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის თანახმად „დიზაინი დაცვადია, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალური თვისებები(თავისებურება)“<sup>2</sup> ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „დიზაინი მიიჩნევა ახლად, თუ განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე იდენტური დიზაინი არ ყოფილა საჯაროდ ხელმისაწვდომი.“<sup>3</sup> დიზაინები იდენტურად მიიჩნევა,თუ მათი დეტალები ნაწილები მხოლოდ არამატერიალური დეტალებით განსხვავდება. იაპონიის 1959 წლის 13 აპრილის დიზაინის შესახებ კანონის 3 მუხლის თანახმად „დიზაინი არ დარეგისტრირდება, თუ ის არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს.“<sup>4</sup> 2014 წლის 21 იანვრის კორეის დიზაინის სამართლებრივი დაცვის აქტის 36 მუხლის თანახმად „დიზაინის რეგისტრაციაზე უარის საფუძველია სიახლის არარსებობა.“<sup>5</sup> დიზაინი არ ხასიათდება სიახლით თუ კორეის ტერიტორიაზე მასობრივი ინფორმაციის ან სხვა საშუალებით ცნობილია, გამოქვეყნებულია, ან იმ სახელმწიფოში არის გამოქვეყნებული ან რეგისტრირებული დიზაინი,რომლის ხელშემკვრელ ან მეგობარ სახელმწიფოდაც მიიჩნევა კორეა. შვეიცარიის 2017 წლის 1 იანვრის ფედერალური აქტი დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე და მისი მე-2 მუხლი ადგენს დიზაინის დაცვის კრიტერიუმებს. დიზაინი დასახელებული კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად დაცვადია, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალური თავისებურება. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 წინადადების თანახმად „დიზაინი არ მიიჩნევა ახლად, თუ განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე ის იყო ცნობილი შვეიცარიის ტერიტორიაზე.“<sup>6</sup>

სინგაპურის 2000 წლის 13 ნოემბრის რეგისტრირებული დიზაინების შესახებ აქტის 5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დიზაინი ახლად არ მიიჩნევა და არ დარეგისტრირდება, თუ ის ცნობილია სინგაპურის ტერიტორიაზე ან მცირე დეტალებით განსხვავდება მოცემულ ტერიტორიაზე სავაჭრო ბრუნვაში გაშვებული დიზაინებისაგან.“<sup>7</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად „დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურია,“<sup>8</sup> მაგრამ თუ დასახელებული კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტს გავიარებთ დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს კიდევ ერთი კრიტერიუმი ემატება. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამობატულება. მაშასადამე დიზაინი დაცვას ექვემდებარება თუ თვალით აღიქმება, ვინაიდან აქვს გარეგნული გამობატულება, თვალთ აღქმადია, აქვს სიახლე და ინდივიდუალობა. 1998 წლის ევროსაბჭოს დიზაინდირექტივა დიზაინს უწესებს ინდივიდუალობის მოთხოვნასაც, კერძოდ ევროსაბჭოს დიზაინდირექტივის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის თანახმად „დიზაინი ექვემდებარება დაცვას, თუ ის აკმაყოფილებს სიახლის და ინდივიდუალობის კრიტერიუმებს“<sup>9</sup>. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად „დიზაინი ინდივიდუალურია, თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებისაგან რომელსაც იმავე მომხმარებელზე ახდენს სხვა დიზაინი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის

1 სანდრო ჯორბენაძე, ფრენზაიზინგის ხელშეკრულება, თბ, 1999 გვ.12  
2 German Act of the legal protection of Designs 24 February 2014 article 2  
3 German Act of the legal protection of Designs 24 February 2014 article 2  
4 Japan Design Act No. 125 of April 13, 1959 article 3  
5 Republic of Korea DESIGN PROTECTION ACT Act No. 12288, Jan. 21, 2014 article 36  
6 Federal Act on the Protection of Designs January 1 2017 article 2  
7 Registered Designs Act of Singapore 13th November 2000 article 5  
8 დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 3  
9 Directive 98/71/EC of the European Parliament and of the Council of Europe 13 october 1998 on the Legal Protection of Designs article 3





დადგენის თარიღამდე.<sup>1</sup> ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად დიზაინის ინდივიდუალობის შეფასებისას გაითვალისწინება მისი შექმნისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი. ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად „პროდუქტში ჩართული ან მისთვის გამოყენებული დიზაინი, რომელიც შედგენილი პროდუქტის ნაწილია, მიიჩნევა ახლად და ინდივიდუალურად, თუ იგი შედგენილ პროდუქტში ხილულია მისი ჩვეულებრივი გამოყენების დროს და ხილული ნიშნები აკმაყოფილებს სიახლისა და ინდივიდუალობის კრიტერიუმებს.“<sup>2</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი განმარტავს მოცემული კანონის მიზნებისათვის ჩვეულებრივი გამოყენების მნიშვნელობას და აკონკრეტებს რომ „ჩვეულებრივი გამოყენება“ ნიშნავს საბოლოო მომხმარებლის მიერ გამოყენებას, გარდა ტექნიკური მომსახურების მიმდინარე და აღდგენითი სარემონტო სამუშაოებისა.“<sup>3</sup> გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონის, კერძოდ დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე მისი მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი განმარტავს ინდივიდუალობას: „დიზაინი ინდივიდუალურად მიიჩნევა, თუ საერთო შთაბეჭდილება რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე განსხვავდება იმ საერთო შთაბეჭდილებისაგან, რომელიც მოახდინა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე ხელმისაწვდომმა დიზაინმა.“<sup>4</sup> დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „ინდივიდუალური ხასიათის დადგენისას მხედველობაში მიიღება დიზაინერის თავისუფლების ხარისხი დიზაინის შექმნისას.“<sup>5</sup> გერმანიის დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე 2014 წლის 24 თებერვლის კანონის თანახმად, კერძოდ, დასახელებული კანონის მე-4 მუხლის თანახმად „დიზაინი, რომელიც ჩართულია შედგენილ პროდუქტში ან მისი ნაწილია ახლად და ინდივიდუალურად მიიჩნევა, თუ ეს შედგენილი პროდუქტი ხილულია მისი ჩვეულებრივი გამოყენებისას და შედგენილი ნაწილის ეს ხილული დეტალები აკმაყოფილებს თავის მხრივ სიახლისა და ინდივიდუალობის კრიტერიუმებს.“<sup>6</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის კანონის მსგავსია და სრულ შესაბამისობაშია ევროსაბჭოს მიერ მიღებული დიზაინდირექტივის მოთხოვნებთან. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად დიზაინს წაყენება სიახლისა და ორიგინალობის მოთხოვნა. ამ ქვეყნების კანონმდებლობის თანახმად, ორიგინალობა მოიცავს/გულისხმობს ინდივიდუალობასაც. ყველა დიზაინი მომხმარებელზე ახდენს გარკვეულ შთაბეჭდილებას. იმისათვის რომ გავერკვეთ პროდუქტის გარეგნულმა გამოხატულებამ რომელიც შედგება ფერების, ფორმის, ტექსტურის, მასალის, ერთიანობისაგან მოახდინა თუ არა მომხმარებელზე განსხვავებული შთაბეჭდილება შემოტანილია ინფორმირებული მომხმარებლის კატეგორია. მაშასადამე თუ ინფორმირებული მომხმარებელი, რომელიც მოცემული კატეგორიის პროდუქტს მოიხმარს ყოფაცხოვრებისას აშკარად განასხვავებს ახალი დიზაინით შექმნილ შთაბეჭდილებას და მნიშვნელოვნად განასხვავებს პროდუქტს იმ პროდუქტისა და გარეგანობისაგან, რომელსაც ის მოიხმარდა, დიზაინი აკმაყოფილებს დიზაინის სიახლისა და ინდივიდუალობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. გერმანიის დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე 2014 წლის 24 თებერვლის კანონის თანახმად ამავე კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ანალიზს თუ მოვახდენთ „დიზაინი აშკარად ითვლება, თუ ის გამოქვეყნებული, გასაჯაროებული, გამოფენილი ან სავაჭრო ბრუნვაში გაშვებული ან სხვა გზით საზოგადოებისათვის ცნობილია.“<sup>7</sup> მაშასადამე თუ აშკარა სამოქალაქო ბრუნვაში და სავაჭრო მიმოქცევაში გაშვებული დიზაინისაგან განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას ქმნის ინფორმირებულ მომხმარებელზე ახალი დიზაინი, რომელიც თვალთ აღიქმება, ის მიიჩნევა ახლად და ინდივიდუალურად. რაც შეეხება ინფორმირებული მომხმარებლის განმარტებას, ინფორმირებულ მომხმარებელში არ მოიაზრება დარგის სპეციალისტი ან სპეციალური ცოდნის მქონე პირი მოცემულ სფეროში. ინფორმირებულ მომხმარებელში მოიაზრება პროდუქტის თავისებურებათა გათვალისწინებით სხვადასხვა პროდუქტის მომხმარებელი საშუალო ცოდნაზე მეტი ცოდნისა და პროდუქტზე ინფორმაციის მქონე პირი, რომელსაც შესწევს უნარი საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს დიზაინი, განასხვავოს იმ საერთო

<sup>1</sup> იხ. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 3

<sup>2</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 3

<sup>3</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 3

<sup>4</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 2

<sup>5</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 2

<sup>6</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 4

<sup>7</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 5



შთაბეჭდილებებისაგან, რომელიც მოახდინა სამოქალაქო ბრუნვაში ახალი დიზაინის გამოჩენამდე არსებულმა დიზაინმა.

დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, „დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამოსახულება.“<sup>1</sup> მაშასადამე, დიზაინის სამართლით დაცვადია პროდუქტის გარეგნული გამოსახულება მიუხედავად მისი ავტორიანობისა და ფუნქციისა. დასახელებული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დაცვა არ ვრცელდება დიზაინში ჩართულ სიტყვაზე ან სიტყვათა წყობაზე. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები მოიცავს ნებისმიერ დიზაინს, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას.

**მიზანშეწონილად მიმაჩნია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 4 მუხლის მე-3 ნაწილის ფორმულირება შემდეგი სახით: დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები მოიცავს ნებისმიერ დიზაინს, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. ვინაიდან დიზაინს უნდა ახასიათებდეს სიახლე და ინდივიდუალობა. მიმაჩნია, რომ ის უნდა ახდენდეს ინფორმირებულ მომხმარებელზე განსხვავებულ შთაბეჭდილებას. საკითხის ანალიზიდან გამომდინარე მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 ნაწილიდან სიტყვა „არ“ უნდა იქნეს ამოღებული, კანონში მოაზრებული და პრაქტიკულად განსახორციელებელი კანონმდებლის მიზნები პრაქტიკაში სისრულეში რომ იქნეს მოყვანილი.**

დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლების განსაზღვრისას გაითვალისწინება დიზაინის შექმნისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი. აქ შემოქმედებითი თავისუფლებაა ნაკულისხმევი. როდესაც დიზაინერი ახორციელებს მისი ინტელექტუალურ შემოქმედებითი შრომის შედეგად შემოქმედებით-გამოყენებითი შრომის პროდუქტის შექმნას, ის უნდა იყოს დამოუკიდებელი თავისუფალი ყოველგვარი ზეგავლენისაგან, გარემო ფაქტორებისაგან, პოლიტიკური თუ სხვა სახის შეხედულებებისაგან და ა.შ.

ამ მოსაზრებას ამტკიცებს 2014 წლის 24 თებერვლის დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის კანონი კერძოდ დასახელებული კანონის მე-2 მუხლის მე-3 ქუნქტის თანახმად „დიზაინის ინდივიდუალობის განსაზღვრისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.“<sup>2</sup> მაშასადამე არ არსებობს ინდივიდუალობა თუ დიზაინერი შემოქმედებითი შრომის დროს ზენოლის ქვეშ იმყოფება ან სხვათა აზრების ხორცშესხმას ახორციელებს.

შემოქმედებითი შრომა ყოველგვარი ზეგავლენისაგან თავისუფალია, შესაბამისად დიზაინი უნდა აკმაყოფილებდეს სიახლის, ინდივიდუალობის, მხედველობითი აღქმის და მომხმარებელზე განსხვავებული შთაბეჭდილების მოხდენის კრიტერიუმს, ის რომ დაცვადი იყოს.

**დიზაინზე უფლების მქონე პირი, ერთობლივად შექმნილ დიზაინზე უფლების მქონე პირები, დიზაინზე უფლებების მფლობელები**

დიზაინერი არის პირი, ვინც თავისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა შემოქმედებით-გამოყენებითი შრომის პროდუქტი. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლში მოცემულია ტერმინთა განმარტება, მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად დიზაინერი განმარტებულია როგორც „ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა დიზაინი.“<sup>3</sup> საინტერესოა, ერთი და იგივე სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს თუ არა ტერმინებს „დიზაინერი“ და დიზაინზე უფლებამოსილი პირი? შედარებისათვის, დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის აქტის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი განმარტავს ვინ ითვლება დიზაინზე უფლების მფლობელად: „დიზაინზე უფლების მქონედ მიიჩნევა უფლების მფლობელი, რომელსაც რეგისტრირებულ დიზაინზე აქვს უფლება და ეს უფლება დასტურდება დიზაინების რეესტრის ჩანაწერიდან“<sup>4</sup>. ამავე კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად „რეგისტრირებულ დიზაინზე უფლება ეკუთვნის დიზაინერს ან მის მემკვიდრეს. თუ რამდენიმე პირმა ერთობლივად შექმნა დიზაინი რეგისტრირებულ დიზაინზე უფლება ეკუთვნის ყველას ერთობლივად.“<sup>5</sup> დასახელებული კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „თუ დიზაინი შექმნილია დასაქმებულის მიერ რომელიც თავის შრომით მოვალეობებს ასრულებს ან ასრულებს დამსაქმებლის

<sup>1</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 4

<sup>2</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 2

<sup>3</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 2

<sup>4</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 1

<sup>5</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 7



მითითებებს, უფლება რეგისტრირებულ დიზაინზე ეკუთვნის დამსაქმებელს, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს”.<sup>1</sup> დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე შვეიცარიის 2001 წლის 5 ოქტომბრის ფედერალური კანონის მე-5 მუხლი განმარტავს რომ „დიზაინზე უფლება წარმოიშობა დიზაინის რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.”<sup>2</sup> მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „დიზაინზე უფლების დაცვა გრძელდება 5 წლის განმავლობაში განაცხადის შევსების თარიღიდან.”<sup>3</sup> ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად უფლების დაცვის პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს 4–ჯერ 5 წლიანი პერიოდებით. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად „დიზაინზე უფლება ეკუთვნის იმ პიროვნებას, ვინც პირველად შეავსო დიზაინზე განაცხადი”.<sup>4</sup> დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე შვეიცარიის ფედერალური კანონის მე-7 მუხლის თანახმად „პიროვნება, რომელმაც შექმნა დიზაინი ან მისი მემკვიდრე (უფლებამონაცვლე) ან მესამე პირი, რომლის უფლებას სამართლებრივი საფუძველი გააჩნია უფლებამოსილია შეავსოს დიზაინზე განაცხადი.”<sup>5</sup> ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „თუ რამდენიმე პიროვნებამ ერთობლივად შექმნა დიზაინი ისინი უფლებამოსილი არიან ერთობლივად შეავსონ დიზაინზე უფლებაზე განაცხადი, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს მათ შორის დადებული ხელშეკრულებიდან.”<sup>6</sup> რაც შეეხება დიზაინზე უფლების ფარგლებს დასახელებული კანონის მე-9 მუხლის თანახმად „დიზაინზე უფლების მქონე პირს უფლება აქვს აუკრძალოს სხვებს დიზაინის კომერციული მიზნებისათვის გამოყენება. გამოყენება მოიცავს დამზადებას, დასაწყობებას, შენახვას, სხვათათვის შეთავაზებას, ბაზარზე განთავსებას, უცხოეთიდან შემოტანას ან გატანას ან უნებართვო სარგებლობას და მფლობელობას მოცემული მიზნებისათვის ან ტრანზიტის განხორციელებას. უფლების მფლობელს შეუძლია აკრძალოს იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი თუ ეს კომერციული მიზნებისათვის ხორციელდება პირის მიერ უნებართვის გარეშე.”<sup>6</sup> დიზაინზე უფლების მქონე პირს ასევე შეუძლია აუკრძალოს მხარეებს აღნიშნულ მოქმედებებში მონაწილეობა ან აღნიშნული ქმედებების წაქეზება თუ ეს ხორციელდება კანონსაწინააღმდეგოდ. შვეიცარიის 2001 წლის 5 ოქტომბრის დიზაინის დაცვის საკითხებზე ფედერალური აქტის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „თუ პიროვნება ითხოვს დიზაინზე პარალელური გამოყენების უფლებას, მან უნდა გადაუხადოს უფლების მფლობელს სამართლიანი კომპენსაცია პარალელური გამოყენების უფლების განაცხადის მოთხოვნის დღიდან.”<sup>7</sup> ამავე კანონის მე-14 მუხლის თანახმად დიზაინზე უფლების მფლობელმა უფლება შეიძლება გადასცეს მთლიანად ან ნაწილობრივ. უფლების გადაცემა ნამდვილია თუ არსებობს ამის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება. მაგრამ ეს უფლების გადაცემა რეესტრში არ რეგისტრირდება. დიზაინზე უფლების მქონე პირი ჩვეულებრივი ან ექსკლუზიური ლიცენზიით გადასცემს სხვა პირებს დიზაინის გამოყენების უფლებას. ლიცენზია რეგისტრირდება რეესტრში. მხარეთა მიმართვის შემთხვევაში მხოლოდ მხარეებისათვის მისი პირობები. დასახელებული კანონის მე-16 მუხლის თანახმად „დიზაინზე უფლება შეიძლება იყოს უზუფრუქტის ან გირავნობის საგანი. უზუფრუქტი და გირავნობა ექვემდებარება რეესტრში რეგისტრაციას მხარეთა მიერ აღნიშნული უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით რეესტრში მიმართვის შემთხვევაში.”<sup>8</sup> შვეიცარიის კანონის მე-17 მუხლის თანახმად: „დიზაინზე უფლება შეიძლება გახდეს იძულებითი აღსრულების საგანი”<sup>9</sup>. 2005 წლის 10 თებერვლის იტალიის კოდექს-კოდექსი ინდუსტრიული საკუთრების შესახებ და დასახელებული კოდექსის 31–ე მუხლი განმარტავს, „რომ დიზაინების და მოდელების რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს, თუ ის მოიცავს პროდუქტის გარეგანობას, რომელიც შედგება ხაზების, კონტურების, ფერების, ფორმის, ტექსტურის ან მასალების ან მათი ორნამენტებისაგან, რომელიც აკმაყოფილებს სიახლის და ინდივიდუალობის კრიტერიუმებს.”<sup>10</sup> ამავე კანონის 31–ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „პროდუქტში მოიაზრება ინდუსტრიული ან ხელთნაკეთი პროდუქტი, შედგენილი პროდუქტი, საფუთავები, გრაფიკული სიმბოლოები ან ტიპოგრაფიული შრიფტები

<sup>1</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 7

<sup>2</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 5

<sup>3</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 5

<sup>4</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 6

<sup>5</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 7

<sup>6</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 9

<sup>7</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 13

<sup>8</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 16

<sup>9</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 17

<sup>10</sup> ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 31



კომპიუტერული პროგრამების გარდა.<sup>1</sup> ამავე აქტის 37-ე მუხლის თანახმად: „დიზაინზე ან სასარგებლო მოდელებზე რეგისტრაციის პერიოდი გრძელდება 5 წლის განმავლობაში სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენის თარიღიდან. მესაკუთრემ შეიძლება მოითხოვოს 5 წლიანი პერიოდულობით რეგისტრაციის ვადის გახანძლივება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს რეგისტრაციის განაცხადის შევსების პერიოდიდან“<sup>2</sup>. დასახელებული კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დიზაინის შემქმნელს ან მის მემკვიდრეს (უფლებამონაცვლეს) აქვს რეგისტრაციის უფლება. დასახელებული კანონის 3-ე მუხლის თანახმად „თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, დიზაინის რეგისტრაციის უფლება, თუ დიზაინი შექმნილია დასაქმებულთა მიერ, ეკუთვნის დამსაქმებელს და რეგისტრაციის შემთხვევაში დამსაქმებელს შესაბამისი სარეგისტრაციო მოწმობა-სერტიფიკატი ეძლევა.“<sup>3</sup> იტალიის ინდუსტრიული საკუთრების კოდექსის თანახმად: „რეგისტრირებულ დიზაინზე უფლების მქონე პირს აქვს ექსკლუზიური უფლება გამოიყენოს ეს დიზაინიან აუკრძალოს მესამე პირს მისი თანხმობის გარეშე მისი გამოყენება.“<sup>4</sup> ამავე კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გამოყენება მოიცავს სხვათათვის შეთავაზებას, ბაზარზე სავაჭროდ განთავსებას, იმპორტს, ექსპორტს ან პროდუქტის გამოყენებას ან აღნიშნული პროდუქტის დამარაგებას კომერციული მიზნებისათვის გამოსაყენებლად.“<sup>5</sup> ექსკლუზიური უფლება დიზაინზე ვრცელდება ნებისმიერ დიზაინზე ან მოდელებზე, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. დასახელებული კანონის 42-ე მუხლის თანახმად: „დიზაინზე ან მოდელებზე უფლების შემზღუდვა არ მოიაზრებს ა) იმ ქმედებებს, რომელიც პირადი მიზნებისათვის ხორციელდება არაკომერციული გამოყენების მიზნით:

ბ) ქმედებებს, რომელიც ხორციელდება ექსპერიმენტული მიზნებისათვის

გ) რეპროდუცირებას, თუ ის ხორციელდება დიდაქტიკური მიზნებისათვის, ციტირების წესები დაცულია, შესაბამისობაშია კეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკასთან, არ სცდება დიზაინის ან მოდელების ნორმალური გამოყენების ფარგლებს და წყარო დასახელებულია“<sup>6</sup>. ამრიგად, დიზაინერობა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს დიზაინზე უფლების არსებობას. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად დიზაინზე განსაკუთრებული უფლებები წარმოიშობა საქ. პატენტში რეგისტრაციის შემთხვევაში განაცხადის შეტანის თარიღიდან, ასევე ამ კანონის შესაბამისად, ჰაავის შეთანხმების საფუძველზე საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელების გზით. საქ. პატენტში რეგისტრირებულ დიზაინზე გაცივმა მოწმობა. „განმცხადებელი უფლებამოსილია საქ. პატენტში რეგისტრაციაში გაატაროს დიზაინი ერთი ან რამდენიმე 5 წლიანი პერიოდით, მაგრამ არა უმეტეს 25 წლისა საქ. პატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან“<sup>7</sup>. განაცხადის შეტანის უფლება აქვს დიზაინერს ან მის უფლებამონაცვლეს. თუ დიზაინი შექმნილია რამოდენიმე პირის მიერ ერთობლივად, როგორც ყველა დიზაინერს ერთობლივად ისე თითოეულ მათგანს სხვა თანადიზაინერთა წერილობითი თანხმობის შემთხვევაში აქვს დიზაინზე განაცხადის შეტანის უფლება, თუ თანადიზაინერთა შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ დიზაინზე, რომელიც უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, განაცხადის შეტანის უფლება აქვს დამსაქმებელს, შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად „თუ დიზაინის შექმნა არ უკავშირდება დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმღების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, მაგრამ დასაქმებულმა/ შეკვეთის მიმღებმა დიზაინის შესაქმნელად გამოიყენა დამსაქმებლის/შემკვეთის მფლობელობაში არსებული რესურსი, დიზაინის რეგისტრაციის უფლება აქვს დამსაქმებელს/შემკვეთს“<sup>8</sup>. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად „დასაქმებულს / შეკვეთის მიმღებს აქვს ამ დიზაინზე უსასყიდლოდ, არაექსკლუზიური კერძო ლიცენზიის მიღების ან დიზაინიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების შესყიდვის უპირატესი უფლება, თუ ხელშეკრულებით

<sup>1</sup> ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 31  
<sup>2</sup> ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 37  
<sup>3</sup> ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 38  
<sup>4</sup> ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 41  
<sup>5</sup> ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 41  
<sup>6</sup> ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 42  
<sup>7</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 5  
<sup>8</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 9



სხვა რამ არ არის გათვალისწინებული”.<sup>1</sup> დიზაინზე უფლების ქონა მის მფლობელს ანიჭებს მისი ნებართვის (თანხმობის) არარსებობის შემთხვევაში, იმ ქმედებების აკრძალვის შესაძლებლობას, რომლებიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაამდიდრებს მათი უფლების დამრღვევს, ხოლო დიზაინზე უფლების მფლობელს მიაყენებს ქონებრივ ზიანს. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე შვეიცარიის ფედერალური აქტის მსგავსად 26-ე მუხლში ჩამოთვლის დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების ფარგლებს. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად „დიზაინის მფლობელი თავის შეხედულებისამებრ განკარგავს დიზაინს. მას აქვს უფლება, გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს დიზაინი დადგენილი წესით, გასცეს კერძო ლიცენზია დიზაინის გამოყენებაზე.“<sup>2</sup> ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს იმ პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი, ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა და ასეთი პროდუქტის შენახვა ამ მიზნებისათვის. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი იტალიის ინდუსტრიული საკუთრების კოდექსის მსგავსად, დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევს დიზაინის ექსპერიმენტული მიზნებისათვის გამოყენებას, დიზაინის ასლის გადაღებას, რომელიც სრულდება ციტირების ან სწავლების მიზნით, თუ ამგვარი გადაღება არ ითვლება არაკეთილსინდისიერ ქმედებად და ზიანს არ აყენებს დიზაინის ჩვეულებრივ გამოყენებას და მიეთითება წყარო, დიზაინის რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხომალდზე საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება მისი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში დიზაინი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მენარმოებისათვის. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი შესაბამისობაშია ყველაზე მონივრულ და განვითარებული ქვეყნების დიზაინის კანონმდებლობასთან, საკმაოდ მკაფიო, დახვეწილ ნორმებს და საკანონმდებლო დათქმებს შეიცავს დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე, თუმცა *მიზანშეწონილად მიმაჩნია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონს დიზაინის დაცვის საკითხებზე შვეიცარიის ფედერალური კანონის მსგავსად დაემატოს ნორმა, სადაც აღინიშნება, რომ დიზაინზე უფლება შეიძლება იყოს უზუფრუქტის ან გირავნობის საგანი. ასეთ შემთხვევაში ცვლილება იქნება შესატანი სანივთო სამართლის ნორმებშიც, ვინაიდან დღეს არსებული წესის თანახმად, უზუფრუქტის საგანი შესაძლოა იყოს მარტოოდენ უძრავი ნივთი. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია კანონით განსაზღვროს დიზაინზე უფლების გირავნობის და მასზე უზუფრუქტის წარმოშობის, შეწყვეტის პროცედურები. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია კანონს დაემატოს ნორმა, რომელიც შვეიცარიის ფედერალური კანონის მსგავსად დაარეგულირებს, რომ დიზაინზე უფლება შეიძლება ვახდეს იძულებითი აღსრულების საგანი. მითუმეტეს, რომ დიზაინზე უფლება არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა.*

*მიზანშეწონილად მიმაჩნია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონს დაემატოს ნორმა, რომელიც დიზაინის დაცვის საკითხებზე შვეიცარიის ფედერალური კანონის მსგავსად დაარეგულირებს სამართლიანი კომპენსაციის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება მოითხოვს დიზაინის პარალელური გამოყენების უფლების მინიჭებას. საკანონმდებლო დონეზე უნდა განმტკიცდეს ასევე, რომ დიზაინზე პარალელური გამოყენების უფლების მქონე პირს დიზაინზე უფლების კანონიერი მფლობელის სასარგებლოდ დაეკისროს სამართლიანი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება პარალელური გამოყენების უფლების განაცხადის რეგისტრაციის მოთხოვნის დაყენების მომენტიდან.*

საჯარო წესრიგის და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო დიზაინების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი

1998 წლის 13 ოქტომბრის ევროსაბჭოს დიზაინდირექტივა დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე და დასახელებული დირექტივის მე-8 მუხლი ითვალისწინებს დათქმას, რომლის თანახმადაც „დიზაინზე უფლება არ შეიძლება გავრცელდეს ისეთ დიზაინებზე, რომელიც საჯარო წესრიგს და დამკვიდრებულ მორალურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება.“<sup>3</sup> დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე 2014 წლის 24 თებერვლის გერმანიის კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „დიზაინის

<sup>1</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 9

<sup>2</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 26

<sup>3</sup> Directive 98/71/EC of the European Parliament and of the Council of Europe 13 October 1998 on the Legal Protection of Designs article 8



სამართლებრივი დაცვის ფარგლებიდან ამორიცხულია დიზაინები, რომელიც საჯარო წესრიგის და დამკვიდრებული მორალური პრინციპების საწინააღმდეგოა.<sup>1</sup> შვეიცარიის 2001 წლის 5ოქტომბრის ფედერალური კანონის დიზაინის დაცვის საკითხებზე, კერძოდ, დასახელებული კანონის მე-4 მუხლის 'D' და „E' ქვეპუნქტების თანახმად დიზაინის რეგისტრაციაზე უარის საფუძვლებია და დიზაინი სამართლებრივად დაცვას არ ექვემდებარება, თუ „დიზაინი ეწინააღმდეგება ფედერალურ კანონს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან დიზაინი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და მორალს.“<sup>2</sup> იტალიის 2005 წლის 10 თებერვლის ინდუსტრიული საკუთრების კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად „დიზაინი ან მოდელი, რომელიც საჯარო წესრიგის და დამკვიდრებული მორალური პრინციპების საწინააღმდეგოა არ შეიძლება დარეგისტრირდეს.“<sup>3</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 10-ე მუხლი განსაზღვრავს დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს. დიზაინი არ რეგისტრირდება თუ 10-ე მუხლის დ ქვეპუნქტის თანახმად „მისი რეგისტრაცია ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.“<sup>4</sup> საჯარო წესრიგი მოიცავს ზნეობრივ ნორმებსაც და დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებსაც, თუმცა ის რაც განსაზღვრული ტერიტორიის გარკვეულ ფარგლებში არამორალურად, ზნეობის საწინააღმდეგოდ ითვლება, სხვა ტერიტორიულ ფარგლებში შესაძლებელია მორალურ პრინციპებთან და ღირებულებებთან სრულიად შესაბამისობაში მყოფ ქმედებად განიხილებოდეს. ამიტომ დიზაინის შესახებ საქართველოს კანონმა მე-10 მუხლის დ ქვეპუნქტი იმდენად დახვეწილად ჩამოაყალიბა, რომ ის შესაბამისობაშია ევროსაბჭოს დიზაინდირექტივის დანაწესებთან და ამავე დროს საკმაოდ დახვეწილად არეგულირებს დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლებს, სადაც დ ქვეპუნქტში მოცემული ტერმინი საჯარო წესრიგი საკმაოდ დიდი დატვირთვის მქონე ტერმინად მოიაზრება, რომელიც თავის თავში მოიცავს საჯარო წესრიგს, ზნეობრივ ღირებულებებს, მორალურ პრინციპებსაც, რომლის საწინააღმდეგო დიზაინის რეგისტრაციის დაუშვებელია.

**დიზაინუფლებით სარგებლობის და განკარგვის თავისებურებანი**

დიზაინზე უფლების მქონე პირს აქვს დიზაინზე სარგებლობის და განკარგვის საკითხებში გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება. დიზაინის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს აღიარებს დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლში მოცემულია დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების ფარგლები. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად „დიზაინის მფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს დიზაინს. მას უფლება აქვს გაყიდოს, ან სხვა გზით გაასხვისოს დიზაინი, დადგენილი წესით გასცეს კერძო ლიცენზია დიზაინის გამოყენებაზე.“<sup>5</sup> დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას ნება დართოს ან აკრძალოს იმ პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა და ასეთი პროდუქტის შენახვა ამ მიზნებისათვის. თუ დიზაინის მფლობელი რამდენიმე პირია „უფლების გადაცემა ან კერძო ლიცენზიის გაცემა ნებადართულია მხოლოდ ყველა მფლობელის თანხმობით. თითოეულ მფლობელს უფლება აქვს რეგისტრირებული დიზაინი სხვა მფლობელთან თანხმობის გარეშე გამოიყენოს საკუთარ წარმოებაში.“<sup>6</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს იმ განმცხადებლის უფლებების დაცვის ბერკეტებს, რომელმაც დიზაინის რეგისტრაციაზე განაცხადი შეავსო. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად განაცხადის გამოქვეყნების დღიდან მის რეგისტრაციამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რომლებიც მას მიენიჭება რეგისტრაციის შემდეგ. თუ რეგისტრაცია არ განხორციელდება, აღნიშნული უფლებები წარმოშობილად არ მიიჩნევა. „დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა:

1 German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 3  
 2 Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 4  
 3 ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 33  
 4 დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4მაისი მუხლი 10  
 5 დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4მაისი მუხლი 26  
 6 დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4მაისი მუხლი 26



ა) დიზაინის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდეგ გავრცელება ან სხვაგვარად გამოყენება;

ბ) დიზაინის პირადი სარგებლობისთვის გამოყენება, თუ ეს ქმედება არ ისახავს სამეცნიერო მიზნებს;

გ) დიზაინის ექსპერიმენტული მიზნებისათვის გამოყენება;

დ) დიზაინის ასლის გადაღება, რომელიც სრულდება ციტირების ან სწავლების მიზნით, თუ ამგვარი გადაღება არ ითვლება არაკეთილსინდისიერ ქმედებად და ზიანს არ აყენებს დიზაინის ჩვეულებრივ გამოყენებას და მიეთითება წყარო;

ე) დიზაინის რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხომალდზე, საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება მისი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში დიზაინი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეცნიერებისათვის.

ვ) დიზაინის გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) შემთხვევაში.<sup>1</sup> მაშასადამე დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლში მოცემული უფლებები მესაკუთრის პოზიტიური და ნეგატიური უფლებამოსილებების მსგავსია, რაც იმაში ვლინდება, რომ დიზაინზე უფლება ჩვეულებრივი სამოქალაქო უფლების ნიშნების მატარებელია. დიზაინზე უფლების მქონე პირის პოზიტიური უფლებამოსილებანი გამოხატულია 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილში, ხოლო 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის იმ ნეგატიურ უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელება ეკრძალებათ სხვა პირებს უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი ამომწურავად ჩამოთვლის იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელება სათანადო სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას არ მიიჩნევა დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე დიზაინზე უფლების მქონე პირის განსაკუთრებული უფლებების დამრღვევ ქმედებად. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი ითვალისწინებს ეგრეთ წოდებულ „წინათსარგებლობის უფლებას“,<sup>2</sup> რომელიც გულისხმობს პირის უფლებას გამოიყენოს დიზაინი მისი რეგისტრაციის მოქმედების მიუხედავად, თუ იგი კეთილსინდისიერად იყენებდა ამ დიზაინს ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის საქართველოში განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე. წინათსარგებლობის უფლება მესამე პირს აძლევს დიზაინის მხოლოდ იმ მიზნითა და მოცულობით გამოყენების უფლებას, რა მიზნით და მოცულობითაც უკვე გამოიყენა იგი ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები პირმა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე. წინათსარგებლობის უფლებაზე დაუშვებელია კერძო ლიცენზიის გაცემა. თუ დიზაინის შესახებ საქართველოს კანონს და დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებში გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონს შევადარებთ, ვნახავთ, რომ დასახელებული კანონის 38-ე მუხლის თანახმად „დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას გამოიყენოს დიზაინი ან აუკრძალოს ნებისმიერ მესამე პირს უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე დიზაინის გამოყენება. ასევე უფლების მფლობელს აქვს უფლება შესთავაზოს სხვებს დიზაინი, ბაზარზე განათავსოს გასაყიდად დიზაინი, განახორციელოს იმპორტი ან ექსპორტი, პროდუქტის მოხმარება, რომელშიც განთავსებულია დიზაინი ან აღნიშნული პროდუქტის დამზადება განახორციელოს ამ მიზნებისთვის“<sup>3</sup>.

დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა ამავე კანონის მე-40 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, რომელიც გულისხმობს დიზაინის პირადი და არაკომერციული მიზნებისათვის გამოყენებას, ქმედებებს, რომლებიც ხორციელდება ექსპერიმენტული მიზნებისათვის, დიზაინის ასლის გადაღება, რომელიც სრულდება ციტირების ან სწავლების მიზნით თუ ამგვარი ქმედებები არ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას და რეგისტრირებული დიზაინის ნორმალურ ექსპლოატაციას და წყარო მიეთითება. დიზაინის ნაწილების საზღვაო ან საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება, რომელიც ჯერ რეგისტრირებულია სხვა ქვეყანაში და დროებით ხორციელდება გერმანიაში შეღწევა, ასევე ნაწილების ან აქსესუარების იმპორტი, რომელიც ხორციელდება დროებით გემების ან საჰაერო ხომალდების შეკეთების მიზნით. დიზაინის სამართლებრივი

<sup>1</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 26

<sup>2</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 27

<sup>3</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 38



დაცვის საკითხებზე გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონის 41-ე მუხლის თანახმად, გათვალისწინებულია დიზაინის წინასწარი სარგებლობის უფლება, რომლის თანახმად „თუ პირმა დიზაინის რეგისტრაციის განაცხადის შევსებამდე კეთილსინდისიერად ისარგებლა დიზაინით გერმანიაში ან ევექტური და სერიოზული სამუშაოები ჩაატარა მისი გამოყენებისათვის, აღნიშნულ მესამე პირს მიენიჭება დიზაინით სარგებლობის უფლება. დაუშვებელია წინათსარგებლობის უფლებაზე ლიცენზიის გაცემა. მესამე პირზე გაცემული წინათსარგებლობის უფლება გადაუცემადია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინათსარგებლობის უფლების გადაცემა ხდება საწარმოსთან ერთად, სადაც განხორციელდა მოსამზადებელი ქმედებები თუ სამუშაოები.“<sup>1</sup>

დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონის 45-ე მუხლი ითვალისწინებს კომპენსაციის უფლებას.თუ უფლების დამრღვევმა განზრახ ან გაუფროთხილებლობით უფლების კანონიერ მფლობელს მიაყენა ზიანი უფლების დამრღვევმა უნდა გადაუხადოს სამართლიანი კომპენსაცია.

**მიზანშეწონილად მიიჩნია „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს მუხლი, რომელიც გერმანიის კანონის მსგავსად, რეგისტრირებულ დიზაინზე უფლების მქონე პირის უფლების დარღვევის შემთხვევაში სამართლიანი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს უფლებამოსილ პირს.**

**დიზაინზე უფლების რეგისტრაციის და გადაცემის თავისებურებანი**

დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის ანალიზი ცხადყოფს, რომ დიზაინერად მიიჩნევა პირი, რომელმაც თავისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა შემოქმედებით-გამოყენებითი შრომის პროდუქტი. საინტერესოა, დიზაინერს დიზაინის შექმნისთანავე აქვს თუ არა თავისი ინტელექტუალურ შემოქმედებითი შრომის შედეგის განკარგვის, უფლების იურიდიული ბედის გადაწყვეტის, სხვა პირებზე მისი გადაცემის უფლება. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ კანონი კონსტიტუციური მნიშვნელობის ფაქტად მიიჩნევს დიზაინზე უფლების რეგისტრაციას. თუ დიზაინერი განაცხადს წარადგენს სარეგისტრაციოდ, მას შეუძლია ეს განაცხადი და მისგან გამომდინარე უფლებები გადასცეს სხვა პირებს ან დაუთმოს უფლებები სხვა პირებს, ვისზე გადაცემაც სურს. დიზაინზე უფლების გადაცემას ყოველთვის ოფიციალური სახე უნდა მიეცეს, სამართლებრივ ფარგლებში უნდა მოექცეს. დიზაინზე უფლებების გადაცემას ძალა აქვს მესამე პირთა წინაშე რეგისტრაციისა და ამ რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ. დიზაინის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის უფლება აქვს დიზაინერს ან მის უფლებამონაცვლეს. ამრიგად, დიზაინზე უფლება შედის სამკვიდროში. რამდენიმე პირის მიერ შექმნილ დიზაინზე განაცხადის შეტანის უფლება აქვს, როგორც ყველა დიზაინერს ერთობლივად, ისე თითოეულ მათგანს სხვა თანადიზაინერთა წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, თუ თანადიზაინერთა შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს დიზაინის რეგისტრაციის განხორციელების აკრძალვის წინაპირობებს, კერძოდ დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად: „დაუშვებელია განაცხადი შეიტანოს: ა) ფიზიკურმა პირმა, რომელიც მუშაობს ან მუშაობდა საქ.პატენტში განაცხადის შეტანამდე 12 თვით ადრე.

ბ) იურიდიულმა პირმა, რომლის წევრი, პარტნიორი ან აქციონერი ან ხელმძღვანელი არის 33-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი.“<sup>2</sup>

ინტერესს იწვევს ქართულ სამართალში დასაქმებულთა მიერ შექმნილ დიზაინებზე უფლებების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „დასაქმებულის ან / და შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ დიზაინზე, რომელიც უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, განაცხადის შეტანის უფლება აქვს დამსაქმებელს / შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ დიზაინის შექმნა არ უკავშირდება დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმღების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, მაგრამ დასაქმებულმა შეკვეთის მიმღებმა დიზაინის შესაქმნელად გამოიყენა დამსაქმებლის/ შემკვეთის მფლობელობაში არსებული რესურსი, დიზაინის რეგისტრაციის უფლება აქვს დამსაქმებელს / შემკვეთს. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად

<sup>1</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 41

<sup>2</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 33





„დასაქმებულს/შეკვეთის მიმღებს აქვს ამ დიზაინზე უსასყიდლოდ, არაექსკლუზიური კერძო ლიცენზიის მიღების ან და დიზაინიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების შესყიდვის უპირატესი უფლება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ ერთი და იგივე დიზაინი დამოუკიდებლად შექმნა ორმა ან ორზე მეტმა პირმა, დიზაინზე განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის იმ განმცხადებელს, რომლის განაცხადსაც უფრო ადრინდელი პრიორიტეტი აქვს. თუ რამდენიმე განაცხადს, რომელიც შეეხება იდენტურ დიზაინებს დაუდგინდა ერთი და იგივე პრიორიტეტი, დიზაინის რეგისტრაციის უფლება აქვს განმცხადებელთა შეთანხმებაში მითითებულ პირებს. მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო. დიზაინთან დაკავშირებული უფლებების გადაცემა გარკვეული სპეციფიკური დათქმების შემცველია. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად „დიზაინის მფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს დიზაინს. მას უფლება აქვს გაყიდოს, ან სხვა გზით გაასხვისოს დიზაინი, დადგენილი წესით გასცეს ლიცენზია დიზაინის გამოყენებაზე. დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს იმ პროდუქტის, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება, დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა და ასეთი პროდუქტის შენახვა ამ მიზნებისათვის. თუ დიზაინის მფლობელი რამდენიმე პირია უფლების გადაცემა ან კერძო ლიცენზიის გაცემა ნებადართულია მხოლოდ ყველა მფლობელის თანხმობით თითოეულ მფლობელს უფლება აქვს რეგისტრირებული დიზაინი სხვა მფლობელთა თანხმობის გარეშე გამოიყენოს საკუთარ წარმოებაში.<sup>1</sup> განაცხადის გამოქვეყნების დღიდან მის რეგისტრაციამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რომლებიც მას მიენიჭება რეგისტრაციის შემდეგ. თუ რეგისტრაცია არ განხორციელდება, აღნიშნული უფლებები წარმომობილად არ მიიჩნევა. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოთვლის იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელება დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი ითვალისწინებს დიზაინზე განსაკუთრებული უფლების გადაცემის ქართული სამართლისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, კერძოდ, დასახელებული კანონის 31-ე მუხლის თანახმად „დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით. დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, ასევე მასში შეტანილი ცვლილებები დადგენილი წესით რეგისტრირდება რეესტრში და მონაცემები ქვეყნდება ბიულეტენში.<sup>2</sup>

ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „დიზაინის ახალ მფლობელს არ შეუძლია დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები მესამე პირის წინააღმდეგ გამოიყენოს სათანადო ცვლილებების რეესტრში რეგისტრაციამდე.<sup>3</sup>“ დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კერძო ლიცენზიის გაცემის თავისებურ წესებს დიზაინის გამოყენებაზე. კანონის 32-ე მუხლის თანახმად დიზაინის მფლობელს უფლება აქვს გასცეს კერძო ლიცენზია დიზაინის გამოყენებაზე. კერძო ლიცენზია არ არის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზია. კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება ფორმდება წერილობით. კერძო ლიცენზიაში უნდა განისაზღვროს დიზაინის გამოყენების ფარგლები.

კერძო ლიცენზია შეიძლება იყოს ექსკლუზიური და არაექსკლუზიური. თუ კერძო ლიცენზიის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ლიცენზიის სახე, მიიჩნევა, რომ ლიცენზია არაექსკლუზიურია.

არაექსკლუზიური კერძო ლიცენზიის გაცემა ლიცენზიის გამცემს არ უკძალავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას. ექსკლუზიური კერძო ლიცენზია ლიცენზიის გამცემს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას.

კერძო ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი დიზაინის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებათა დარღვევის შესახებ, თუ დიზაინის მფლობელი უფლებათა დარღვევის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში თვითონ არ შეიტანს სარჩელს.

კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება და მასში შეტანილი ცვლილებები შეიძლება დარეგისტრირდეს რეესტრში.

<sup>1</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 26

<sup>2</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 31

<sup>3</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი მუხლი 31



თუ კერძო ლიცენზიის ხელშეკრულება ითვალისწინებს შეზღუდვას განსაზღვრულ ბაზარზე დიზაინის შექმნასთან, გავრცელებასთან ან/და ექსპორტთან დაკავშირებით, შესაბამისი აღნიშვნა უნდა ვაკეთდეს პროდუქტის საეტიკეტო მონაცემებში. თუ ასეთი აღნიშვნა არ არსებობს, კერძო ლიცენზიის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეზღუდვას არა აქვს ძალა მესამე პირისათვის. საინტერესოა საკვლევ თემატიკასთან მიმართებით გერმანული სამართლის, შვეიცარიის ფედერალური კანონის და უცხოეთის ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციები.

შვეიცარიის 2001 წლის 5 ოქტომბრის ფედერალური აქტი დიზაინის დაცვის შესახებ და დასახელებული კანონის მე-9 მუხლი ჩამოთვლის დიზაინზე უფლების ფარგლებს და ამ უფლების ფარგლებიდან გამომდინარე უფლებამოსილებებს. დიზაინზე უფლების მქონე პირს უფლება აქვს აუკრძალოს სხვა პირებს დიზაინის კომერციული მიზნებისათვის გამოყენება, კვლავწარმოება, დასაწყობება, შეთავაზება, ბაზარზე სავაჭროდ განთავსება, იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტის განხორციელება კომერციული მიზნებისათვის. დიზაინზე უფლების მქონე პირს მისი განსაკუთრებული უფლებებიდან გამომდინარე შეუძლია აუკრძალოს მესამე პირებს აღნიშნულ ქმედებებში მონაწილეობის მიღება, ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებათა წახალისება ან დიზაინის ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო გამოყენება. თუ დიზაინზე უფლებას რამდენიმე მფლობელი ჰყავს უფლების ყოველგვარ გადაცემასთან დაკავშირებით მისაღები გადანყვეტილებები ერთობლივად მიიღება, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. დიზაინის დაცვის საკითხებზე შვეიცარიის ფედერალური კანონის მე-14 მუხლის თანახმად „დიზაინზე უფლების მქონე პირმა შეიძლება გადასცეს დიზაინზე უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ. გადაცემა ნამდვილია და იურიდიული ძალის მქონეა, თუ უფლების გადაცემა დასტურდება წერილობითი დოკუმენტაციით, მტკიცებულებებით, მაგრამ სავალდებულო არ არის რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაცია სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტია მესამე პირებთან სამართალურიერთობაში, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებენ და ენდობიან რეესტრის ჩანაწერს. ვიდრე დიზაინზე უფლების გადაცემა რეესტრში დარეგისტრირდება, ლიცენზიანტებმა, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებენ, თავისი ვალდებულებები შეიძლება უფლების წინა მფლობელს დააკისრონ. ვიდრე დიზაინზე უფლების გადაცემა რეესტრში დარეგისტრირდება, მოქმედებები, რომლებიც განხორციელდება რეესტრში რეგისტრაციამდე და ამ მოქმედებებიდან გამომდინარე ვალდებულებები დაეკისრება უფლების ძველ მფლობელს.<sup>1</sup>“ დიზაინზე უფლების მქონე პირმა მესამე პირებს დიზაინის გამოყენების უფლება ან სხვა ინდივიდუალური უფლებები შეიძლება გადასცეს ექსკლუზიურად ან არაექსკლუზიურად. ლიცენზია რეგისტრირდება რეესტრში ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით. რეგისტრაციის შემდეგ ეს ლიცენზია მბოჭავია მხარეთათვის. იტალიის ინდუსტრიული საკუთრების კოდექსის თანახმად, კერძოდ დასახელებული კანონის 41-ე მუხლის თანახმად, „დიზაინზე ან სასარგებლო მოდელზე უფლების რეგისტრაცია მესაკუთრეს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას გამოიყენოს დიზაინი ან სასარგებლო მოდელი და დაიცვას ნებისმიერი მესამე პირის გამოყენებისაგან მისი თანხმობის გარეშე. აკრძალული ქმედებები მოიცავს ისეთი ქმედებების ჩამონათვალს, როგორც არის აღნიშნული პროდუქტების დამზადება, შეთავაზება, ბაზარზე განთავსება, იმპორტი, ექსპორტი, იმ პროდუქტის გამოყენება, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან სასარგებლო მოდელი, ან აღნიშნული პროდუქტების დამარაგება კომერციული მიზნებისათვის. უფლების მფლობელის ექსკლუზიური უფლება ვრცელდება ნებისმიერ რეგისტრირებულ დიზაინზე ან მოდელზე, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. დაცვის ფარგლების განსაზღვრისას დიზაინის თავისუფლების ხარისხი უნდა იქნეს გათვალისწინებული დიზაინის ან მოდელის შექმნისას.“<sup>2</sup>

Agreement of Trade Related Aspects of Intellectual Property Rights თუ მითითებული კანონის 25-ე მუხლის ანალიზს მოვახდენთ დასახელებული კანონის 25-ე მუხლის თანახმად დასახელებული აქტის „წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინდივიდუალურად შექმნილი ინდუსტრიული დიზაინების დაცვას, რომლებიც აკმაყოფილებენ სიახლის და ორიგინალობის კრიტერიუმებს. დასახელებული აქტის წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან რომ დიზაინი ახლად და ორიგინალურად არ მიიჩნევა, თუ ის აშკარად არ განსხვავდება მანამდე ცნობილი დიზაინებისაგან ან დიზაინის შემადგენელ ნაწილთა კომბინაციისაგან. ასევე დაცვა არ ვრცელდება იმ დიზაინებზე, რომელთა გარეგანობა განპირობებულია მხოლოდ მათი ტექნიკური ფუნქციით. დასახელებული აქტის წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ დიზაინების სამართ-

<sup>1</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 14  
<sup>2</sup> ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005 article 41



ლებრივი დაცვა უზრუნველყონ ან ინდუსტრიული დიზაინების კანონით ან საავტორო უფლებების დაცვის კანონით.<sup>1</sup> დასახელებული კანონის 26-ე მუხლი შეეხება ინდუსტრიული დიზაინების დაცვას, რომლის თანახმად „რეგისტრირებული ინდუსტრიული დიზაინის მესაკუთრეს აქვს უფლება აუკრძალოს მისი თანხმობის გარეშე ნებისმიერ მესამე პირს დიზაინის შექმნა, გაყიდვა, იმპორტი, დაცული დიზაინის ასლის დამზადება, როდესაც აღნიშნული ქმედებები ხორციელდება კომერციული მიზნებისათვის. დასახელებული აქტის მონაწილე წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ გამონაკლისებს ანუ გამონაკლისი ქმედებების ჩამონათვალს, რომელიც არ ითვლება დიზაინის ნორმალური გამოყენების საწინააღმდეგო ქმედებად, ან იმ პირის კანონიერი ინტერესების შემლახავ ქმედებად, რომელიც დაცულ რეგისტრირებულ დიზაინზე უფლების მქონე პირად მიიჩნევა. ამ დროს მხედველობაში მიიღება მესამე პირთა კანონით დაცული უფლებები და ინტერესები.“<sup>2</sup> Trips-ის წესების თანახმად რეგისტრირებულ დიზაინზე უფლების დაცვის პერიოდი 10 წელია.

დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონის მე-7 მუხლი განამტკიცებს, რომ „რეგისტრირებულ დიზაინზე უფლება ეკუთვნის დიზაინერს ან მის უფლებამონაცვლეს. თუ რამდენიმე პიროვნება ერთობლივად ქმნის დიზაინს, რეგისტრირებულ დიზაინზე უფლება ეკუთვნის მათ ერთობლივად. თუ დიზაინი შეიქმნა დასაქმებულის მიერ თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებისას ან დამსაქმებლის მითითებების განხორციელების დროს, რეგისტრირებულ დიზაინზე უფლება ეკუთვნის დამსაქმებელს, თუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“<sup>3</sup> დასახელებული კანონის 29-ე მუხლის თანახმად, რეგისტრირებულ დიზაინზე უფლებები შეიძლება გადაეცეთ სხვა პირებს. თუ რეგისტრირებულ დიზაინზე უფლება ეკუთვნის საწარმოს ან მის ნაწილს, რეგისტრირებულ დიზაინზე უფლება გადაიყვანა საწარმოსთან ერთად ან იმ ნაწილთან ერთად იმ პირებზე, ვისაც საწარმოს ეს ნაწილი გადაეცემა. რეგისტრირებულ დიზაინზე უფლების გადაცემა უფლების მფლობელის ან მისი უფლებამონაცვლის მოთხოვნით რეგისტრირდება გერმანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების ოფისში. დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის 2014 წლის 21 თებერვლის კანონის 38-ე მუხლის თანახმად „დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას გამოიყენოს მისი უფლება ან აუკრძალოს სხვა პირებს მისი თანხმობის გარეშე დიზაინის გამოყენება. გამოყენება მოიცავს სხვა პირთათვის დიზაინის შექმნის, შეთავაზების, ბაზარზე განთავსების იმპორტის, ექსპორტის იმ პროდუქტის ყოველგვარი გამოყენების აკრძალვას, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ დიზაინს კომერციული მიზნებისათვის. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები მოიცავს ნებისმიერ დიზაინს, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლების განსაზღვრისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი გაითვალისწინება დიზაინის შექმნის დროს“<sup>4</sup>. დასახელებული კანონის 3-ე მუხლი ითვალისწინებს ლიცენზირების პროცედურას. დიზაინზე უფლების მფლობელს უფლება აქვს გასცეს ლიცენზიები გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე. ლიცენზია შეიძლება იყოს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური. უფლების მფლობელს ალუდგება ლიცენზიანტზე გადაცემული უფლებები, თუ გავიდა ლიცენზიის ვადა; ლიცენზიანტი გასცდა კონტრაქტით გათვალისწინებული დიზაინის გამოყენების ფარგლებს; ლიცენზიანტმა დაარღვია დიზაინის გამოყენების ტერიტორიული ფარგლები, ასევე არ შექმნა იმ ხარისხის პროდუქტი, რაც ლიცენზიით იყო გათვალისწინებული<sup>5</sup>.

თავად ლიცენზიანტის უფლებების დარღვევის შემთხვევაში მას შეუძლია კომპენსაციის მოთხოვნა.

**უცხო ქვეყნების კანონმდებლობის და დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის ურთიერთმედარებისა და ანალიზის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, დიზაინის შესახებ საქართველოს კანონს დაემატოს მუხლები, რომლებიც ლიცენზიანტის მიერ დიზაინზე უფლების მქონე პირის მიერ გადაცემული უფლებების დარღვევის ან ექსკლუზიური ლიცენზიით მინიჭებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ამომწურავად ჩამოთვლის, რომელი ქმედებები გამოიწვევს ექსკლუზიური ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძველებს დიზაინზე უფლების მქონე პირისათვის, ასევე, ამომწურავად**

<sup>1</sup> Agreement of Trade Related Aspects of Intellectual Property Rights article 25

<sup>2</sup> Agreement of Trade Related Aspects of Intellectual Property Rights article 26

<sup>3</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 7

<sup>4</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 38

<sup>5</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 31



**ჩამოთვლის ნორმაში იმ გამოსაყენებელი სამართლებრივი სანქციის სახეებს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს უფლების დამრღვევის მიმართ.**

**დიზაინზე უფლებების შეწყვეტის საფუძვლები და უფლების შეწყვეტის თავისებურებანი**

დიზაინზე უფლების მფლობელის უფლება შეიძლება შეწყდეს, თუ დიზაინზე უფლების მქონე პირი საქპატენტს მიმართავს წერილობითი მოთხოვნით განცხადებით უფლების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც შესაბამისი ჩანაწერი შეიტანება რეესტრში და უფლების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად გამოქვეყნდება ან სხვა შემთხვევაში თუ დიზაინზე უფლების მქონე პირი არ გადაიხდის უფლებების მოქმედების ვადის გახანგრძლივებისათვის დადგენილ საფასურს ე.წ. უფლების ძალის შენარჩუნებისათვის დადგენილ საფასურს, დიზაინზე უფლებები ძალადაკარგულად ჩაითვლება. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ანალიზს თუ მოვახდენთ, „დიზაინის რეგისტრაციას აუქმებს საქ.პატენტი შემდეგი საფუძვლით:

- ა) დიზაინის მფლობელის განცხადების საფუძველზე;
- ბ) დიზაინის მფლობელის მიერ რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში;
- გ) ასევე დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე დიზაინის მფლობელის მიერ რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში დიზაინის რეგისტრაცია გაუქმებულად არ მიიჩნევა, თუ დიზაინის მფლობელი რეგისტრაციის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 6 თვეში გადაიხდის შემდგომი პერიოდისათვის რეგისტრაციის მოქმედების ვადის საფასურს, ამათანავე დიზაინის რეგისტრაციის მოქმედებიდან გასული არ არის 25 წელი.<sup>1</sup>

მაშასადამე, იმისათვის, რომ დიზაინის მფლობელის მიერ რეგისტრაციის მოქმედების ვადის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში დიზაინის რეგისტრაცია არ გაუქმდეს და დიზაინზე უფლებამ კვლავ განაგრძოს მოქმედება, კანონი ადგენს კუმულატიური პირობის არსებობას: 1-ლი დიზაინის მფლობელმა რეგისტრაციის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 6 თვეში უნდა გადაიხადოს შემდგომი პერიოდისათვის რეგისტრაციის მოქმედების ვადის საფასური, ასევე სახეზე უნდა იყოს 2 პირობა- დიზაინის რეგისტრაციის მოქმედებიდან 25 წელი არ უნდა იყოს ჯერ გასული. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის ანალიზს თუ მოვახდენთ, დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების შედეგად დიზაინის რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად მიიჩნევა რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ჩანაწერის რეესტრში შეტანის დღიდან. ინტერესს იწვევს გერმანული სამართლის, ასევე შვეიცარიის ფედერალური კანონის მიდგომათა ანალიზი მოცემული საკითხისადმი. გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონის 27-ე მუხლის თანახმად „დიზაინზე უფლების შეწყვეტა რეგისტრირდება რეესტრში. რეგისტრირებული დიზაინის დაცვის პერიოდი 25 წელია, რომელიც აითვლება დიზაინის რეგისტრაციის განაცხადის შევსების თარიღიდან.<sup>2</sup>“ დასახელებული კანონის 28-ე მუხლის თანახმად დიზაინზე უფლების განახლება გახანგრძლივება უფლების მოქმედების დასაშვებია მხოლოდ დადგენილი გადასახადის გადახდის შემდეგ, რომელიც გადაიხდება 6 წლიდან-10 წლამდე, 11წლიდან-15 წლამდე, 16 წლიდან-20 წლამდე, 21-დან 25 წლამდე პერიოდებში. აღნიშნული განახლება რეგისტრირდება რეესტრში და ოფიციალურად ქვეყნდება განახლების შესახებ ინფორმაცია. თუ დიზაინის დაცვის პერიოდი არ განახლდა, არ გახანგრძლივდა, დაცვის პერიოდი მთავრდება ანუ დიზაინის დაცვის მოქმედების ვადა წყდება. თუ 2001 წლის 5 ოქტომბრის შვეიცარიის ფედერალურ აქტს გავაანალიზებთ დიზაინის დაცვის საკითხებზე, დავინახავთ, რომ დასახელებული კანონის 28-ე მუხლის თანახმად „დიზაინზე უფლების მოქმედების ვადა წყდება:

- ა) თუ უფლების მფლობელი ითხოვს უფლების შეწყვეტას;
- ბ) რეგისტრაცია არ განახლდა ანუ რეგისტრაციის მოქმედების ვადა არ გახანგრძლივდა;
- გ) მოთხოვნილი გადასახადი არ იქნა გადახდილი;
- დ) თუ რეგისტრაცია ძალადაკარგულად გამოცხადდა სასამართლო გადაწყვეტილებით;
- ე) კანონმდებლობით დადგენილი 20 წლიანი დაცვის პერიოდი ამოიწურა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4მაისი მუხლი 28  
<sup>2</sup> German Act of the legal protection of designs 24 february 2014 article 27  
<sup>3</sup> Swiss Federal Act on the Protection of Designs October 5 2001 article 28



მაშასადამე, დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი შვეიცარიის ფედერალური აქტის მსგავსად 28 მუხლში ჩამოთვლის დიზაინის რეგისტრაციის გაუქმების კონკრეტულ საფუძვლებს, თუმცა მიზანშეწონილად მიმაჩნია შვეიცარიის ფედერალური კანონის 28-ე მუხლის გათვალისწინებით, დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლში ყველა საფუძველი ერთად იქნეს ამომწურავად განსაზღვრული ერთ მუხლში, რაც დიზაინის რეგისტრაციის გაუქმებას იწვევს, რათა არ გახდეს საჭირო მთელი კანონის ანალიზი იმისათვის, რომ რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები კანონის ანალიზიდან გამომდინარე წარმოვაჩინოთ.

დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის, დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე გერმანიის 2014 წლის 24 თებერვლის კანონის, დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე შვეიცარიის ფედერალური კანონის და იტალიის ინდუსტრიული საკუთრების კოდექსის მიდგომათა ანალიზის საფუძველზე ქართული დიზაინის სამართლის ნორმათა სრულყოფის მიზნით შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიმაჩნია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 4 მუხლის 3 ნაწილში ფორმულირება დაიხვეწოს და შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები მოიცავს ნებისმიერ დიზაინს, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. ვინაიდან დიზაინს უნდა ახასიათებდეს სიახლე და ინდივიდუალობა, მიმაჩნია, რომ ის უნდა ახდენდეს ინფორმირებულ მომხმარებელზე განსხვავებულ შთაბეჭდილებას. საკითხის ანალიზიდან გამომდინარე 4-ე მუხლის 3-მე ქუნქტის მე-3 ნაწილიდან სიტყვა „არ“ უნდა იქნეს ამოღებული კანონმდებლის მიზნები პრაქტიკაში სრულად რომ განხორციელდეს;

- მიზანშეწონილად მიმაჩნია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონს დიზაინის დაცვის საკითხებზე შვეიცარიის ფედერალური აქტის მსგავსად დაემატოს ნორმა, სადაც აღინიშნება, რომ დიზაინზე უფლება შეიძლება იყოს უზუფრუქტის ან გირავნობის საგანი. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია კანონით განისაზღვროს გირავნობის და უზუფრუქტის წარმოშობის, შეწყვეტის წესი. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია კანონს დაემატოს ნორმა, რომელიც შვეიცარიის ფედერალური აქტის მსგავსად დაარეგულირებს რომ დიზაინზე უფლება შეიძლება გახდეს იძულებითი აღსრულების საგანი.

- მიზანშეწონილად მიმაჩნია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონს დაემატოს ნორმა, რომელიც დიზაინის დაცვის საკითხებზე შვეიცარიის ფედერალური აქტის მსგავსად დაარეგულირებს სამართლიანი კომპენსაციის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება მოითხოვს დიზაინის პარალელური გამოყენების უფლების მინიჭებას. საკანონმდებლო დონეზე უნდა განმტკიცდეს ასევე, რომ დიზაინზე პარალელური გამოყენების უფლების მქონე პირს დიზაინზე უფლების კანონიერი მფლობელის სასარგებლოდ დაეკისროს სამართლიანი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება პარალელური გამოყენების უფლების განაცხადის მოთხოვნის დაყენების მომენტიდან.

- დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 26 მუხლში მოცემული უფლებები მესაკუთრის პოზიტიური და ნეგატიური უფლებამოსილებების მსგავსია, რაც იმაში ვლინდება, რომ დიზაინზე უფლება ჩვეულებრივი სამოქალაქო უფლების ნიშნების მატარებელია. დიზაინზე უფლების მქონე პირის პოზიტიური უფლებამოსილებანი გამოხატულია 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილში, ხოლო 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის იმ ნეგატიურ უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელება ეკრძალებათ სხვა პირებს უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

- მიზანშეწონილად მიმაჩნია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონში დამატებითი მუხლის შეტანა, რომელიც გერმანიის აქტის მსგავსად რეგისტრირებულ დიზაინზე უფლების მქონე პირის უფლების დარღვევის შემთხვევაში საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირებს უფლების დარღვევის შემთხვევაში სამართლიანი კომპენსაციის შესაძლებლობას.

- მიზანშეწონილად მიმაჩნია, დიზაინის შესახებ საქართველოს კანონს დაემატოს მუხლები, რომლებიც ლიცენზიანტის მიერ დიზაინზე უფლების მქონე პირის მიერ გადაცემული უფლებების დარღვევის ან ექსკლუზიური ლიცენზიით მინიჭებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ამომწურავად ჩამოთვლის, რომელი ქმედებები გამოიწვევს ექსკლუზიური ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძვლებს დიზაინზე უფლების მქონე პირისათვის, ასევე, ამომწურავად ჩამოთვლის ნორმაში იმ გამოსაყენებელი სამართლებრივი სანქციის სახეებს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს უფლების დამრღვევის მიმართ.



• შვეიცარიის ფედერალური აქტის 28-ე მუხლის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლში ყველა საფუძველი ერთად, ამომწურავად, ერთ მუხლში განისაზღვროს, რაც დიზაინის რეგისტრაციის გაუქმებას იწვევს.

### დამონშებული წყაროები

1. ჯორბენაძე სანდრო ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი გამომცემლობა „სამართალი“ 1998 წ.
2. დიზაინის შესახებ საქართველოს კანონი 2010 წლის 4 მაისი
3. ჯორბენაძე სანდრო ფრენშიაზინგის ხელშეკრულება თბ, 1991
4. German Act of the legal protection of designs 24 february 2014
5. Japan Design Act Act No. 125 of April 13
6. Republic of Korea DESIGN PROTECTION ACT Act No. 12288, Jan. 21, 2014
7. Federal Act on the Protection of Designs January 1 2017
8. Registered Designs Act of Singapore 13th November 2000
9. Directive 98/71/EC of the European Parliament and of the Council of Europe 13 october 1998 on the Legal Protection of Designs
10. ITALIAN CODE OF INDUSTRIAL PROPERTY Legislative Decree N°30 of 10 February 2005
11. Agreement of Trade Related Aspects of Intellectual Property Rights May 2012

### ნინო ხუნაშვილი

#### დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფისათვის

#### რეზიუმე

სტატიის მიზანია დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის ანალიზი, საერთაშორისო აქტებით დიზაინისადმი წაყენებული მოთხოვნის სტანდარტების გამოკვეთა, დიზაინის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებების შედარებით-სამართლებრივი კვლევა, ნორმათა შემუშავება დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფის მიზნით.

დიზაინის თავისებურებათა შედარებით-სამართლებრივი კვლევისას გაანალიზებულია 2014 წლის 24 თებერვლის გერმანიის აქტი დიზაინის სამართლებრივი დაცვის შესახებ, იაპონიის 1959 წლის 13 აპრილის დიზაინის შესახებ კანონი, შვეიცარიის 2017 წლის 1 იანვრის ფედერალური აქტი დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე, სინგაპურის 2000 წლის 13 ნოემბრის კანონი რეგისტრირებული დიზაინების შესახებ, 2005 წლის 10 თებერვლის იტალიის კოდექსი ინდუსტრიული საკუთრების შესახებ, 1998 წლის 13 ოქტომბრის ევროსაბჭოს დიზაინდირექტივა დიზაინის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე და დიზაინის შესახებ 2010 წლის 4 მაისის კანონი, შემუშავებულია წინადადებები დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფის მიზნით.



**Nino Khunashvili**

## **For the improvement of the Law of Georgia on Design**

### **Abstract**

The aim of the article is to analyze the Law of Georgia on Design, to outline the standards of the requirement for design by international acts, a comparative legal study of the peculiarities of legal regulations of design, to develop norms to improve the Law of Georgia on Design. The comparative legal study of design features analyses German Design Legal Protection Act of February 24, 2014, Japanese Design Law of April 13, 1959, Swiss Federal Design Act of January 1, 2017, Singapore Design Law of November 13, 2000 registered designs, February 10, 2005 Italian Code of Industrial Property, Council of Europe Design Directive of October 13, 1998 on the legal protection of design and Law of Design of May 4, 2010. Proposals have been developed to improve the Law of Georgia on Design.



## ეკონომიკის მენეჯერები

### დავით ვაკუა

#### საქართველოს ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრების სირთულეები და მათი დაძლევის გზები

საქართველოს ეკონომიკაში, საბაზრო პრინციპების იმპლემენტაციამ, სამართლიანი ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით გააჩინა პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელთა მოგვარებაც ქვეყნაში სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ თავისებურებებთან არის დაკავშირებული.

სამართლიანობის იმანენტური ბუნება, დინამიურმა და სწრაფად ცვალებადმა სამყარომ, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებამ და დემოკრატიზაციის პროცესმა ეგზისტენციალური გახდა, თუმცა მიუხედავად ამისა, დღესაც სამართლიანობის აღქმაზე მორალურ-ეთიკური ფასეულობების გავლენა ძალზედ დიდია. ისტორიულად ამ გავლენას განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ სამართლიანობის დამკვიდრება, თანადგომა და სოლიდარობა, უპოვართა მოვლა და დახმარება კაცობრიობის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე იყო საზოგადოებრივი ზნეობის არსებითი საკითხი.

სამართლიანობის არსი და მოთხოვნები ეკონომიკაში მრავალხმრივ ინტერპრეტირდება, თუმცა მაინც შესაძლებელია სამართლიანობის არსის ზოგადი განმარტება. „სამართლიანობის ცნების შინაარსის შემადგენელ ელემენტს მიეკუთვნება ფასეულობები და ქმედებები. ზნეობრივ ფასეულობებით ხდება სამართლიანობის გამოხატვა, ხოლო ეკონომიკური ქმედებები ახდენენ მის რეალიზებას, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს სამართლიანობის განხორციელების საციალურ-კულტურულ საშუალებას, რაც ასახვას პოულობს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში. ეკონომიკის სფეროში სამართლიანობა არის ეკონომიკურ ურთიერთობათა შესაბამისობა იმ წარმოდგენებთან, მოთხოვნებთან და ინტერესებთან, რომელიც დომინირებს განსაზღვრულ საზოგადოებაში.“<sup>1</sup>

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხანგრძლივმა პროცესმა ფუნდამენტალურად შეცვალა ბიზნესის წარმართვის, საკუთრების ფლობის, ბაზრების რეგულირების, კონკურენციისა და სამენარმეო საქმიანობის, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებისა და გადანაწილების ფორმები და პირობები, რამაც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში განსაზღვრა სოციალური საკითხების სამართლიანი მოგვარების ახალი პრიორიტეტები.

საქართველოს ეკონომიკაში სამართლიანი საბაზრო ურთიერთობების პრინციპების დამკვიდრებზე უზარმაზარ გავლენას ახდენს ლიბერალურ ღირებულებებთან სისტემის იმპლემენტაციის პროცესი, რადგან ევროკავშირთან დაახლოვება და ასოცირებული წევრის სტატუსის ქონა მოითხოვს საქართველოსგან ევროკავშირის ეკონომიკასთან მის თავსებადობას.

გლობალიზაციის პროცესმა და ქვეყნების ინტეგრაციამ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში შექმნა ისეთი გარემო, სადაც „კაპიტალის თავისუფალი, ფაქტიურად შეუზღუდავი მოძრაობა თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს, რადგან გლობალიზაცია მნიშვნელოვნად ცვლის და მომავალში კიდევ უფრო შეცვლის მსოფლიოს ეკონომიკის სახეს და სტრუქტურას“.<sup>2</sup>

დღეს გლობალურმა ბიზნესმა, იმის გამო, რომ ის კონცენტრირებულია საერთაშორისო კორპორაციების ხელში, მთლიან შიდა პროდუქტის განაწილებაში გააჩინა სერიოზული სირთულეები, რომელიც მის სამართლიან გადანაწილებას უკავშირდება. ასეთ პირობებში იზრდება ქონებრივი უთანასწორობა და საზოგადოებრივი პოლარიზაციის პროცესი.

<sup>1</sup> ვასილ ხიზანიშვილი, „ეთიკური ეკონომიკა“ გამომცემლობა „ლიო“ თბილისი 2016წ. გვ70

<sup>2</sup> Ковзанадзе Иракли „Уроки Мирового Экономического кризиса и Формирование новой модели развития“, Тбилиси 2016г. С.92.





ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ანრი ბერგსონი წერს „ისტორიულ-მა გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ საზოგადოების მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარება ვერ უზრუნველყოფს მის ზნეობრივ სრულყოფას, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში დოვლათის ზრდა შეიძლება საშიშიც კი აღმოჩნდეს, თუ ის არ დაეფუძნება განაწილების სფეროში სამართლიანობას“<sup>1</sup>.

საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციის შედეგად შეიქმნა და ამუშავდა საბაზრო მექანიზმები, მაგრამ სოციალურ სექტორში გაჩნდა პრობლემათა მთელი სპექტრი (უმუშევრობა, დაბალი შრომის ანაზღაურება, მიგრაცია, დემოგრაფია და სხვა) რომელთა მოგვარებისა და ეკონომიკასთან მათი სინქრონიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყნის შემდგომი განვითარება.

ეკონომიკასა და სოციალურ სფეროს შორის არსებული ფინანსური დისბალანსის გამოსწორების მიზნით, აუცილებელია საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარ მიმართულებად განისაზღვროს მისი ინკლუზიურობა, რაც გულისხმობს ფინანსური, ეკონომიკური და სოციალური რისკების შემცირების მიზნით, ეკონომიკის განვითარებაში თანამოქალაქთა აქტიურ ჩართულობას და მიღებული სარგებლის სამართლიანად განაწილებას.

არის თუ არა რესურსების სამართლიანი განაწილების პროცესში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, თუ ეს ბაზრმა საკუთარი მექანიზმით უნდა მოაწესრიგოს? აი ეს არის კითხვა, რომელიც საუკუნეებია მეცნიერ-ეკონომისტების და პოლიტიკოსების ცხარე კამათის საგანია.

მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტები, მილტონ ფრიდმანი და ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი თვლიან, რომ ეკონომიკის განვითარების და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის ერთადერთი საშუალება ბაზრის განვითარებაა, მხოლოდ საბაზრო მექანიზმების გამოყენებით არის შესაძლებელი ეკონომიკური კრიზისების ნეიტრალიზაცია და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ფრიდმანის აზრით: „საბაზრო ორგანიზების უმთავრესი ნიშანი არის ის, რომ იგი თავიდან იცილებს ერთი პიროვნების ჩარევას მეორეს საქმიანობაში. მომხმარებელი დაცულია მომწოდებლის ძალადობისაგან სხვა მიმწოდებლის არსებობით, რომელთანაც მას ასევე შეუძლია საქმის დაჭერა. გამყიდველი დაცულია მომხმარებლის ძალადობისაგან სხვა მომხმარებლის არსებობით, რომელსაც შეიძლება მიეყიდოს საქონელი. დასაქმებული დაცულია დამსაქმებლის ძალადობისაგან, რადგან შეუძლია სხვა დამსაქმებლის მონახვა და ა.შ. თანაც, ყოველივე ამას ბაზარი ცენტრალური მართვის გარეშე ახერხებს. ამით უზრუნველყოფილია გაცვლის რეალური თავისუფლება“<sup>2</sup>

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის შეხედულებით, ეკონომიკა უნდა იმართებოდეს მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით და არა სამართლიანობის კრიტერიუმებით, რადგან სამართლიანობა ვერ ერგება საბაზრო ეკონომიკის „ავტონომიურ სუბსტანციას“. იგი თვლის, რომ სოციალური სამართლიანობის პრინციპები შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში და ყველა გადახვევას ამ შეხედულებების ვექტორიდან ის უწოდებს „გზას მათხოვრობისაკენ.“

ამავე დროს უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ( განსაკუთრებით ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ), სხვა ქვეყნებშიც შეიმჩნევა გლობალიზაციის გავლენის ლოკალიზაციის პროცესი. „იგი ისეთი მოვლენებში აისახება, როგორცაა: რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანების ჩამოყალიბება, ფირმების სტრატეგიული ალიანსების გაფართოება, საშუალო და მცირე ბიზნესის გავრცელება, ფიზიკურ პირების მეურნეობის განვითარება. ლოკალიზაცია აძლიერებს წარმოების მოქნილობას, მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას, რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, ცალკეულ ფირმებში დამოუკიდებელ სანარმოო ქვედანაყოფების პრაქტიკის გაფართოებას, ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, გლობალიზაციის მოთხოვნებთან ადაპტაციას.“<sup>3</sup>

სამართლიანი კონკურენციის გარემოს ჩამოყალიბება, არის საქართველოს ეკონომიკის ფუნდამენტური პრობლემა, რომლის არსებობამაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოების სტაბილური განვითარება, შეამციროს ეკონომიკური კრიზისების შედეგად წარმოქმნილი რეციდივები, შეზღუდოს ბიზნესის გამსხვილების და მონოპოლიების ტოტალური ჩამოყალიბების პროცესი.

სამწუხაროდ დღეს ნაცვლად საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და სამართლიანი კონკურენციის გარემოს შექმნისა, მიმდინარეობს ბისნესის გამსხვილების პროცესი. ეს არასასურველი ტენდენ-

<sup>1</sup> Мусский И. А. Сто великих мыслителей. Москва. „ВЕЧЕ“-2000г

<sup>2</sup> მილტონ ფრიდმანი Ka.wikipedia.org /wiki.

<sup>3</sup> სოლომონ პავლიაშვილი ..პრიატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში” თბილისი, 2009 წ. გვ. 23.



ცია შეეხო საქართველოში თანამედროვე ბიზნეს ინდუსტრიის თითქმის ყველა დარგს, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა ბაზრის სტრუქტურა, საინვესტიციო კლიმატი და საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების პროცესში სამართლიანობის დამკვიდრება. სახელმწიფოს მხრიდან ამ დისპროპორციის და რეციდივების გამოსწორების ერთადერთი ქმედითი ბერკეტი ანტიმონოპოლიური რეგულაციების ქმედითი მექანიზმების დანერგვაა. 2018 წელს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით ბიზნესის აქტიურობის (ბრუნვის) 49,5 % მსხვილ ბიზნესზე მოდის<sup>1</sup>, ეს კი მნიშვნელოვნად აფერხებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და ამცირებს ახლი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივას.

ვფიქრობთ, საქართველოს საზოგადოებაში, სოციალური უსამართლობის განცდა ეკონომიკური რეფორმების, სოციალურ ღონისძიებებთან არათანაბრობადი კორდინაციითა და კორელაციით არის განპირობებული. ასეთ პირობებში მცირდება ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობა და იზრდება ნიჰილიზმი. განვითარების ამ ურთულეს ეტაპზე აუცილებელია ეკონომიკური რეფორმების პარალელურად განხორციელდეს ისეთი სოციალური პოლიტიკა, რამელიც საზოგადოებას ეკონომიკური რეფორმების წარმატების თანამონაწილეს გახდის, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობასა და მოსახლეობას შორის გაიზრდება საზოგადოებრივი უკმაყოფილების და უნდობილობის „ნაპრალი“.

ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის წინსვლით სარგებლობს არ მხოლოდ წარმატებული ბიზნესმენი, არამედ მოსახლეობის საშუალო და შეჭირვებული ფენაც.

საქართველოში, აქტიურმა მოსახლეობამ (სამუშაო ძალამ) სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით „2020 წლის პირველი ნახევარში შეადგინა 1919,8 ათასი მოქალაქე, აქედან 864,6 ათასი თვითდასაქმებულია.“<sup>2</sup> ეს კი ნიშნავს, იმას, რომ 45% -ს აქტიური მოსახლეობის არ აქვს სტაბილური სამუშაო ადგილი და ისინი ძირითადად დროებით ან სემონურ სამუშაო ადგილებიდან მიღებული შემოსავლებით კმაყოფილდებიან, რაც მათ დიდ ნაწილს უკარგავს პერსპექტივას, თავი დააღწიონ სიდუხჭირესა და გაჭირვებას.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, სიღარიბის აბსოლუტური ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილმა შეადგინა 19.5%<sup>3</sup>, რაც ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკულად საქართველოს ყოველი მეხუთე მოქალაქე ცხოვრობს აბსოლუტურ სიღარიბეში.

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით „ 2020 წლის პირველი ნახევარში შეადგინა 12,3% და 2019 წელთან შედარებით გაზრდილია 0,7 პროცენტით“<sup>4</sup>.

საქართველოს ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრების სირთულეები ტრანსფორმაციის ერთ-ერთი პრობლემაა, რადგან ტრანსფორმაციის პროცესში არ არსებობდა ეფექტური სოციალური სისტემა, რომელიც მოქალაქეთა დაცვის პირობებს შექმნიდა. იმისთვის რომ, ქვეყანამ აღნიშნულ პრობლემას გაართვას თავი, აუცილებელია მდგრადი ეკონომიკური ზრდა და ეფექტური სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

**დამონშებული წყაროები**

1. ვასილ ხიზანიშვილი „ეთიკური ეკონომიკა“ გამომცემლობა „ლიო“ თბილისი 2016წ. გვ70
2. Ковзанадзе Иракли „ Уроки Мирового Экономического кризиса и Формирование новой модели развития,„ Тбилиси 2016г. С.92.
3. Мусский И. А. Сто великих мыслителей. Москва. „БЕЧЕ“-2000г
4. მილტონ ფრიდმანი Ka.wikipedia.org /wiki
5. სოლომონ პავლიაშვილი “პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში” თბილისი, 2009 წ. გვ. 23.
6. www. Geostat.ge
7. www. Geostat.ge/Ka/modules/categories/48/tskhovrebis -done- saarsebo-minimumi

<sup>1</sup> www. Geostat.ge  
<sup>2</sup> www. Geostat.ge/Ka/modules/categories/38/ dasaqmeba – da- umushevropa  
<sup>3</sup> www. Geostat.ge/Ka/modules/categories/48/tskhovrebis -done- saarsebo-minimumi  
<sup>4</sup> www. Geostat.ge/Ka/modules/categories/38/ dasaqmeba – da- umushevropa



8. [www. Geostat.ge/Ka/modules/categories/38/ dasaqmeba](http://www.Geostat.ge/Ka/modules/categories/38/dasaqmeba) – da- umushevroba
9. [www. Geostat.ge/Ka/modules/categories/38/ dasaqmeba](http://www.Geostat.ge/Ka/modules/categories/38/dasaqmeba) – da- umushevroba

## დავით ვეკუა

### საქართველოს ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრების სირთულეები და მათი დაძლევის გზები

#### რეზიუმე

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხანგრძლივმა პროცესმა ფუნდამენტალურად შეცვალა ბიზნესის წარმართვის, საკუთრების ფლობის, ბაზრების რეგულირების, კონკურენციისა და სამენარმეო საქმიანობის, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებისა და გადანაწილების ფორმები და პირობები, რამაც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში გააჩინა სოციალური საკითხების სამართლიანი მოგვარების ახალი პრიორიტეტები.

რესურსების სამართლიანი განაწილებისა და გადანაწილების მიზნით, აუცილებელი გახდა სოციალური დაცვის ისეთი ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც სრულად ადაპტირებული იქნება თანამედროვე ეკონომიკასთან.

სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრების ზოგიერთი პრობლემა, რომლის მოგვარების გარეშეც შეუძლებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესის წარმატებით დასრულება.

წაშრომში განხილულია საქართველოში არსებული სიღარიბის და უმუშევრობის მიზეზები და ის ახალი გამოწვევები, რაც თან ახლავს საბაზრო ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრების რთულ და ხანგრძლივ პროცესს.

## Davit Vekua

### The Challenges of Inculcating Justice in the Georgian Economy and the Ways of Overcoming them

#### Abstract

The long-lasting process of transformation of the Georgian economy caused drastic changes in the forms and conditions of business management, ownership, market regulation, competition and entrepreneurship, as well as division and distribution of public property. All this has led to new priorities such as fair settlement of social issues in the system of economic relations.

With the aim of fair division and distribution of resources, it is necessary to establish new institutes of social protection which will be completely adapted to modern economy.

The paper analyzes certain challenges of inculcation of justice in the Georgian economy. Without overcoming these challenges, it is impossible to achieve Georgia's economic development and succeed in building a civil society.

The paper analyzes the causes of poverty and unemployment in Georgia, as well as the challenges related to the long and complicated process of inculcation of justice in the market economy.



## ნიკო კვარაცხელია

### თბილისის საფუძვლავლო ბილიკები

#### 1. აქტიური ტურიზმი მეგაპოლისის ყოველდღიურობაში.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი განთქმულია ღირსშესანიშნაობებით, ისტორიული ძეგლებით, ქანდაკებებით, მუზეუმებით, თეატრებით, საკონცერტო დარბაზებით, სტადიონებით და სპორტული არენებით. შედარებით ნაკლებადაა ცნობილი თბილისის შესაძლებლობები აქტიური ტურიზმისათვის. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ კეთდება თბილისის მწვანე საფარის გაუმჯობესებისათვის, პარკების და ბაღების მოწესრიგებისათვის, ქალაქში ველო-ტრასების დაგეგმარებისა და აქტიური ტურიზმის დანერგვისათვის. როგორც ქალაქის მერის პროგრამაშია აღნიშნული, თბილისში შეიქმნება კომფორტული პირობები ქვეითებისა და ველოტრანსპორტის გადაადგილებისთვის. ქალაქგეგმარების მსოფლიოში აღიარებული პრინციპების გათვალისწინებით, პრიორიტეტი გახდება საფუძვლავლო ზონების გაფართოება, ისეთი საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც შეამცირებს მოძრაობის სიჩქარეს, განსაკუთრებით იმ ზონებში, სადაც გზის მომხმარებელი მონყვლადი ჯგუფებია (სკოლები, საცხოვრებელი ზონები, სავაჭრო და გასართობი ცენტრები და მშენებლობის მიმდებარე ადგილები). ტროტუარები მაქსიმალურად გათავისუფლდება მანქანებისგან და სხვადასხვა ნაგებობისგან, შეიქმნება გადაადგილების მეტი სივრცე ქვეითებისთვის. საგზაო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, გაუმჯობესდება ტროტუარების გეომეტრია. შეისწავლება ქალაქის ცენტრალურ უბნებში ახალი საფუძვლავლო ქუჩების შექმნის შესაძლებლობა. შემუშავდება და გატარდება არამოტორიზებული ტრანსპორტის განვითარების გეგმა და მიიღება ზომები მისი პოპულარიზაციისათვის. შეიქმნება ახალი ველობილიკები და მოხდება მათი ინტეგრირება ერთიან საატრანსპორტო სისტემასთან. მოეწყობა ველოსადგურები ისეთი ტიპის ობიექტებთან, როგორცაა უნივერსიტეტები, სავაჭრო და საოფისე ცენტრები, ადმინისტრაციული შენობები და სხვ.<sup>1</sup>

მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ მიმართულებით წარმოადგენდა კუს-ტბა-მთანმინდის სალაშქრო ბილიკის განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც შესაძლებელი გახდა გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების 'Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit' (GIZ) პროექტის განხორციელების შედეგად. კონცეფცია ითვალისწინებს: 1. საგანმანათლებლო და სარეკრეაციო ბილიკის იდენტიფიცირებას 2. ბილიკის განვითარების და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დეტალურად გასატარებელი სამუშაოების განსაზღვრას 3. ბილიკის გასწვრივ სალაშქრო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის და ინსტალაციების იდენტიფიცირებას და შემუშავებას. პროექტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული ბილიკი მიუყვება მდ. ვარაზისხევის და ვერეს ხევის ფერდობების თხემებს კუს ტბის შემოგარენიდან სოფელ ოქროყანამდე. ბილიკი ასევე მოიცავს „ბუღბუღების ჭალას“ და მის მიმდებარე ტერიტორიას, ბილიკის სიგრძე შეადგენს 7 კმ-ს, ხოლო ზღ.დ.-დან სიმაღლე ვარირებს 700 – 970 მ-ის ფარგლებში. ბილიკი არის საშუალო სირთულის. ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა, როგორც კუს ტბიდან ასევე ოქროყანის მხრიდან ბილიკს იყენებს სპორტულ/ გამაჯანსაღებელი მიზნით.

გარდა ფეხით მოსიარულეებისა ბილიკის გამოყენება ხდება მოტოციკლეტისტების მიერ, რაც ერთგვარი დისკომფორტია მოლაშქრეებისთვის, ბილიკი ემთხვევა უკვე არსებულ მარკირებულ მარშრუტს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბუღბუღების ჭალის მონაკვეთი“ რომელიც იძლევა ყველა პირობას, რომ ადგილი დაიტვირთოს ეკოსაგანმანათლებლო ელემენტებით. ორგანიზაცია CENN-ის და ეკოტურიზმის ასოციაციის მიერ დაგეგმილი მარკირებული ბილიკის სიგრძეა 5.3 კმ (რუკა 2) არსებული მარშრუტი არის მარტივი, მარკირებული და მონიშნულია ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით, ბილიკზე მონყობილია დასასვენებელი სკამები და საინფორმაციო ნიშნულები. არსებული ბილიკი კვეთს „ბუღბუღების ჭალას“, რომელიც ასევე მოხვდა ჩვენს მიერ დაგეგმილ მარშრუტში, რაც შეეხება იქ არსებულ ინფრასტრუქტურას არის მიმართულების მანიშნებელი ნიშნულები და დასასვენებელი სკამი.

<sup>1</sup> <http://kaladze.ge/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90.pdf> გვ. 7 ნანახია 06.12.2020



მნიშვნელოვანია „ბულებულების ჭალის“ ტერიტორიის გამოყოფა, ეკოსაგანამანათლებლო აქტივობებისთვის ამას განაპირობებს მისი მდებარეობა, როგორც მოკლე მანძილი საწყისი წერტილიდან, ასევე მოსახერხებელი ტერიტორიის არსებობა ეკო გაკვეთილებისა და აქტივობებისათვის, ასევე ბიომრავალფეროვნება - მცენარეული საფარი, ფრინველები.<sup>1</sup>

თბილისის მერია გეგმავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 3 ტურისტული - სამთო - საფეხმავლო ბილიკის შესწავლის და შესაბამისი საპიკნიკე და საოჯახო ტურიზმზე ორიენტირებული ტერიტორიების და ინფრასტრუქტურის პროექტირებას. ეს ღონისძიება მოიცავს 3 ბილიკის შესწავლას, განვითარების და მონყობის კონცეფციის შემუშავებას (მაგ. ზღაპრის გმირების თემატიკით საბავშვო-საოჯახო ტიპის საფეხმავლო ბილიკი, ველო ბილიკი, და ა.შ.), რაც გულისხმობს ბილიკების სხვადასხვა თემატური დატვირთვით განვითარებულ ინფრასტრუქტურას, საპიკნიკე და სხვა გასართობი და დასასვენებელი ტერიტორიების და ინფრასტრუქტურის პროექტირებას/საპროექტო სამუშაოებს.

აღნიშნული სამთო საფეხმავლო მარშრუტებია: კუს ტბა – უძოს მონასტერი (თემატური ინფრასტრუქტურის პროექტი მომზადდეს არსებული ინფრასტრუქტურის განგრძობით ნაწილზე, დაახლოებით X-478668 და Y-4615281 კოორდინატებიდან უძოს მიმართულებით); ლისის ტბა – სოფ. წოდორეთი – სოფ. ტაბარუკი – ჭილის ტბა; ვერეს ხეობის მარშრუტი (თბილისი– ბეთანიის მონასტერი),“ – აღნიშნულია სატენდერო დოკუმენტაციაში.<sup>2</sup>

## 2. აქტიური ტურიზმის საკანონმდებლო ხელშეწყობა

აქტიური ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი 2016 წელს მთავრობის მიერ მიღებულმა ტექნიკურმა რეგლამენტმა “საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ”, რომელმაც დაადგინა მოთხოვნები და ნორმები საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ. სახელმძღვანელო დოკუმენტმა მოანსწრეგა საფეხმავლო ბილიკებზე ტურების ორგანიზების საკითხი. ეს რეგლამენტი სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისა და საწარმოებისათვის (განურჩევლად საწარმოს ორგანიზაციულ სამმართლებრივი ფორმისა). რეგლამენტმა განსაზღვრა საფეხმავლო ბილიკების მონიშვნის ძირითადი პრინციპები:

- ადამიანთა უსაფრთხოებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის წინაპირობის შექმნა;
- საფეხმავლო ბილიკების ქსელის განვითარების ხელშეწყობა;
- საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნითი სამუშაოების განხორციელებისათვის მეთოდური საფუძვლების შექმნა.

საფეხმავლო ბილიკი ხშირად შედგება სხვადასხვა სირთულის მონაკვეთებისგან, მაგრამ მთლიანი მარშრუტისთვის სირთულის კატეგორიის მინიჭება ხდება მისი ურთულესი მონაკვეთის მიხედვით. სირთულის კატეგორიის მინიჭება ხდება ბილიკის მომკველვის მიერ, რეგლამენტით განსაზღვრული სირთულის კატეგორიების მიხედვით. მარშრუტის სხვადასხვა სირთულის მონაკვეთების მონიშვნისას გამოიყენება ამ მონაკვეთისთვის შესაბამისი სირთულის აღმნიშვნელი ფერები:

- მარტივი კატეგორიის ბილიკი ინიშნება - ყვითელი ფერით;
- საშუალო კატეგორიის ბილიკი ინიშნება - წითელი ფერით;
- რთული კატეგორიის ბილიკი ინიშნება - ლურჯი ფერით.<sup>3</sup>

აქტიური ტურიზმისათვის ქალაქის ტერიტორიის გამოყენების კარგ მაგალითს წარმოადგენს უკვე განხორციელებული თბილისის ბოტანიკური ბაღის რეკრეაციული პოტენციალის განვითარება, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლებში გამოკვეთილი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ პრაქტიკულად მოუვლელი მდგომარეობაში იყო, დღეს კი უცხოელი ტურისტების, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღებას კვლავ იპყრობს. ბაღის ტერიტორია კარგად არის მოვლილი, აქ ეწყობა სხვადასხვა საზოგადოებრივი და კულტურული ღონისძიებები. ქალაქის ცენტრიდან ბოტანიკურ ბაღში წვდომა ადვილად არის შესაძლებელი

<sup>1</sup> <http://tbilisi.gov.ge/img/original/2019/8/5/biliki.pdf> გვ.6-7 ნანახია 06.12.2020

<sup>2</sup> <https://commercant.ge/ge/post/tbilisshi-turistuli-bilikebis-mowyoba-igegmeba-adgilebi-sadac-merias-turistuli-infrastrukturis-mowyoba-surs> ნანახია 06.12.2020

<sup>3</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3418495?publication=0> ნანახია 06.12.2020



ლი, მისი სტუმრიანობიდან გამომდინარე ადვილად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ბუნებრივი ხასიათის ადგილები მომავალში უნდა გაფართოვდეს და უზრუნველყოფილი იქნას მათი ხელმისაწვდომობა, მთელი წლის განმავლობაში მათი მოვლა და ნებაყოფლობითი სამსახურის შეთავაზება.

### 3. ჩატარებული კვლევა

თბილისის და მისი შემოგარენის რეკრეაციული პოტენციალის შესახებ საინტერესო კვლევა ჩატარა ჩეხეთის განვითარების სააგენტომ და AGORA CE ორგანიზაციამ. მოკლე გამოკითხვის ფარგლებში აგრეთვე ადგილობრივ ექსპერტებთან კონსულტაციების შემდეგ, კვლევისათვის შერჩეული იქნა სამი ადგილი, რომელთაც მომავალში მნიშვნელოვანი სარეკრეაციო პოტენციალი ექნებათ როგორც თბილისის მაცხოვრებლებისთვის, ასევე ამ ქალაქის სხვა დანარჩენი სტუმრებისთვის. შერჩეული იქნა ახლო მდებარე ადგილები, მოკლე დროში სამოგზაურო მანძილით, რათა შეასრულოს ყოველდღიური ან შაბათ-კვირას დასვენების ფუნქცია. შერჩევას მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა გარემოება, რომ ტერიტორია ტყის მნიშვნელოვანი ნაწილით ან საინტერესო ეკოსისტემებით ყოფილიყო. მოცემულ ადგილამდე წვდომა და საკმარისი ინფრასტრუქტურა ზღუდავდა განვითარების შემოთავაზებების შესაძლებლობას, აგრეთვე ადგილის დასასვენებელი და შემეცნებითი ღონისძიებებისათვის მხარდასაჭერად. ჩეხი ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ხელი შეეწყოს ქალაქის ტრანსპორტს თბილისის ეროვნული პარკის პერიფერიულ ადგილებთან მისასვლელად, გაზარდოს სამგზაო ხაზების სიხშირე, აიგოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაჩერებები..
- თბილისის ეროვნულ პარკში შესასვლელელები გარემოს დაცვის თემის, სატყეო მეურნეობის, ტყეში დასვენების საგანმანათლებლო დაფებით მოწყოს.
- საფეხმავლო და ველოსიპედების ბილიკების არსებული ქსელის სათანადო მარკირებით შევსება, მათ შორის, ტერიტორიაზე არსებული საინტერესო ადგილებისა და პუნქტების ჩათვლით.
- თბილისის ეროვნული პარკის თაობაზე სათანადო სარეკლამო მასალები დამზადდეს, ლოგისტიკური უზრუნველყოფით (რუქები, ვებგვერდი, საინფორმაციო ბროშურები და ა.შ.) თბილისის ეროვნულ პარკში არსებული ისტორიული ძეგლების ნიმუში
- ხელი შეეწყოს მცირე ბიზნეს პროექტებსა და მიზნებს თბილისის ეროვნული პარკში არსებულ მომსახურების სფეროში.<sup>1</sup>

**თბილისის ეროვნული პარკი** – მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარისა და ნაწილობრივ თბილისისა და ქვემო ქართლის მხარის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 600-1700 მეტრ სიმაღლეზე. პარკი უშუალოდ აკრავს ქალაქ თბილისს. თბილისის ეროვნული პარკის ბუნებრივი ბილიკებზე მნახველს შეუძლია დაათვალიეროს ეროვნული პარკის მრავალფეროვანი ლანდშაფტები, გაეცნოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, მოაწყოს პიკნიკები, შეარჩიოს მისთვის სასურველი მარშრუტები: საცხენოსნო, საფეხმავლო თუ სამანქანო. პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია საბანაკე ადგილები ღამისთევითისთვის.

თბილისის ეროვნული პარკი ვიზიტორებს სთავაზობს სხვადასხვა სირთულისა და სახეობის მარშრუტს. მათ შორის: სამი (მარტივი, საშუალო და რთული სირთულის) ველო მარშრუტი, ერთი საფეხმავლო და საცხენოსნო საშუალო სირთულის ბილიკი (ზედაზენი-დიდველი-მამკოდა), რომელიც მარკირებულია და მოწყობილია 2 საპიკნიკე, 2 საკარვე და ცეცხლის დასანთები ადგილებით, ბილიკზე შესაძლებელი კარგებში ღამისთევაც. ბილიკი მიუყვება საგურამოს ქედს, აქ გვხვდება მრავალფეროვანი ხედები და განსხვავებული მცენარეული საფარი, სოფელ ვეჯინის ნასახლარები, VII-VIII ს-ის ზედაზენის მოქმედი ტაძარი, ასევე კარგად მოსჩანს ჯვრის მონასტერიც, დიდველის მთიდან შესაძლებელია ვიხილოთ თბილისის პანორამული ხედი, მტკვრის და არაგვის ხეობები. ასევე საბადურის ნიფლნარ ტყეში მოწყობილია საპიკნიკე ადგილები, შესაბამისი საკარვე, საცეცხლე ადგილებით და სველი წერტილებით.

პარკის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მრავლადაა ისტორიულ-კულტურული ძეგლები: უძველესი ციხე-კოშკები, ტაძრები, ნაქალაქარი და ნასოფლარი ადგილები. ტურისტულად მნიშვნელოვანია მცხეთა სვეტიცხოვლით და დედათა მონასტრით, ჯვრის მონასტერი, ზედაზენის მონასტერი

<sup>1</sup> <https://tmk.edu.ge/pdf/1574235071.pdf> გვ.5-6; ნანახია 06.12.2020



(ზედაზნის მთის ტყეში მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლებია, მათ შორის აღსანიშნავია: ქასურის საყდარი, აგურის საყდარი, დარბაზი და სხვ), ღვთაების მონასტერი, ნორიოს ციხე და ასევე ისტორიულად ცნობილი მარტყოფის ველი.<sup>1</sup>

#### 4. COVID-19 და ლაშქრობის ბილიკები

COVID-19-ის პანდემიის პირობებში ტურიზმი თითქმის არ ფუნქციონირებს. შეუთავსებელია ტურიზმი და COVID-19-თან. შედარებით უსაფრთხოების მეტი გარანტიები არსებობს ადამიანების სპეციალურ საფეხმავლო ბილიკებზე ლაშქრობის დროს.

ჯანდაცვის ოფიციალური პირების აზრით, COVID-19-ის გარემოში გავრცელების რისკი, სადაც ბილიკზე სიარულისას ფიზიკური დისტანცია გარანტირებულად დაცულია, საკმაოდ დაბალია. ბილიკის ისეთი აქტივობები, როგორცაა ლაშქრობა, ფეხით სიარული ან სირბილი ბილიკზე, წარმოადგენს დასვენების და ფიტნესის გაგრძელების შესაძლებლობებს, ამასთანავე გამოწვევაა COVID-19-ის გავრცელების შემცირებისთვის.

საერთაშორისო ორგანიზაციების (World Trails Network) მიერ გამოცემულ გზამკვლევებში მოცემულია მითითებები ასეთი ლაშქრობების ორგანიზების შესახებ:

**ნაბიჯი 1. გაუფრთხილდი საკუთარ თავს.** რა უნდა ჩააღაგო ზურგჩანთაში. განაახლეთ პირადი დამცავი აღჭურვილობა. რა დაგჭირდებათ ბილიკზე ყოფნისას: წვიმისგან დაცვა, მზისგან დამცავი საშუალებები, თავისუფალი ტანსაცმელი, რუკა, მობილური ტელეფონი გადაუდებელი დახმარების ნომრებით, საკვები და სასმელი ერთჯერად ჭურჭლში, პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები, პირადი მედიკამენტები და ა.შ. სადგინდო ფეხსაცმელი სპირტი ან გელი.

**ნაბიჯი 2. ურთუერთობა სხვა ტურისტებთან ბილიკზე, ან გაჩერებებზე:** თვითმმართველობის მონიტორინგი: დაუშვებელია ნებისმიერი სიმპტომები. რეგულარულად გაინმინდეთ ხელები და განსაკუთრებით ბილიკის შემდეგ. დაიცავით ფიზიკური მანძილი ბილიკის ყველა სხვა მომხმარებელთან, რომლებიც არ არიან თქვენი ოჯახიდან. შეარჩიეთ ნაკლებად პოპულარული ბილიკები და დღის დრო, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ სხვა ადამიანებთან ან ჯგუფებთან კონტაქტი. იყავით თავაზიანი სხვების ბილიკზე გადასვლისას:

- განაცხადეთ, რომ მათთვის გვერდის ავლა გსურთ, თუ უკნიდან სხვა ვიზიტორს უახლოვდებით;
- ფიზიკური მანძილის შესანარჩუნებლად გადაადგილდით ბილიკის მარჯვენა კიდეზე.

**ნაბიჯი 3.** ბილიკის აქტივობის ფიზიკური მანძილი დამოკიდებულია საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებზე და თქვენი ქვეყნის რეგულაციებზე. მაგალითად: სასურველია სირბილი 10 მეტრის დაშორებით, ველოსიპედი 20 მეტრზე და ლაშქრობა 2 მეტრზე.

**ნაბიჯი 4.** შეზღუდეთ სამოქალაქო საზოგადოებაში მოგზაურობა. მოერიდეთ საჭმლისა და ჭურჭლის, ან სხვა აღჭურვილობის გაზიარებას. დაიცავით ადგილობრივი თემები უსაფრთხოების სრული დაცვით. მოერიდეთ დიდხანს გაჩერებებს – გააჩერდით გაჩერებებზე და დასასვენებელ ადგილებში, ან დაყოვნდით ნებისმიერ დახურულ ადგილზე 15 წუთამდე. თავიდან აიცილეთ ბილიკზე მაღალი რისკის შემცველი მოქმედებები, რაც ზრდის გადაუდებელი დახმარების სერვისების საჭიროებას, საშიშ მარშრუტებს, დაუცველად ასვლას და ა.შ.

**ნაბიჯი 5.** ყურადღება მიაქციეთ ბილიკს, იცოდეთ როდის უნდა წახვიდეთ სალაშქროდ - მიჰყევით ბილიკის მენეჯერის რჩევებს და შეარჩიეთ დღის ნაკლებად დატვირთული დრო. ფრთხილად შეარჩიეთ ბილიკი და ის ადგილები, სადაც უფრო ადვილი იქნება ფიზიკური დისტანცირების შენარჩუნება (ტოპოგრაფია, გამწვანების დონე და ა.შ.). შეარჩიეთ ნაკლებად პოპულარული ბილიკები და ლაშქრობა დაამთხვიეთ დღის სინათლეს, რათა შეამციროთ რისკი.

**ნაბიჯი 6.** იზრუნეთ ინფორმაციის გადამომწმებაზე ფაქტობრივი შეზღუდვების, დახურვის, ხელმისაწვდომობის პირობების შესახებ. თუ შესაძლებელია, შეარჩიეთ ბილიკი, რომელიც წრიულია და გაბრუნებთ სანყის წერტილთან. ასეთი მიმართულება უფრო უსაფრთხოა. სადაც ეს შესაძლებელია. ბილიკიდან გადადით უსაფრთხოდ. გადასასვლელად შეეცადეთ გამოიყენოთ გამძლე ზედაპირი, რომელიც გავლენას არ მოახდენს მცენარეულობის ან ბილიკის დაზიანებას. ბილიკის საშუალებების გამოყენებით გამოიჩინეთ დამატებითი ზრუნვა სანიტარულ პირობებზე. გამოიყენეთ Leave No Trace პრინციპები. ნარჩენები დროულად და სწორად მოათავსეთ სპეციალურ თავდახურულ ყუთში.<sup>2</sup>

<sup>1</sup> <https://georgiantravelguide.com/ka/tbilisi-erovnuli-parki> ნანახია 06.12.2020

<sup>2</sup> <https://Covid-19 and Trails Guidelines from World Trails Network.pdf> ნანახია 09.12.2020



ამრიგად, აქტიური ტურიზმის საფეხმავლო ბილიკები დიდი ქალაქებისა და მეგაპოლისების სიახლოვეს, მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-მა შექმლო ტურიზმის ინდუსტრიის გაჩერება, აქტიური დასვენება საფეხმავლო ბილიკებზე მაინც ცოცხლობა და აგრძელებს ფუნქციონირებას ახალი მითითებების გათვალისწინებით.

### დამონშებული წყაროები

1. ქალაქის მერის საარჩევნო პროგრამა: <http://kaladze.ge/>
2. კუს-ტბა-მთანმინდის სალაშქრო ბილიკის განვითარების კონცეფცია ვებ გვერდიდან: <http://tbilisi.gov.ge/img/original/2019/8/5/biliki.pdf>
3. სამი ახალი ტურისტული საფეხმავლო მარშრუტი: <https://commerciant.ge/ge/post/tbilisshi-turistuli-bilikebis-mowyoba-igegmeba-adgilebi-sadac-merias-turistuli-infrastruqturis-mowyoba-surs>
4. ტექნიკური რეგლამენტი “საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ” <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3418495?publication=0>
5. ჩეხეთის განვითარების სააგენტოს და AGORA CE მარკეტინგული კვლევა: <https://tmk.edu.ge/pdf/1574235071.pdf>
6. თბილისის ეროვნული პარკი: <https://georgiantourguide.com/ka/tbilis-erovnuli-parki>
7. <https://Covid-19 and Trails Guidelines from World Trails Network.pdf>

### ნიკო კვარაცხელია

#### თბილისის საფეხმავლო ბილიკები

#### რეზიუმე

საქართველოს დედაქალაქი თბილისი განთქმულია ღირსშესანიშნაობებით, ისტორიული ძეგლებით, ქანდაკებებით, მუზეუმებით, თეატრებით, საკონცერტო დარბაზებით, სტადიონებით და სპორტული არენებით. შედარებით ნაკლებადაა ცნობილი თბილისის შესაძლებლობები აქტიური ტურიზმისათვის. ბოლო წლების განმავლობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქტიური ცხოვრების ხელშეწყობისათვის. კერძოდ, შეიქმნა კუს-ტბა-მთანმინდის სალაშქრო ბილიკის განვითარების კონცეფცია. თბილისის მერია გეგმავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 3 ტურისტული – სამთო-საფეხმავლო ბილიკის შესწავლის და შესაბამისი საპიკნიკე და საოჯახო ტურიზმზე ორიენტირებული ტერიტორიების და ინფასტრუქტურის პროექტირებას. 2016 წელს მთავრობამ დაამტკიცა “საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ” ტექნიკური რეგლამენტი. ჩეხეთის განვითარების სააგენტომ და AGORA CE ორგანიზაციამ ჩაატარა მარკეტინგული კვლევა.

თბილისის ბოტანიკური ბაღი, თბილისის ეროვნული პარკი, ქალაქის შემოგარენი არის აქტიური ტურიზმის და საფეხმავლო ბილიკებზე გაჯანსაღების წყარო. სტატიაში გამოყენებულია World Trails Network-ის მითითებები ბილიკებზე ლაშქრობის მეთოდურად სწორად განხორციელების შესახებ.

Niko Kvaratskhelia

#### Tbilisi Hiking Trails

#### Abstract

Tbilisi, the capital of Georgia, is famous for its sights, historical monuments, sculptures, museums, theaters, concert halls, stadiums and sports arenas. Tbilisi's opportunities for active tourism are relatively little known. Significant measures have been taken in recent years to promote an active life. In particular, the





concept of developing the Turtle Lake-Mtatsminda hiking trail was created. Tbilisi City Hall plans to study 3 tourist - mountain - hiking trails on the territory of the municipality and to design the relevant picnic and family tourism-oriented areas and infrastructure. In 2016, the government approved a technical regulation on the planning and marking of footpaths. The Czech Development Agency and AGORA CE conducted a marketing study.

Tbilisi Botanical Garden, Tbilisi National Park, the outskirts of the city is a source of active tourism and recreation on footpaths. The article uses the instructions of the World Trails Network on the methodical implementation of hiking on the trails.



## თალიკო ჟვანია, ანა კობიაშვილი

### ელექტრონული სწავლება – თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა

ელექტრონული სწავლებისადმი ინტერესი იზრდება ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. თუ სულ 8-10 წლის წინ ელექტრონული სწავლება შემოიფარგლებოდა მხოლოდ კომპიუტერის მეშვეობით ტესტირებით, ელექტრონული წიგნების კითხვითა და ვიდეორგოლების ყურებით, დღესდღეობით ინფორმაციული ტექნოლოგიების განუწყვეტელმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ ელექტრონულმა სწავლებამ გამოყენების გაცილებით ფართო არეალი მოიცვა.

კოვიდპანდემიამ მსოფლიო დააყენა განათლების სისტემის უზარმაზარი გამოწვევების წინაშე, რომლებიც შეეხო თითქმის 1,6 მილიარდ მოსწავლეს 190-ზე მეტ ქვეყანაში. სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების დახურვა შეეხო მსოფლიოს მოსწავლეთა კონტინგენტის 94%-ს, ხოლო საშუალოზე მცირე შემოსავლების მქონე ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 99%-ს [1].

ტრადიციული სწავლებიდან კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის პროცესი უკვე ორი ათეული წელია მიმდინარეობს. იმ პერიოდიდან, რაც შეიქმნა დიდი მოცულობის მქონე არქივები, რომლებშიც ინფორმაცია წარმოდგენილია ციფრულ მატარებლებზე, შესაძლებელი გახდა ამ მასალის გამოყენება სასწავლო მიზნებით. ცხადია, გლობალური მასშტაბით ამ პროცესს ხელი შეუწყო ინტერნეტმა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მონაცემთა გადაგზავნა მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან სხვა ადგილზე, ონლაინ კომუნიკაცია ქსელის სხვადასხვა მომხმარებლებთან და ინფორმაციის განთავსება ინტერნეტ-გვერდებზე, რამაც ინფორმაცია ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლების განვითარებამ გაიარა სამი ძირითადი ეტაპი [2]:

- კურსები CD-ROM-ების ბაზაზე;
- დისტანციური სწავლება;
- ელექტრონული სწავლება.

ყოველი მომდევნო ეტაპი წინა ეტაპსაც მოიცავს, როგორც შემადგენელ ნაწილს. თავდაპირველად გაჩნდა CD-ROM-ების ბაზაზე განხორციელებული კურსები. მათი უპირატესობები იყო:

- ინოვაციური იდეა;
- თემატური ინფორმაციის წარმოდგენა მატარებელზე, რომლის ნაკითხვაც შესაძლებელია კომპიუტერის მიერ;
- მეთოდური თვალსაზრისით კარგად გააზრებული ტრენინგის ორგანიზების შესაძლებლობა;
- მთელი რიგი ინტერაქტიული შესაძლებლობების არსებობა;
- გამოყენების მოხერხებულობა;
- ხელმისაწვდომობა.

CD-ROM-ების ბაზაზე განხორციელებულ კურსებს ჰქონდა ნაკლოვანებებიც:

- კურსის შეზღუდულობა;
- მისი შექმნისათვის საჭირო დროის დიდი დანახარჯები;
- მოდიფიკაციის შესაძლებლობის არარსებობა.

დისტანციური სწავლება, რომელიც შედარებით მოგვიანებით გაჩნდა, ეფუძნებოდა სხვა საგანმანათლებლო მიდგომას. მასში აღარ იყო ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები და ჰქონდა დამატებითი შესაძლებლობები. დისტანციური სწავლების საგანმანათლებლო პროცესი ემყარებოდა მსმენელის მიზანმიმართულსა და კონტროლირებად ინტენსიურ დამოუკიდებელ მუშაობას, რომელსაც შეეძლო სწავლის პროცესი წარემართა მისთვის მოსახერხებელ ადგილზე, ინდივიდუალური ცხრილის შესაბამისად. მსმენელს ჰქონდა სწავლების სპეციალური საშუალებების კომპლექტი და სწავლების პროცესში პედაგოგთან კონტაქტის წინასწარ შეთანხმების შესაძლებლობა.

დისტანციურ სწავლებას აქვს ბევრი უპირატესობა როგორც მსმენელებისათვის, ისე პედაგოგებისათვის, თუმცა ეს დადებითი მხარეები მსმენელებისათვის უფრო მეტია.

დისტანციური სწავლების უპირატესობები მსმენელებისათვის შემდეგში მდგომარეობს:

- სასწავლო გრაფიკის მოქნილობა;



- პედაგოგთან შეთანხმებული და მსმენელის პირადი შესაძლებლობების შესაბამისი ინდივიდუალური გეგმის მიხედვით სწავლის შესაძლებლობა;
- ცოდნის შეფასების ობიექტური და პედაგოგისაგან დამოუკიდებელი მეთოდიკა;
- სწავლების პროცესში პედაგოგთან კონსულტირების შესაძლებლობა;
- შედარებით მცირე ღირებულება.

პედაგოგებისათვის სწავლების ასეთი ფორმა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მსმენელებისათვის სასწავლო მასალის მიწოდების დამატებითი შესაძლებლობის გაჩენას. ფაქტობრივად, გაჩნდა იმავე დატვირთვის პირობებში უფრო დიდი რაოდენობით მსმენელის სწავლების შესაძლებლობა.

ამ უპირატესობების გამო სწავლების დისტანციურმა ფორმამ სწრაფად მოიპოვა საგანმანათლებლო სამყაროში პოპულარობა. თანდათანობით მისით დაინტერესდნენ მსხვილი კორპორაციებიც, რომლებმაც ჩათვალეს, რომ სწავლების აღნიშნული ფორმა მათ საშუალებას მისცემდა, სწრაფად, შედარებით იაფად, ხარისხიანად და, რაც მთავარია, წარმოების პროცესისაგან მოუწყვეტლად აემაღლებინათ თავიანთი კადრების მომზადების დონე.

ბოლო წლებში ინტერნეტის ჩართულობამ საგანმანათლებლო პროცესში, ასევე ონლაინ კურსების რაოდენობის, მათი თემატიკისა და რეალიზაციის ფორმების მრავალფეროვნებამ განაპირობა უფრო ტევადი ტერმინის – „ელექტრონული სწავლების“ გაჩენა. ესაა ახალი ტექნოლოგიების, მულტიმედიისა და ინტერნეტის გამოყენება სწავლების ხარისხის ასამაღლებლად სხვადასხვა ტიპის რესურსებისა და სერვისებისადმი წვდომის გზით და ასევე – ცოდნის დისტანციურად გაცვლის მეშვეობით. დღეს ელექტრონული სწავლება წარმოადგენს სასწავლო პროცესს, რომელშიც გამოიყენება ინფორმაციის მიწოდების ინტერაქტიული ელექტრონული საშუალებები: კორპორატიული ქსელები და ინტერნეტი.

ზოგადი განმარტების თანახმად, ელექტრონული სწავლება არის ინტერნეტის ქსელის გამოყენება სასწავლო მასალასთან წვდომის, მასწავლებელთან და სხვა მსმენელებთან ურთიერთქმედებისათვის; სწავლის პროცესში მხარდაჭერისა და დახმარების მისაღებად; ასევე ცოდნისა და გამოცდილების შესაძენად [2].

სინამდვილეში ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები გაცილებით ფართოა. ელექტრონული სწავლების ორგანიზების საშუალებები შეიძლება იყოს გასართობიც და ავითარებდეს სასარგებლო ჩვევებსაც. ელექტრონული სწავლების ქვეშ იგულისხმება დამოუკიდებლად სწავლა პერსონალური კომპიუტერის, სმარტფონის, სპეციალური ტრენაჟორებისა და სხვა ციფრული მოწყობილობების გამოყენებით. მნიშვნელობა არა აქვს, თქვენ სწავლობთ YouTube-ზე ატვირთული ვიდეოლექციით სახლში, თუ სასწავლო ცენტრში ტრენაჟორის დახმარებით ვარჯიშობთ თვითმფრინავის დასმაში – თქვენ იყენებთ ელექტრონულ სწავლებას.

ელექტრონული სწავლება, გარდა მისი უპირველესი ამოცანისა – ინტერნეტის მეშვეობით მანძილზე სწავლებისა – ასევე წარმოადგენს სწავლების ტრადიციული ფორმის დამატებით საშუალებას და განაპირობებს ტრადიციული სწავლების პროცესის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებას.

ელექტრონული სწავლების უპირატესობებია:

- წვდომის თავისუფლება, კერძოდ კი, დროისა და სივრცის შეზღუდვის მოხსნა. მსმენელს აქვს საშუალება, ინტერნეტის მეშვეობით მიიღოს ელექტრონული კურსებისადმი წვდომა ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კი არსებობს გლობალური საინფორმაციო ქსელისადმი წვდომის შესაძლებლობა. ელექტრონული სწავლების ასინქრონული ფორმის გამოყენებისას მსმენელს მასალასთან წვდომა ნებისმიერ დროს შეუძლია, ხოლო სინქრონული ფორმის გამოყენებისას მსმენელსა და მასწავლებელს შორის რეალურ დროში კომუნიკაციის განხორციელებაა შესაძლებელი. მსმენელებს შეუძლიათ გაიარონ ელექტრონული კურსები ძირითადი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და მოახდინონ ათვისებული მასალის კონტექსტუალიზაცია.
- კომპეტენტური, ხარისხიანი განათლება – კურსები იქმნება საუკეთესო სპეციალისტების მთელი გუნდის მიერ, რაც ელექტრონულ სწავლებას ხდის განსაკუთრებულად კვალიფიციურსა და პროფესიონალურს.
- სწავლების მიწოდების ბევრად დაბალი ფასი – ელექტრონულ სწავლებაში განათლების მიწოდების პროცესი გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის მიმოცვლას ინტერნეტის მეშვეობით მსმენელის მიერ სპეციალური სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შექმნის გარეშე.



- ელექტრონული კურსის შემცველობის მოდულებად დაყოფის შესაძლებლობა. თითოეული მოდული წარმოადგენს ინფორმაციის მცირე ბლოკებს, რომელთა საშუალებითაც სწავლების პროცესი ბევრად უფრო მოქნილი ხდება და მარტივდება საჭირო მასალის მოძიება.
- სწავლების მოქნილობა – მსმენელი თვითონ ირჩევს მასალის შესწავლის ხანგრძლივობასა და თანამიმდევრობას; ის ახდენს სწავლების პროცესის სრულად ადაპტირებას საკუთარი შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
- სამუშაო ადგილზე სწავლების შესაძლებლობა – მსმენელს შეუძლია განათლების მიღება როგორც სახლიდან, ასევე სამუშაოდან მონყვეტის გარეშე, თუ ის მუშაობს.
- განვითარების შესაძლებლობა დროის მოთხოვნების შესაბამისად – ელექტრონული კურსების მომხმარებლები, როგორც მსმენელები, ისე პედაგოგები, განივითარებენ უნარებსა და ცოდნას უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისად. ელექტრონული კურსები ასევე საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად განვაახლოთ სასწავლო მასალები.
- ცოდნის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის შესაძლებლობა – ელექტრონულ სწავლებაში არსებობს იმ კრიტერიუმების განსაზღვრის საშუალება, რომელთა შესაბამისადაც ხდება მსმენელის მიერ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის შეფასება.
- მასწავლებლისათვის ასევე იხსნება დროისა და სივრცის შეზღუდვა. შესაძლებელია ელექტრონული მასალის განახლება და მსმენელებს მაშინვე შეუძლიათ ცვლილებების დანახვა. ელექტრონული სისტემების საშუალებით მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს მსმენელთა საჭიროება და ცოდნის დონე და განახორციელოს სწავლების პერსონალიზაცია, შესაბამისი დავალებებითა და მასალებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს უპირატესობები თვით სტუდენტების მიერ იყო შეფასებული დადებითად. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტების მრავალი გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა იყენებს ელექტრონულ სწავლებას, როგორც ტრადიციული საგანმანათლებლო პროცესის დანამატს. სტუდენტების აზრით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოქნილობა, დროის ეკონომია და განვლილ მასალაზე დაბრუნებისა და გამეორების მარტივი შესაძლებლობა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული უპირატესობებისა, ელექტრონულ სწავლებას აქვს გარკვეული ნაკლოვანებებიც:

- კურსების ხარისხის პრობლემა – რთულია მათი შეფასება;
- სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან;
- ფინანსური პრობლემები, რომლებსაც განაპირობებს ელექტრონული კურსების შექმნასა და განახლებასთან დაკავშირებული დანახარჯები;
- საკადრო პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი პედაგოგების მომზადებასთან, რომლებიც შეძლებენ და მოინდომებენ ასეთი კურსების შექმნასა და გამუდმებით განახლებას.

ელექტრონული სწავლება არ შემოიფარგლება მხოლოდ საგანმანათლებლო დანესებულებებით. განსაკუთრებით დიდი გამოყენება ჰპოვა კორპორაციულ სექტორში, უფრო მეტიც კი, ვიდრე – სკოლებსა და უნივერსიტეტებში. პერსონალის კვალიფიკაციაზე უშუალოდაა დამოკიდებული კომპანიის შემოსავალი, ამიტომ სხვადასხვა სახის ბიზნესის წარმომადგენლები ცდილობენ გამოიყენონ ყველაზე ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები.

ყოველდღიურ მუშაობაში ხშირად უფრო მნიშვნელოვანია თანამშრომლების უნარ-ჩვევები, ვიდრე მათი ცოდნის ფართო სპექტრი. კარგი უნარ-ჩვევების შექმნა შესაძლებელია დამოუკიდებელი მუშაობით და საკუთარ შეცდომებზე სწავლით. იმისათვის, რომ თანამშრომელთა შეცდომები კომპანიას ძვირი არ დაუჯდეს, უნარ-ჩვევების გამოუმუშავებისათვის ფართოდ გამოიყენება ელექტრონული სწავლების სხვადასხვა ინსტრუმენტი.

**დიდილოვანი ტრენაჟორი.** ის გამოიყენება გაყიდვების მენეჯერების სწავლებისათვის და მათ ეხმარება არა მარტო საჭირო ტექსტების დამახსოვრებაში, არამედ აძლევს უკუკავშირსაც იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი შეცდომას დაუშვებს. ასეთი ტრენაჟორები გამოიყენება საცალო ვაჭრობის, ფარმაცევტული, სადამღვევო კომპანიებისა და ბანკების მენეჯერების სწავლებაში.

თუ კომპანიას აქვს საკმარისი ბიუჯეტი სრულფასოვანი ვიდეონაწარმოების შექმნისათვის, შესაძლებელია შეიქმნას მთელი ფილმი უკმაყოფილო კლიენტთან მუშაობის სრული იმიტაციით. ასეთი ტრენინგის შედეგად, კომპანიის მენეჯერები ყველაზე რთულ კლიენტთანაც კი შეძლებენ კომუნიკაციას.



არსებობს მეტყველების ტრენაჟორებიც, რომლებიც ახდენენ არა მარტო პასუხის შინაარსის, არამედ მეტყველების ტემბრის ანალიზსაც, რადგანაც მენეჯერის მოვალეობაა როგორც საჭირო სიტყვების შერჩევა, ისე მათი სწორი ინტონაციით წარმოთქმა.

ნებისმიერი სახის დიალოგური ტრენაჟორი ტრენინგის მონაწილეებს საშუალებას აძლევს დაიმსოვრონ ქცევის სცენარი ძალიან სტრესულ სიტუაციებშიც კი, როცა კლიენტი გაღიზიანებულია, ხოლო თანამშრომელი ღელავს.

**პროგრამულ უზრუნველყოფასთან მუშაობის ტრენაჟორები.** ცნობილია, რომ კორპორატიული პროგრამული უზრუნველყოფა არ გამოირჩევა მარტივი ინტერფეისით. ეს განსაკუთრებით პრობლემურია უფროსი თაობის თანამშრომლებისათვის. ამიტომ კომპანიების თანამშრომლებს უტარებენ სპეციალურ ტრენინგებს ვირტუალური რეალობის ტრენაჟორებზე.

ასევე შექმნილია ტრენაჟორები, რომლებიც ახდენენ გარკვეული გარემოს იმიტირებას, კერძოდ, თვითმფრინავის კაბინის, ლოკომოტივის კაბინის, მთიანი გარემო პირობების, ღრმა წყლის ფსკერის პირობების და სხვა ძვირადღირებული ან სახიფათო სიტუაციების იმიტირებას წარმოებაში ჩართული პერსონალის სწავლებისათვის. ასეთი ტრენაჟორებით თანამშრომლები შეიძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს დიდი ფინანსური დანახარჯების გარეშე და ვირტუალურ გარემოში ტრენინგების გავლის შემდეგ თანამშრომელი ნაკლებ შეცდომას დაუშვებს მოგვიანებით უკვე რეალურ გარემოში. ეს კი შეამცირებს ხარვეზების რაოდენობას და ტრავმატიზმს წარმოებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომელთა დისტანციურად სწავლება ისეთი მსხვილი კორპორაციებისათვის, რომლებსაც ფილიალები აქვთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ტრადიციული სწავლება ტრენინგებზე ფიზიკურად დასწრებით, უბრალოდ, რთული ან შეუძლებელიც კი არის.

ელექტრონული სწავლება გულისხმობს არა მარტო სწავლებას, არამედ საშინაო დავალებებსა და გამოცდებსაც. მაგალითად, რესტორნის მენეჯერების სწავლებაში საშინაო დავალება შეიძლება იყოს თანამშრომელთა მუშაობის ყოველკვირეული გრაფიკის შედგენა ან რესტორნის მწარმოებლურობის გაანგარიშება. ყველა დავალება მაქსიმალურადაა მიხლოებული რეალობასთან და შემდგომში ამ დავალებების გამოყენება შესაძლებელია რეალური მუშაობის პროცესშიც.

მსგავსი კურსები მსმენელებისათვის მთავრდება ონლაინ ტესტით, რომელიც დისტანციური სწავლების ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს შეამოწმოს, რამდენადაა მზად თანამშრომელი შემდგომი მუშაობისათვის.

ელექტრონული სწავლება აქტუალური გახდა კომერციულ ორგანიზაციებშიც. ყოველი სავაჭრო წარმომადგენელი ვალდებულია დეტალურად იცოდეს იმ საქონლის მთელი ნუსხა, რომლითაც მისი კომპანია ვაჭრობს. მაგალითად, ფარმაცოლოგიური კომპანიების თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ ინფორმაცია ყველა მედიკამენტის შესახებ. ამისათვის სავაჭრო წარმომადგენლებისათვის იქმნება სპეციალური ელექტრონული კურსები შესაბამისი საქონლის შესახებ ინფორმაციის მართვისათვის.

კორპორატიული ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კომპანია Johnson & Johnson, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ საკუთარი თანამშრომლების ატესტაციას რამდენიმე თვეს უთმობდა. მას შემდეგ, რაც დიდი რაოდენობის თანამშრომლების გამო კომპანიას გაუჩნდა პირისპირ ტესტირების პრობლემა, მან გადაწყვიტა პროცესის ავტომატიზაცია. იმის გამო, რომ ტესტირების პროცესი მრავალ ქვეყანაში არსებულ ფილიალებში ერთდროულად უნდა შესრულდეს, საჭიროა ღრუბლოვანი ტექნოლოგიები. კომპანიამ ღრუბლოვანი სერვისის გამოყენებით სავაჭრო და სამედიცინო ფილიალებში თანამშრომელთა ატესტაციის პროცესი რამდენიმე დღემდე დაიყვანა. ატესტაციის კითხვები ეხება გაყიდვების ტექნიკასა და პროდუქტების ნუსხას და დროის ეკონომიას უზრუნველყოფს.

დღესდღეობით აქტუალური გახდა ე. წ. Soft-Skills, ანუ მოქნილი უნარების, გამომუშავება. ეს არასპეციალიზებული უნარებია, რომლებიც არ უკავშირდება ადამიანის მოღვაწეობისა და თანამდებობის უშუალო სფეროს, მაგრამ ეხმარება მათ მუშაობაში. მაგალითად, დისციპლინა, გუნდური მუშაობა, კრიტიკული აზროვნება და ა. შ. ასეთი უნარების განვითარებისათვის კომპანიები აკეთებენ სპეციალურ ელექტრონულ კურსებს, რომელთა დახმარებითაც თანამშრომლებს უვითარდებათ ისეთი უნარები, როგორცაა: გაყიდვის უნარები, ლიდერობა, პროექტების მართვა, დროის მართვა, სტრესის მართვა, საქმიანი ეტიკეტის წესები და სხვ.

ელექტრონული სწავლება უნდა შეიცავდეს ისეთ აქტივობებს, რომლებიც მსმენელებს ახალი ცოდნის ძველთან დაკავშირების, შინაარსიანი ცოდნის მიღების და მათი მეტაკოგნიტური უნარის უკეთ გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. შესაბამისად, ამ ტიპის სწავლების ინტერაქციული სტრატეგია, და არა გამოყენებული ტექნოლოგია, არის უფრო მნიშვნელოვანი და მეტ გავლენას ახდენს სწავლის პროცესის



შედგებზე. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა კომპიუტერი იმისათვის, რომ მივიტანოთ გარკვეული ტიპის მოდელები და სიმულაციები მსმენელამდე, ეს არის მხოლოდ საშუალება, შუამავალი, რომელიც ვერ მოახდენს გავლენას სწავლაზე. კომპიუტერი ვერ აიძულებს მსმენელებს ისწავლონ, სწავლის პროცესს წარმართავს სიმულაციები და სხვა საშუალებები და მსმენელთა ურთიერთქმედება ამ სიმულაციებსა და სხვა საშუალებებთან. კომპიუტერი არის მხოლოდ საშუალება იმისა, რომ მივიტანოთ ცოდნა მსმენელამდე.

შესაბამისად, სიმულაცია ვერ იქნება სასარგებლო სასწავლო პროცესში, თუ ის არ იქნება შექმნილი გარკვეული წესებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

საზოგადოდ, ყველა ინსტრუქციული (მეთოდოლოგიური) სისტემის მიზანია სწავლის პროცესის წარმართვა და გაუმჯობესება. ამიტომ, სანამ სასწავლო მასალას შეიმუშავებდნენ, მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ სწავლებისა და სწავლის ძირითადი პრინციპები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების პროცესში, სადაც მსმენელი და მასწავლებელი ერთმანეთისაგან დაშორებულია. ეფექტური ელექტრონული სასწავლო კურსები უნდა იყოს აგებული მყარ თეორიულ საფუძველზე.

სწავლების შესახებ მრავალი კლასიკური თეორია არსებობს. ელექტრონული სწავლების პროცესში ამ თეორიების ერთგვარი ნაზავი გამოიყენება. გარდა ამისა, იქმნება ახალი თეორიები, რომლებიც კონკრეტულად ელექტრონული სასწავლო კურსების შესაქმნელად გამოიყენება. კერძოდ, ის, ვინც ქმნის ელექტრონულ კურსებს, კარგად უნდა იცნობდეს ამ თეორიებს და მათ შორის აირჩიოს ის, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მსმენელთა მოცემულ კონტინენტს. სასწავლო სტრატეგია ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ მოხდეს მსმენელთა მოტივაცია, მათ შორის ურთიერთქმედების წახალისება; მასალის ღრმა წვდომა; ინდივიდუალურ მოთხოვნებთან მორგება; შინაარსიანი სასწავლო პროცესის კონსტრუირება; უკუკავშირების შესაძლებლობისა და მსმენელთა მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ელექტრონული კურსების შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

- უნდა აიგოს კონცეპტუალური მოდელები, რომლებსაც მსმენელები გამოიყენებენ არსებული მენტალური მოდელების აღდგენისათვის, ან იმ სტრუქტურის შენახვისათვის, რომელიც მათ დასჭირდებათ მოცემული გაკვეთილის დეტალების შესასწავლად.
  - პრერეკვიზიტული ტესტური შეკითხვების გამოყენება პრერეკვიზიტული ცოდნის იმ სტრუქტურის აქტივირებისათვის, რომელიც საჭიროა ახალი მასალის შესასწავლად. ელექტრონულ სწავლებაში მოქნილი გრაფიკი სხვადასხვა საბაზისო ცოდნისა და საფუძვლის მქონე მსმენელებს აძლევს იმის საშუალებას, ახალი სასწავლო მასალის შესწავლამდე გადახედონ წინა ან პრერეკვიზიტულ ცოდნას მათთვის მისაღები თანამიმდევრობით.
  - მისაწოდებელი ინფორმაცია ისეთნაირად უნდა დაიყოს, რომ არ მოხდეს მესხიერების გადატვირთვა. ეფექტურობისათვის ელექტრონული სასწავლო მასალა ეკრანზე 5-დან 9 ელემენტამდე უნდა იყოს წარმოდგენილი. თუ გაკვეთილში ბევრი ელემენტია, ეს ინფორმაცია ორგანიზებულად უნდა იყოს წარმოდგენილი საინფორმაციო რუკის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში საინფორმაციო რუკა წარმოადგენს ელექტრონული გაკვეთილის მიმოხილვას და მას შეიძლება ჰქონდეს წრფივი, იერარქიული ან ქსელური სტრუქტურა. გაკვეთილის მიმდინარეობასა და ხდება წვდომა რუკაზე მოცემულ ცალკეულ ელემენტთან და არსებობის შემთხვევაში მათ ქვეელემენტებთან. გაკვეთილის ბოლოს ისევ შეიძლება ამ განზოგადებული საინფორმაციო რუკის ჩვენება ელემენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ილუსტრირებით.
  - მასალის ღრმა შესწავლის უზრუნველყოფისათვის მსმენელებს შეიძლება მიეცეთ საინფორმაციო რუკის შედგენის დავალება გაკვეთილის მიმდინარეობის ან მისი დასრულების შემდეგ. მასალის ღრმა შესწავლის გარდა, საინფორმაციო რუკები იძლევა საშუალებას მსმენელებმა წარმოიდგინონ მასალის არა მარტო „დიდი სურათი“, არამედ მოიცვან გაკვეთილის დეტალებიც.
  - ელექტრონული სასწავლო მასალა უნდა შეიცავდეს აქტივობებს სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე სტუდენტებისათვის [3]:
- კონკრეტული – ექსპერიმენტების სტილის მსმენელი უპირატესობას ანიჭებს ისეთ სპეციფიკურ მაგალითებს, რომლებშიც თავად შეუძლია იყოს ჩართული და მუშაობის პროცესში შეხება ჰქონდეს სხვა მსმენელებთან და არა – ძალაუფლების მქონე, რაიმე რანგით მაღლა მდგომ პირთან. ამ ტიპის ინდივიდებს მოსწონთ გუნდური მუშაობა და უკუკავშირის მიღება სხვა მსმენელებისაგან, ხოლო მასწავლებელს ისინი განიხილავენ, როგორც ინსტრუქტორს ან პირს, ვისაც შეიძლება მიმართო დახმარებისათვის. მათ ურჩევნიათ ისეთი სასწავლო გარემო და მეთოდო-



დები, რომლებიც სხვა მსმენელებთან ურთიერთობისა და მასწავლებლისაგან გარკვეული ინსტრუქციების მიღების საშუალებას მისცემს.

- გააზრებული – დაკვირვებული ტიპის მსმენელი სანამ რაიმეს მოიმოქმედებს, კარგად აკვირდება მიმდინარე მოვლენებს. მას ურჩევნია, მთელი ინფორმაცია ღია იყოს შესწავლისათვის და მასწავლებლებს განიხილავს, როგორც ექსპერტებს. ამ ტიპის მსმენელები ცდილობენ თავი აარიდონ სხვებთან ურთიერთობას.
- აბსტრაქტული – კონცეპტუალიზაციის ტიპის მსმენელი უფრო მეტად საგნებთან და სიმბოლოებთან მუშაობას ამჯობინებს, ვიდრე – ადამიანებთან. მას მოსწონს თეორიებთან მუშაობა და ატარებს სისტემურ ანალიზს.
- აქტიური – ექსპერიმენტების ტიპის მსმენელს ურჩევნია ისწავლოს უფრო პრაქტიკული პროექტების განხორციელებისა და გუნდური დისკუსიების საფუძველზე. მას ურჩევნია აქტიური სასწავლო მეთოდები და ურთიერთობა სხვა მსმენელებთან უკუკავშირისა და ინფორმაციის მიღების მიზნით. ამ ტიპის მსმენელები ცდილობენ სიტუაციის შეფასების საკუთარი კრიტერიუმების შემოღებას.
- სხვადასხვა სასწავლო აქტივობების გარდა, აუცილებელია სხვადასხვა სასწავლო ტიპის მსმენელებისათვის შესაბამისი მხარდაჭერის განწევა. მხარდაჭერის ღონისძიებები სხვადასხვა ტიპის მსმენელისათვის სხვადასხვაა.
- ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმატში იმისათვის, რომ ის კარგად მოერგოს ინდივიდუალურ განსხვავებებს ინფორმაციის გადამუშავებისა და გრძელვადიან მესხიერებაში ინფორმაციის ტრანსფერის კუთხით. სადაც შესაძლებელია, უნდა იქნეს გამოყენებული ტექსტური, ვერბალური და ვიზუალური ინფორმაცია ინფორმაციის კოდირების პროცესის წასახალისებლად (კოდირება გულისხმობს ინფორმაციის დაკავშირებას უკვე არსებულ ცოდნასთან იმ მიზნით, რომ ახალმა ინფორმაციამ აზრობრივი დატვირთვა შეიძინოს). ორმაგი კოდირების თეორიის მიხედვით, სხვადასხვა ფორმატში მიღებული ინფორმაცია მესხიერებაში უფრო კარგად გადამუშავდება, ვიდრე – მხოლოდ ერთ ფორმატში წარმოდგენილი ინფორმაცია. ორმაგ ფორმატში მოწოდებული ინფორმაცია ტვინის სხვადასხვა ნაწილში გადამუშავდება, რაც ხელს უწყობს გრძელვადიან მესხიერებაში მისი დამახსოვრების პროცესს [4].
- მსმენელებს უნდა ჰქონდეთ სწავლის მოტივაცია. ღიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენად ეფექტურია ელექტრონული სასწავლო კურსი, თუ მსმენელები არ არიან მოტივირებულნი – ისინი მაინც არ ისწავლიან. პრობლემა ხშირად მდგომარეობს იმის განსაზღვრაში, „შინაგანი“ მოტივაციის (მსმენელებიდან წამოსული) გამოყენებაა უმჯობესი, თუ – „გარეგანი“ (მასწავლებლებიდან და საქმიანობიდან წამოსული). ელექტრონული სასწავლო კურსის დიზაინერებმა უნდა გამოიყენონ „შინაგანი“ მოტივაციის სტრატეგიები, თუმცა გარეგანი მოტივაციის ელემენტებიც უნდა იყოს ჩართული, რადგან მსმენელთა გარკვეულ ჯგუფს ესაჭიროება მოტივაცია ინსტრუქტორის, ან სხვა გარე პირის, ან მოვლენის მხრიდან.
- მნიშვნელოვანია მსმენელთა ყურადღების მიპყრობა გაკვეთილის დაწყებისთანავე და მისი შენარჩუნება მთელი გაკვეთილის განმავლობაში. ელექტრონული სასწავლო მასალა დასაწყისშივე უნდა შეიცავდეს მსმენელთა ყურადღების მოზიდვისათვის საჭირო სასწავლო აქტივობას. საჭიროა მსმენელთა ინფორმირება გაკვეთილის მნიშვნელობის შესახებ და იმის შესახებ, თუ რა სარგებელი შეიძლება იქნეს მიღებული ამ გაკვეთილიდან. გამოყენებული სტრატეგიები უნდა უზრუნველყოფდეს გაკვეთილის სარგებლის მკაფიოდ წარმოდგენას და ასევე ხელს უწყობდეს იმის დემონსტრირებას, თუ როგორ შეიძლება მიღებული ცოდნის გამოყენება რეალურად. ეს ხელს უწყობს ცოდნის კონტექსტუალიზაციას, მიღებულ ცოდნას ხდის უფრო აზრიანს და ინარჩუნებს მსმენელთა ინტერესს გაკვეთილისადმი.
- გამოიყენეთ სტრატეგიები, რომლებიც მსმენელებს შეუქმნიან მოლოდინს იმის შესახებ, თუ რას მიიღებენ გაკვეთილიდან და გარდა ამისა, გაუჩვენონ წარმატების მიღწევის რწმენას. ასეთი სტრატეგიის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სასწავლო მასალის დალაგება მარტივიდან რთული-საკვან, ნაცნობიდან უცნობისაკენ და ისეთი სასწავლო სცენარების გამოყენება, სადაც მსმენელებს ექნებათ გაკვეთილის დასრულების სხვადასხვა სტრატეგიების არჩევის შესაძლებლობა.



- შესთავაზეთ მსმენელებს უკუკავშირი მათი წარმატების შესახებ და მიეცით მათ ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენების შესაძლებლობა. მსმენელებს ძალიან მოსწონთ ცოდნის კონტექსტუალიზაცია.
- წაახალისეთ მსმენელები გამოიყენონ მეტაკოგნიტური უნარ-ჩვევები სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის. მეტაკოგნიცია არის მსმენელის უნარი, იყოს დარწმუნებული თავის კოგნიტურ შესაძლებლობაში და გამოიყენოს მისი ეს შესაძლებლობა სწავლის პროცესში. ელექტრონული სწავლის პროცესში მსმენელებს უნდა ჰქონდეთ სასწავლო მასალის გააზრებისა და სხვა მსმენელებთან კოლაბორაციის შესაძლებლობა, ასევე მათი მიღწევების მონიტორინგის შესაძლებლობა. თვითშემოწმების შეკითხვები და უკუკავშირის მქონე სავარჯიშოები კარგი სტრატეგიაა იმისათვის, რომ მსმენელმა თვალყური ადევნოს თავის მოსწრებას. ამით მას ეძლევა მისი მეტაკოგნიტური უნარების გამოყენებისა და სასწავლო პროცესისადმი მისი მიდგომის გადახედვის შესაძლებლობა იმ შემთხვევებში, როცა ეს აუცილებელია.
- უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ელექტრონული სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ცოდნის რეალობისაკენ მიმართვისა და მისი რეალურ სიტუაციებში გამოყენების შესაძლებლობას. სიმულაციები, მაგალითები რეალური ცხოვრებიდან უნდა იქცეს სასწავლო კურსის ნაწილად. ასევე, მსმენელებს უნდა ჰქონდეთ ისეთი დავალებებისა და პროექტების განხორციელების შესაძლებლობა, სადაც გამოიყენებენ რეალური ცხოვრებიდან მიღებული ინფორმაციას. ცხოვრებისეული სიტუაციებისაკენ ცოდნის ტრანსფერი მსმენელებს მისცემს ცოდნის კონტექსტუალიზაციისა და მისადმი პერსონალური შეხედულების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

ელექტრონული სწავლება იძლევა მოქნილი, დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებელი სასწავლო პროცესის შექმნის შესაძლებლობას. სასწავლო მასალა უნდა იყოს ჩამოყალიბებული სწორად, იმისათვის, რომ მოხდეს მსმენელის დაინტერესება და ჩართვა სასწავლო პროცესში. ელექტრონულ სწავლებას ბევრი დადებითი მხარე გააჩნია, მაგრამ მას სჭირდება ძალისხმევა და რესურსები და ამიტომ სასწავლო კურსები უნდა იყოს შედგენილი სწორად. „სწორად შედგენა“ ნიშნავს იმას, რომ სასწავლო მასალა ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ ყურადღების ცენტრში იყოს მსმენელი და სწავლის პროცესი. ელექტრონული სწავლება უნდა იყოს ინტერაქტიული და კოლაბორაციული.

სასწავლო კურსების სწორად აგება განსაკუთრებით აქტუალურია მიმდინარე ეტაპზე, როცა კოვიდ-პანდემიის პირობებში, ელექტრონული სწავლება იქცა განათლების მიღების პრაქტიკულად ერთადერთ ინსტრუმენტად.

### დამონშებული წყაროები

1. Evans, Meryl K. (2002, October 8). Peter Merholz and Nathan Shedroff on user-centered design Retrieved April 18, 2006, from <http://digital-web.com/articles/peter-merholz-and-nathan-shedroff/>.
2. Kiffmeyer, Michael. (2004, November 9). The evolution of e-learning. Retrieved April 21, 2006 from <http://knowledgemanagement.ittoolbox.com/documents/popular-q-and-a/the-evolution-of-elearning-2902>.
3. <https://elearningindustry.com/elearning-in-the-modern-world-significance>.
4. <https://www.dexway.com/5-reasons-why-online-learning-is-more-effective/>.

### თალიკო ჟვანია, ანა კობიაშვილი

#### ელექტრონული სწავლება – თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა

#### რეზიუმე

ტრადიციული სწავლებიდან კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ სწავლების ეს ფორმა განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღევანდელი პანდემიის პირობებში. სტატიაში განხილულია ელექტრონული სწავლების ევოლუციის პროცესი, რომლის ეტაპები მოიცავს კურსებს CD-ROM-ების ბაზაზე, დისტანციურ სწავლებასა და ელექტრონულ სწავლებას.





ტრონულ სწავლებას, მოყვანილია სწავლების თითოეული ეტაპის უპირატესობები და ნაკლოვანებები, მოყვანილია ელექტრონული სწავლების სხვადასხვა სფეროში გამოყენების მაგალითები. გაანალიზებულია რეკომენდაციები, როლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ელექტრონული კურსების შექმნისას.

**Taliko Zhvania, Ana Kobiashvili**

## **E-learning – the Challenge of the Modern World**

### **Abstract**

The transition from traditional teaching to computer-based learning has been going on for a long time, but this form of teaching has become particularly relevant in today's pandemic. The article discusses the evolution of e-learning, the stages of which include courses based on CD-ROMs, distance learning and e-learning, the advantages and disadvantages of each phase of e-learning, examples of use of e-learning in different fields are given. Recommendations are analyzed, which should be taken into account when creating e-courses.



## მანია უკლება

### პანდემია, ტურიზმის გლობალური ცვლილება და საზოგადოების ცხოვრების ხარისხი

ტურიზმის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გამოვლინებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ტურისტული დესტინაციის საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე. კ. კიმი თვლის, რომ ადგილობრივი საზოგადოება, რომელიც ყალიბდება დესტინაციად, მყისიერად ექცევა ტურიზმის ზეგავლენის ქვეშ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეზიდენტების მხარდაჭერა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება ადგილობრივი ხელისუფლების და ტურიზმის განვითარებაზე პასუხისმგებელი ყველა ინსტიტუციის მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. (Kim, K. 2002).

საზოგადოების ცხოვრების ხარისხი მისი მდგრადი განვითარების მთავარი მახასიათებელია და მოიცავს კეთილდღეობის ხუთ სფეროს: მატერიალურ კეთილდღეობას, სოციალურ კეთილდღეობას, ემოციურ კეთილდღეობას, ჯანმრთელობის დაცვას, უსაფრთხოებას. ფ. არეფმა კონკრეტული დესტინაციების კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ზემოთ მოცემული ჩამონათვალიდან, ტურიზმის გავლენა განსაკუთრებით ზემოქმედებს ემოციურ და მატერიალურ კეთილდღეობაზე. ნაკლებად კი, ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, დაცულობასა და უსაფრთხოებაზე. (Aref, F. 2010). რამდენად აქტუალურია ეს მოსაზრება დღეს, როდესაც COVID 19-ის პანდემიამ სრულიად შეცვალა მსოფლიო, მათ შორის ტურიზმიც?

არსებულმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა მთავარი კითხვა: როგორია ტურიზმის ზეგავლენა საზოგადოების ცხოვრების ხარისხზე, თუკი თავად ტურიზმი არ იქნება რეზისტენტული ისეთი გლობალური კრიზის(ებ)ის მიმართ, როგორც პანდემია?

2016 წლიდან არა ერთ კვლევაში ხაზგასმულია საავიაციო მოგზაურობების როლი მზარდი გრიპების/ კორონავირუსების პირობებში. ამ კვლევების მთავარი იდეაა, რომ მოგზაურობა ცენტრალურ ადგილს იკავებს ეპიდემიებისა და დაავადებების გავრცელებაში და მნიშვნელოვანია მათზე დაკვირვება, რათა მოგზაურობები/ტურიზმი დაავადებების გავრცელებაში ძირითად კონტრიბუტორად არ იქცეს.

ფ. ბარკლი ჯერ კიდევ 2006 წელს აღნიშნავდა, რომ „კავშირის პანდემიებსა და ტურიზმს/მოგზაურობებს შორის ცენტრალური ადგილი უნდა მიენიჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და გლობალური ცვლილებების ასპექტში“. (Burkle, F. M. Jr, 2006.59(2), 231–265).

აღნიშნულის მიუხედავად, ტურიზმის სფეროში აკადემიური კვლევებისა და სამთავრობო მიდგომების ვექტორები ძირითადად მიმართულია კლიმატის გლობალურ ცვლილებებსა და მათ სისტემურ გავლენაზე, ტერორიზმზე, საკვების უსაფრთხოებაზე და ა.შ., ნაკლებად -პანდემიების გავლენის კვლევაზე, რამაც თითქოს აქტუალობა დაკარგა. (გამონაკლისს წარმოადგენს ესპანური გრიპის გავრცელებისა და გავლენის შესწავლა, რასაც საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო).

დ. სკოტი და სხვანი აღნიშნავენ, რომ „სრული ღუმელია პანდემიების რისკებთან დაკავშირებით, რაც სჯის ტურიზმის გლობალურ სისტემებს და, ასევე, გლობალურ ეკონომიკას“ (Scott, D., Hall, C. M., & Gössling, S. 2019).

მართლაც, თუ გავანალიზებთ ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, როგორებიცაა: მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის (WEF) მიერ განსაზღვრული კონკურენტუნარიანობის ფაქტორები (2007წ.), მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (WTTTC) მიერ შემუშავებულ კონკურენტობის ინდიკატორთა ჩარჩო, დესტინაციის კონკურენტუნარიანობის ინდექსი TTCI (The Travel and Tourism Competitiveness Index -14 Pillars), ევროპული ტურიზმის ინდიკატორების სისტემა (ETIS) და სხვა, დაფრწმუნდებით, რომ ყველა მათგანი ეყრდნობა როგორც გარემოვით ფაქტორებზე მონაცემებს (ე.წ. Hard Measures), ისე არამატერიალურ, არაგარემოვით სუბიექტურ მაჩვენებლებს (ე.წ. Soft Measures). ამ უკანასკნელში კი განიხილება: ა. უსაფრთხოება და დაცულობა და ბ. ჯანმრთელობა და ჰიგიენა .

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების თანახმად, უსაფრთხოება და დაცულობა გულისხმობს ტერორიზმის გავლენას ბიზნესზე, ძალადობრივი დანაშაულის გავლენას ბიზნესზე, სამართალდამცველთა სანდობას, საგზაო-საავტომობილო შემთხვევების რაოდენობას, კრიმინალის დონეს და სხვა). ხოლო



**ჯანმრთელობა და ჰიგიენა** გულისხმობს სანიტარიული მდგომარეობის ხარისხის განვითარებას, სასმელი წყლის ხარისხის განვითარებას, საავადმყოფოების სანოლგების რაოდენობას და სხვა. როგორც ვხედავთ, ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა ეპიდემიები/პანდემიები, სავარაუდოდ ნაგულისხმებია „და სხვა“-ში.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, აგრეთვე, მდგრადი ტურიზმის საკითხებისადმი გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში: „Making tourism more sustainable: A guide for policy makers, UNWTO / UNEP, in the Sustainable Tourism Group report, “Action for more sustainable European tourism”. February 2007., მოცემული 12 ამოცანა: რომელიც უნდა განხორციელდეს ტურისტული დესტინაციის მდგრადობისათვის, ესენია: ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა; ადგილობრივი კეთილდღეობა; საშუაოს ხარისხი; სოციალური სამართლიანობა; ვიზიტორთა კმაყოფილება; ადგილობრივი კონტროლი; ადგილობრივი საზოგადოების სოციალური უზრუნველყოფა; კულტურული სიმდიდრე; ფიზიკური მთლიანობა; ბიოლოგიური მრავალფეროვნება; რესურსების ეფექტიანობა; გარემოს სისუფთავე.

როგორც ვხედავთ, არც ეს ამოცანები გულისხმობს ეპიდემიებსა და პანდემიებს, როგორც დესტინაციების მდგრადობის განმსაზღვრელ ანგარიშგასაწევ ფაქტორს. მსოფლიომ თითქოს მივიწყა რისკები, მომდინარე „უხილავი მტრისაგან“, რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს კონკრეტული დესტინაციებისა და ზოგადად ტურიზმის განვითარებაში.

პანდემიების ეკონომიკური ზეგავლენის საყოველთაო აღიარების მიუხედავად, საკმაოდ მცირეა კვლევები ამ მიმართულებითაც და ისიც, ძირითადად ეროვნულ დონეებზე (Gössling.S, Scott D. & Hall C. M. 2020).

ცხოვრების ხარისხზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავებისათვის უნგრელი ექსპერტების მიერ შემუშავდა ტურიზმთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის ინდექსი (TRQL- Tourism Related Quality of Life index), ე.წ. ბუდაპეშტის მოდელი (Gondos B., 2014), რომელიც ადგენს ურთიერთკავშირს ტურიზმსა და ცხოვრების ხარისხს შორის. ამ მოდელის ძირითად მიზანს წარმოადგენს ცხოვრების ხარისხის დონის ამაღლება ტურიზმის მეშვეობით, რადგან ტურიზმს შეუძლია კომპლექსური წვლილის შეტანა როგორც ადგილობრივი საზოგადოების, ისე ტურისტის ცხოვრების ხარისხის ზრდაში. თავის მხრივ, მოდელი ეყრდნობა ტურიზმისა და საზოგადოების ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებულ არაერთ მიდგომასა და მოსაზრებას, თუმცა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ე.წ. რაჰმანის მოდელს, (Rahman, T.et al, 2005), რომლის თამახმად ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს რვა კომპონენტი: ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამუშაო, ფინანსური და მატერიალური კეთილდღეობა, საკუთრება, პერსონალური დაცულობა, გარემოს ხარისხი, ემოციური კეთილდღეობა და სოციალური ურთიერთობები.

განსახვავებით სხვა დოკუმენტებისა და მოდელისაგან, ჯანმრთელობის მდგომარეობას ამ მოდელში პირველი ადგილი უჭირავს.

ტურიზმსა და პანდემიებს შორის კავშირის მიმართ აკადემიური ინტერესების მასშტაბების ზრდის ან კლების მიუხედავად, ფაქტია რომ კოვიდ-ინფექციის ფართო გავრცელებამ არსებითად დააზიანა ტურიზმის (და არა მარტო) ინდუსტრიის ფართო სფერო, მასთან დაკავშირებული შემოსავლების რაოდენობა, სოციალურ ურთიერთობები და რაც მთავარია, ადგილობრივი საზოგადოების ჯანმრთელობა, საბოლოო ჯამში კი ცხოვრების ხარისხი.

21-ე საუკუნის მსოფლიოს უკვე დაუგროვდა არასახარბიელო გამოცდილება ოთხ პანდემიასთან დაკავშირებით, კერძოდ: SARS (2002 წ.), „ფრინველის გრიპი“ ( 2009 წ.), „ლორის გრიპი“ (2009წ.), MERS (2012 წ.), Ebola (2013-2014 წწ.) და ბოლოს, Covid-19, რაც მალე, იმედია, გამოცდილებად შეიძლება შევაფასოთ.

საინტერესოა, რომ UNWTO, ICAO, CLIA, WTTC, WBG და სხვა ორგანიზაციების ანგარიშებითა და სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა პანდემიებმა ვერ მოხდინა გლობალური ტურიზმის განვითარების ხანგრძლივადიანი ვარდნა, ზოგი მათგანი კი პრაქტიკულად შეუმჩნეველი დარჩა. აღნიშნული დასტურდება მსოფლიო ბანკის მონაცემებითაც, სადაც შეფასებულია 21-ე საუკუნის პანდემიათა ნაწილის ჰუმანიტარული და ეკონომიკური გავლენა გლობალურ ტურიზმზე (Impact of major crisis events on global tourism. World Bank 2020a,b).

გამოდის, რომ ტურიზმი საკმაოდ მოქნილი და რეზისტენტული აღმოჩნდა მათ მიმართ!



რაც შეეხება COVID-19-ს, არაერთი წინასწარი შეფასებით დასტურდება, რომ იმ პირობებში, რომელშიც დღეს ტურიზმი იმყოფება (ე.წ. „Non Tourism“), პანდემიის გავლენის შედეგებისაგან გამოსვლა და აღდგენა უპრეცედენტოდ რთული იქნება, (Gössling.S, at al. 2020). მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის თავდაპირველი გათვლებით, 2020 წლისთვის საერთაშორისო ჩასვლების რაოდენობის 20-30%-ით კლება იყო ნავარაუდები, ხოლო შემდგომი პროგნოზებით 70%-იანი. რაც შეეხება ტურიზმისაგან შემოსავლების რაოდენობას, პროგნოზით მისი შემცირება 300-450 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევდა. WTTC-ს მიერ (მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭო) კი, ტურიზმისაგან შემოსავლების შემცირება 2.1 ტრილიონს გადააჭარბებდა. OECD-ს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) მონაცემებით, 2020 წლისთვის ტურიზმის 80%-იანი ვარდნა იყო პროგნოზირებული, ხოლო სფეროს მრავალმხრივი აღდგენა 2021 წლისთვის არარეალისტურად მიიჩნევა და პროცესს სავარაუდოდ რამდენიმე წელი დასჭირდება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საგანგაშოა ისიც, რომ პანდემიამ შეარყია მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად მსოფლიოს მიერ განუული ძალისხმევა და საეჭვოდ აქცია ამ მიზნების მიღწევის რეალისტურობა 2030 წლისთვის, რადგან „დიდი ეპიდემიები და პანდემიები კვლავ დაგვატყდება თავს და მცირეა არგუმენტები იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ადეკვატურად არის ამისთვის მომზადებული“ (Fan, Y. At al. 2018 გვ.129– 131),

რა დგება დღის წესრიგში?

წარმატების მთავარ მაჩვენებლად ტურიზმის ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციები (UNWTO, ICAO, CLIA, WTTC), როგორც წესი, მიიჩნევენ ტურისტთა რაოდენობის ზრდას, ანალოგიურია მიდგომები ეროვნული სტრატეგიების დონეზეც, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის განვითარების სტრატეგიის თანახმად, 2025 წლისთვის გეგმავს ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხის გაზრდას 6.6 მილიარდ აშშ დოლარამდე, შესაბამისად ტურიზმის წვლილის გაზრდას საქართველოს ეკონომიკაში, რისთვისაც ვიზიტორთა რაოდენობის ნაცვლად, ფოკუსირება მოხდება ვიზიტორთა ხარისხსა (ამ განსაზღვრებას ვერ ვიზიარებ. მ.უ.) და მრავალფეროვნებაზე, რაც სავსებით სწორია. თუმცა იქვე ვკითხულობთ, საინააღმდეგო სტრატეგიულ ამოცანას, რომლის თანახმად უნდა მოხდეს საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა 11 მლნ-მდე (?). საჭიროა კი ასეთი მართონი?

ს. კონმა, პ. ჰანამ და ს. გოსლინგმა ჯერ კიდევ 2015 და 2018 წლების ნაშრომებში: „A darker side of hypermobility“ (2015) და „The dark side of business travel: A media comments analysis. Transportation Research Part D: Transport and Environment, 61, 406–419. (2018), პრაქტიკულად იწინასწარმეტყველებს ჰიპერმობილობის უარყოფითი მხარეები. ავტორები თვლიან, რომ პანდემიების მიერ შექმნილი კრიზის(ებ)ის გამო, კრიტიკულად უნდა გადაიხედოს ტურიზმის ზრდის ტრადიციონული, ჩასვლების რაოდენობები (ლოგიკური თუ ჭარბი) და ის, თუ რას გულისხმობს ე.წ. „წარმატებული ტურიზმი“ ან/და „უდიდესი სარგებელი ტურიზმისაგან“.

უნდა აღინიშნოს, რომ გაჩნდა კვლევები, რომლებშიც წარმოჩენილია COVID-19-ის „ნათელი მხარეებიც“, მათ შორის ტურიზმის კონტექსტში, როგორებიცაა, მაგალითად: აქტიური რეკრეაციისადმი, ურბანულ სივრცეებში მწვანე ზონებისადმი, შიდა ტურისტული ღირსშესანიშნაობებისა და მოგზაურობებისადმი საზოგადოების ინტერესის გაზრდა; არასავალდებულო ბიზნეს მოგზაურობების (საჭაერო) თავიდან აცილება; ჰაერის, წყლის, ბიომრავალფეროვნების ხარისხის გაუმჯობესება; ხმაურის შემცირება; რესურსების მოხმარების შედარებითი შემცირება; მსოფლიოს კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე ზეწოლის შემცირება და სხვა. (აქვე, ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ COVID-19-ის პანდემიის ცალკეული შედეგის პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენა ამორალურად არის მიჩნეული საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ ).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევთ, რომ

- COVID-19-ის პანდემიამ მწვავედ დააყენა ტურიზმის ზრდის მოცულობის მოდელის გადახედვის საკითხი იმ ზიანის გათვალისწინებით, რაც მიაღდა გლობალურ მოგზაურობებს. შესაბამისად, ჩემი ღრმა რწმენით, ტურიზმის წარმატების (მ.შ. დესტინაციის დონეზე) „ფორმულა“, რომელიც უკავშირდება ტურისტთა ნაკადების განუხრელ ზრდას – მოძველებულია!



- გლობალური ტურიზმის განვითარების ვექტორი მკვეთრად რეორიენტირებული უნდა იყოს დესტინაციებისა და მათი რეზიდენტების მდგრადი განვითარებისაკენ და არა ტურისტული ნაკადების ზრდის მართონისკენ;
- უნდა გადაიხედოს და ტრანსფორმირდეს ტურიზმის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგიები როგორც გლობალურად, ისე ეროვნულ დონეზე და მოხდეს მისი მკვეთრი რეორიენტირება გარე რისკებისადმი (მ.შ. პანდემიებისადმი) დარგის რეზისტენტობის ამაღლებისაკენ, რათა მიღწეულ იქნეს დესტინაციების და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის მდგრადობა;
- არსებითად უნდა გადაიხედოს და დაზუსტდეს დესტინაციების მდგრადობისა და ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების ხარისხის ინდიკატორები, მ.შ. მონყვლადობის ფართო კონტექსტში.

### დამონშებული წყაროები

1. უკლება, მ. ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი. თბილისი., 2017
2. Aref, F. Residents' attitudes towards tourism impacts. *Tourism Analysis*, 2010. 15(2), 253-261).
3. Burkle, F. M. Jr, (2006). Globalization and disasters: Issues of public health, state capacity and political action. *Journal of International Affairs*, 59(2), 231–265
4. Brown, A., Ahmad, S., Beck, C., & Nguyen-Van-Tam, J. (2016). The roles of transportation and transportation hubs in the propagation of influenza and coronaviruses: A systematic review. *Journal of Travel Medicine*, 23(1), tav002. <https://doi.org/10.1093/jtm/tav002>
5. Cohen, S. A., Hanna, P., & Gössling, S. (2018). The dark side of business travel: A media comments analysis. *Transportation Research Part D: Transport and Environment*, 61, 406–419. <https://doi.org/10.1016/j.trd.2017.01.004>
6. Fan, Y. Y., Jamison, D. T., & Summers, L. H. (2018). Pandemic risk: how large are the expected losses? *Bulletin of the World Health Organization*, 96(2), 129–134 <https://doi.org/10.2471/BLT.17.199588>
7. Gössling, S., Scott D. & Hall C. M. (2020): Pandemics, tourism and global change: a rapid assessment of COVID-19, *Journal of Sustainable Tourism*, DOI10. 2020.
8. Hall, C. M. (2019). Constructing sustainable tourism development: The 2030 agenda and the managerial ecology of sustainable tourism. *Journal of Sustainable Tourism*, 27(7), 1044–1060. 2018;
9. Krajewski, M. Fraćkowiak, M. Kubacka, M. Rogowski, L. The bright side of the crisis. The positive aspects of the COVID-19 pandemic according to the Poles .2020. <https://doi.org/10.1080/14616696.2020.1836387>;
10. Rahman, T., et al (2005). *Measuring the Quality of Life across Countries. A Sensitivity analysis of Well-being Indices*. Research paper No. 2005/06 in World Institute for Development Economics Research (WIDER) established by United Nations University (UNU). [Google Scholar](https://scholar.google.com/citations?user=...)

### მაია უკლება

#### პანდემია, ტურიზმის გლობალური ცვლილება და საზოგადოების ცხოვრების ხარისხი

#### რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეხება ტურიზმის ზრდის მოცულობის მოდელის გადახედვის საკითხს იმ ზიანის გათვალისწინებით, რაც პანდემიის მიერ მიადგა გლობალურ მოგზაურობებს, დესტინაციებს და ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების ხარისხს. უნდა შეიცვალოს მიდგომები და დამოკიდებულება ტურიზმის წარმატების დამკვიდრებული „ფორმულის“ მიმართ, რომელიც უკავშირდება ტურისტთა ნაკადების განუხრელ ზრდას როგორც ეროვნულ, ისე დესტინაციების დონეზე.



**Maia Ukleba**

**Pandemics, Global Change in Tourism and the Quality of Community Life**

**Abstract**

The article deals with the revision of tourism growth model, considering the damages caused by pandemics to the global travels, destination, and the quality of life of the local community. The approaches and attitudes towards a tourism 'success formula' accepted so far should be changed, which is connected with the steady growth of tourist at national, as well as at destination level.



## სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

INGA DIAKONIDZE

### TEACHING L2 ONLINE – CHALLENGES AND SOLUTIONS

Modern Era of globalization has posed many challenges to almost all spheres and professions. Significant changes and shifts took place in education. Technology advancement and competitive labour market revealed the urgent need for skilled professionals with super life performance and it changed the attitude and requirements set towards education and educators. This made traditional way of teaching and learning thoroughly obsolete. The quick pace of life raised the need for more flexible format of getting education, other than in the simple classroom or face to face communication and it has happened long before the COVID-19 pandemic.

According to EUA's report [1, 5], by 2014 e-learning had been introduced by 91 percent of the institutions in different mode and format: distance learning, blended learning, problem-based learning, hybrid learning and etc. HEI-s experts and professionals have worked out different methodology and tools for providing online education through virtual classroom, which had the potential of becoming as global as the whole world.

Since 2020 pandemic, the need for serious reconsiderations of online leaning has become evident. The reaction of the HEI-s to this emergency was quite prompt. Different leading HEI adapted the methods and format of online teaching and offered the recommendations how to make online study format equally flexible and beneficial for students and staff with different needs and technical support without compromising the program/course goals and learning outcomes. In spite of all these efforts, the issue of online assessment flexibility and equity, as well as academic integrity is recognized to be one of the most challenging issues encountered. Teaching L2 online has also faced all these problems and made linguists and language professional to seek for solutions.

In this article we are going to focus on teaching L2 online and the challenges encountered in online teaching format and methodology, as well as the assessments system. The fact that teaching L2 means teaching 4 language skills: reading, speaking, listening, and writing make things more complicated when the classes are delivered completely online. In teaching L2 online, alternatives to face to face communication, most appropriate and broadly applied in online teaching, including assessment format and methodology are synchronous and asynchronous teaching and assessment methods.

As we are already well aware, synchronous online teaching is „*where students and an instructor participate at the same time, but at separate locations other than an institutional campus. These courses may be delivered by video conferencing, web conferencing, audio conferencing, etc. Asynchronous courses are „ the courses where students are not required to participate in sessions at the same time as the instructor. These may be print-based courses or online courses using a learning management system, for instance* [1, 4]. However, asynchronous teaching format is not always perfect alternative when it comes to language courses, which require intensive interaction, without which it is impossible to acquire all 4 language skills.

Mr. Daniel Maxwell, the Professor at the university of New Haven claims that *“teaching synchronously most closely mirrors the physical classroom experience. Delivering course content and presentations ‘live’ creates a sense of immediacy and intimacy that is particularly effective for student engagement”* [2, 20]. He considers that discussion, peer review and collaborative activities among students should be supported even if the classes are delivered online. As these methods help to create the atmosphere of the community even



in virtual classroom. It also enhances the motivation and increase students' academic achievements. The professor gives priority to the resources with interactive possibilities than to the power point presentations and simple e-books which require less activeness from the students' side. It is especially true to language teaching, as far as teaching/learning L2 most of all, means practicing in real time. Real time performance is a key to speaking and listening skills. However, it can be the case that students and even professors can have some health or other technical (e.g., Internet connection) problems which can easily fail the process. This becomes especially sensitive issue when it comes to the assessments. For this reason, language teachers try to make their course more flexible and find the alternatives (mostly asynchronous ones) to face-to-face classes and respectively, the assessment as well. Some of the amendments to the assessment system and process we have practiced so far with my university colleagues and fellow students in teaching L2 online are the following:

1. Written exam (test checks writing, reading and listening skills) that was previously done face to face was transformed into the written online test exam in moodle platform, which supported timed release of examination paper, however, there is still chance that if the electricity fails, they may lose their work. To avoid cheating in so called 'take away' exam, the teacher can conduct 'spot checks' and 'mini vivas' - ask students the question regarding the answers they have provided in the test [3].

2. Oral exam so called 'viva voca' (checks speaking skills). It can be easily realized by any remote platform, for example: zoom, hangout, teams and etc. In case of technical failure, reexamination opportunities are also provided.

3. Presentation – students can prepare the presentation on predefined topic, make video recording how they present the paper and submit via e-mail. They can also present it synchronously during the virtual meeting arranged in zoom, hangout or teams.

The 'contingency measures' [3] mentioned above, applied by L 2 teachers proved to be quite effective, however, they are not perfect. Still, the problem of interactive classes – involving all the students, 'creating the community', and enhancing their collaborative work and motivation still stays to be the challenge.

In our era of huge advancement in L2 teaching and IT sphere, we easily find L2 teaching software, the product of collaboration of L2 teaching experts and IT professionals. This kind of software had been available online even before the pandemics and they were effectively used in hybrid teaching format. However, majority of them function as the additional online resource to the printed textbook and they are not quite flexible to be applied when L2 classes are held completely online. Going completely online and teaching L2 in interactive manner with all the learners involved and motivated, requires strong instrument and resources not only from linguistic point of view, but from technical approach as well.

After looking into the matter more carefully as a linguist, who had the chance to get involved in the project by Imperial English Academy as an expert and as a teacher, in this article I decided to focus your attention on Imperial English UK Academy L2 courses designed and offered by British experts and professionals. These courses can be delivered in any mode and format of teaching L2, whether it is a face-to face, distant, online, hybrid or blended teaching classroom.

Imperial English Academy -UK courses have many priorities and advantages that make them quite applicable to online or any other types of 2 teaching. The whole course is arranged in interactive online apps with all the materials and resources integrated in them. No hard copy or any e-text book is necessary. According to the course descriptions and syllabi located on Academy website: *"British Academy experts offer courses designed according to British curriculum. The course apps are fully interactive, is mapped against the common European framework - CEFR Level, IELTS & is internationally tested by students from 25+ countries.*

#### **Courses Offered**

*General & Academic English courses available over 3 levels*

**Level 1: Elementary** (CEFR Level A2 & IELTS Band 3.5-4.5 & 75 hours face to face teaching)

**Level 2: Pre-intermediate** (CEFR Level B1 & IELTS Band 4.5-5.5 & 90 hours face to face teaching)

**Level 3: Intermediate** (CEFR Level B2 & IELTS Band 5.5-6.5 & 90 hours face to face teaching)





**Face to Face/online/hybrid/blended Teaching & Learning option via APP's**

- ✓ *All courses to be delivered face to face using tablets/personal computers.*
- ✓ *Initial Diagnostic Assessment APP to determine student's level of English.*
- ✓ *Teacher can deliver the programme face to face as well as online via an Interactive English Language Learning App for Students.*

*Language Learning App for Students.*

✓ *The apps. gives possibility to practice all 4 language skills, including listening and even speaking skills, in synchronous as well as asynchronous way. We mean that the app has the function of recording speaking tasks integrated in it, which will be especially applicable in online teaching mode. Even if the internet connection fail, the student can record the answer later and the teacher will be able to access it via teacher's app for checking. Similarly, to all other exercised completed by L2 learner.*

- ✓ *The Interactive English Language Learning App covers contents from the 7 books for each course.*
- ✓ *Students to receive a British Certification [4, 10]."*

It is especially noteworthy that Imperial English Academy courses respond to the requirements set by ENQA [1, 6-10] and recommendations offered regarding quality management of online teaching, especially those regarding:

- Course development
- Teaching and learning
- Course structure
- Students' support
- Learner's assessment
- Electronic security measures

British Academy experts have worked out quality assurance instructions and methods for managing the learning outcomes. Online course apps include the functions and corresponding space for quality management tools, including students' complaints and anonymous feedbacks for further improvement of the course. The annual monitoring and periodic review of the English Course will be carried out every year and recommendations will be submitted to Imperial English UK. Learners' and Teachers' privacy is protected with the personal unique log in details.

In order to clearly demonstrate the program specifications, we bring the extract from Imperial English UK Curriculum' document [4, 12-15] unchanged:

**PROGRAMME SPECIFIC QUALITY ASSURANCE MEASURES**

**5.1 Student Representatives**

*It is suggested a representative to be selected by the student body / individual organization. The selected representative will be given the opportunity to submit / attend the meetings with a member of senior management for regular feedback, in organising academic and non-academic activities throughout year and to raise any issues of concern the student body may have.*

**5.2 Student feedback**

*The feedback system allows students to provide regular feedback through questionnaires, meetings and discussion. Each individual student is expected to complete the following forms of survey during their course:*

- *Initial / Mid / End Course Feedback*
- *Individual Teacher Feedback*
- *Facilities Feedback*

*The feedback received from students on courses, facilities and teachers is very important for the further development of the project and information gathered is reviewed with faculty, student representatives*



*and senior management to form an effective action plan for improvement if required. This will also be reviewed by Imperial English to assure standards are being met.*

### **5.3 The English course evaluation**

*Where appropriate, it is suggested to conduct yearly course reviews with all teachers to ensure the planned course content is in the best interest of the class and provides the opportunity to identify any possible alterations that could help in enhancing their education experience or academic performance.*

*Imperial English UK will hold regular peer and management lesson observations as part of the quality*

*assurance course and to identify CPD training needs if required.*

### **5.4. Continued support for one year**

*A special arrangement will be made to provide academic and non-academic support to all teachers throughout the initial year of the course. Imperial English UK will appoint qualified staff for this arrangement. The Imperial English UK staff can be contacted via email, Skype, Viber, WhatsApp.*

### **6.1. ASSESSMENT STRATEGIES**

*Students will be exposed to the full range of assessment methods used in UK English language provision.*

*These strategies allow the demonstration of student progress within the areas identified above, and more importantly, at the level of study they are engaged with. Thus, both the learning outcomes for and the overarching aims of the English Course can be assessed and verified.*

### **6.2 FORMS OF ASSESSMENT**

*Student summative assessment within the English Course has been carefully designed to ensure that*

*participants have the opportunity to demonstrate their learning and meet the stated outcomes. In practice, the assessment methods employed cover essay writing, formal examinations, report writing, group work, debating and formal presentations, together with the compilation of a portfolio of tasks and activities undertaken, which can be reviewed and assessed through the use of the app.*

*Formative assessment activity will form an important part of assessing student's progress towards meeting the learning outcomes and the overarching English course aims. **In-class activities** including; group working and discussion, debates, writing activities (including draft submission support), review tasks and tutor feedback given to students regarding their individual performance, will be used. These*

*activities will ensure that students are fully prepared for the summative assessment tasks.*

### **6.3 REGULAR PROGRESSION CHECKS**

*There are regular progress checks through homework and review tasks as well as the formative and summative assessment procedures that are followed in the English Course. This includes, a half way review and end of course review and exam, plus regular individual and group presentations, discussion*

*activities, project work and homework. The use of Can Do statements are recommended as an ongoing*

*method of review and should be used to encourage students in self-assessment and target setting increasing learner independence. Also they can be used as a means for teachers to track individual and class progression and as an assessment tool to review various aspects of the course.*

*All these measure learner progress and identify any difficulties that they may be having. The students*

*are also encouraged to say how they feel about their progress when they have a tutorial or write their 'Learner Journal'.*



*The progress tests are not only used to measure the students' learning but, more importantly, you use*

*this as a mechanism to provide support to your students. It allows tutors to identify students that may be academically struggling and who require additional support.*

#### **6.4. SUPPORT PROVISION IN ASSESSMENT**

*The end of course exam and review will include (Questions, Answers, and Marking Criteria):*

- *Grammar Task*
- *Writing Task*
- *Speaking Task*
- *Reading Task*
- *Listening Task*

#### **Marks Allocation & Award Classification**

*The Teacher Book will give the precise pass criteria and the weighting of the marks that contribute to the overall course mark. Students may re-take the exam once if necessary, but will be capped at pass level only.*

*70% - 100% Distinction*

*50% - 69% Merit*

*40% - 49% Pass*

*0% - 39% Fail*

#### **7.1. Award**

*There are two options available to all students who complete the English Course after successful completion of the course.*

##### **OPTION 1: CERTIFICATE OF PARTICIPATION**

*(Awarded to all participants who successfully attend and complete the English Course tasks including class-based activities & independent study options presented in this English Course.)*

##### **OPTION 2: CERTIFICATE OF ACHIEVEMENT**

*(Awarded to all participants who successfully attend and complete the English Course tasks including class-based activities & independent study options presented in this English Course & pass the formal assessment with a pass mark of 40%.)*

*This certificate can be awarded by Imperial English UK*

*The authentication of the certificate can be verified via an online portal.*

To sum up, Imperial English L2 courses offer the solutions to the challenges imposed by completely online mode of teaching and learning. It offers independent online resources, interactive study materials, with brilliant tools to check all 4 skills of language: reading, speaking, writing and listening; well designed and constructed assessment, quality assurance and course development strategies, as well as tried and tested learner and teacher security and support system.

## **References**

1. Huertas Ether et al. 'Considerations for Quality Assurance of E-learning provision, report from ENQA working group VIII of Quality Assurance and E-learning, European Association for Quality Assurance in Higher Education AIS BL 2018, Brussels, Belgium, 2018.



2. The Ultimate Guide to online Teaching – Tips and tools to motivate and engage students in the virtual classroom, <https://tophat.com/teaching-resources/ebooks-and-guides/> retrieved on 13.01.2021.
3. Brown Sally and Sambell Kay, Contingency planning: exploring rapid alternatives to face-to-face assessment, <https://sally-brown.net/> retrieved in 01.04.2020.
4. Imperial English UK Curriculum, <https://www.imperial-english.com/courses.php>. retrieved on 11.02.2019.

**Inga Diakonidze**

### **Teaching L2 online – Challenges and Solutions**

#### **Abstract**

Going completely online, due to the circumstances created by COVID-19, put the world educators in a difficult position, linguists and L2 experts are among them. The world leading HEI worked out multiple recommendations and flexible methodology to maintain the high level of online studies. However, due to the circumstances created by the pandemic, the intensive interaction in real time, which is one of the vital factors in teaching L2, appeared to be problematic and sometimes even unrealizable in online mode. Consequently, the assessment system was also the subject of certain amendments.

The author of the article shares her experience regarding the issue and presents Imperial English Academy L2 courses, which offer the solutions to many challenges posed by online studies.

**ინგა დიაკონიძე**

### **უცხო ენის ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები**

#### **რეზიუმე**

მსოფლიო პანდემიის შედეგად შექმნილი სიტუაციის გამო, სწავლების სრულიად ონლაინ ფორმატის შემოღებამ გარკვეული გამოწვევის წინაშე დააყენა განათლების სფეროს წარმომადგენლები და მესწავლეები, მათ შორის ლინგვისტები და სფეროს ექსპერტები.

მსოფლიოს წამყვანმა უსდ-ებმა შეიმუშავეს არაერთი რეკომენდაცია და მოქნილი მეთოდი ონლაინ სწავლების შესაბამის დონეზე უზრუნველსაყოფად, თუმცა, შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, ინტენსიური ინტერაქცია რეალურ დროში, რომელიც გახლავთ უცხო ენის სწავლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, ონლაინ ფორმატში პრობლემური და ზოგჯერ რთულად რეალიზებადიც აღმოჩნდა. გარკვეული ცვლილებების გატარება გახდა საჭირო შეფასების მეთოდების ადაპტირებისათვისაც.

ავტორი გვიზიარებს საკუთარ გამოცდილებას ამ მიმართულებით და წარმოგვიდგენს Imperial English-ის აკადემიის უცხო ენის სწავლების ონლაინ კურსებს, რომელიც ენის სწავლების სრულიად ონლაინ ფორმატში გადასვლით წარმოქმნილი მრავალი გამოწვევის დაძლევის საშუალებას გვაძლევს.



NINO LOMSADZE, NINO BOCHORISHVILI

## PEDAGOGY AND TECHNOLOGY IN ONLINE EDUCATION

Today technology is a natural part of our environment. Their intention is that technology is used whenever applicable to help students learn, expand basic informational and technological literacy skills, and acquire the fluency necessary in their specific subject. This is the reason why blended learning has grown in use across schools, colleges and universities and why some are now exploring a “flipped classroom” approach to learning.

Choosing which type of education you need, can be intimidated process. In the last few years, the education sector has undergone through many changes, changes that in previous decades would have been unimaginable. No one could have anticipated the innovations that this field would witness.

Online teaching demand has increased to provide accessibility and affordability of higher education. Students need support to assist with adjustment to the online context. Lecturers in the online teaching context are covering increased student numbers, resulting in a higher workload. Effective online teaching practices can enlarge student and lecturers achievements in health sciences.

The online teacher must use technology to enlarge the course content. By promoting the positive aspects of technology, the online teacher can present a quality educational learning experience. An effective online pedagogy is one that indicates student-centered learning and applies active learning exercises. “Interactivity, faculty, and student presence are basic in an efficient online learning environment” The use of a delivery device, such as the Internet or Blackboard “should not determine the pedagogical practice.” The technology should provide “the mechanism through which the online teacher introduces the best pedagogy for that course or topic”.

This review of how technology is changing the way we teach and learn, leading to the emergence of a new pedagogy, continues to be the most suitable factor on teach online.

The use of multimedia for education is not new, but, with the internet, the selection and integration of useful sources – by both instructors and students – arises questions of quality, timely and proper usage, multiple points of view, and storing of a wide range of resources within the structure of course-specific learning objectives and evaluation practices. The use of multimedia and educational resources with instructor-delivered content arises issues of course ownership and significant learning outcomes.

Distance learning permits access to classes whenever and wherever you want. The schedule is flexible so the student can construct a personal study draft with their needs in mind. There’s no need to abandon anything because of a lack of time.

In traditional education, the student must attend classroom for every lesson. So they need to travel to work from one place to the other and that is time and cost consuming. In online studying, these expenses disappear and **there’s no need to waste sources.**

Online studying platforms suggest a **various** number of courses. From university to school, there's a course for everyone. **Students can even get a degree without stepping foot on a university or college.** Online study also counts with very diverse and useful methodologies to meet the needs of every kind of student.

Technology has played and continues to play basic role in the development and enlargement of online education. Therefore, many universities have announced an increase in the use of online tools. Over the past decade, countless attempts have sought to integrate developing Internet technologies into the teaching and studying process in higher education.

Several research studies have discussed productive pedagogical methods for online teaching. Partlow and Gibbs, for instance, found from a Delphi study of experts in instructional technology that online courses designed from constructive principles should be relevant, interactive, project-based, and cooperative, while providing learners with some choice over their studying.<sup>1</sup> Additionally, Keeton examined efficient online teaching practices based on a scheme of productive teaching practices in face-to-face instruction in higher education. In this study, Keeton interviewed faculty in post secondary systems, who graded the



productiveness of online instructional strategies. These supervisors gave higher ratings to online instructional methods that "create an environment that supports and encourages analysis," "broaden the learner's experience of the subject matter," and "elicit active and critical impression by learners on their growing experience base."<sup>2</sup>

In other study of pedagogical practices, Bonk found that only 23–45 % of online teachers overlooked actually used online activities connected to critical and creative thinking, hands-on performances, interactive labs, data analysis, and scientific simulations, although 40 % of the participants said those activities were highly important in online learning environments.<sup>3</sup>

Aligning pedagogy, subject matter, evaluation, and student access and success with appropriate technologies, software, and online strategies is the ongoing challenge of online teaching and learning.

Technology **acknowledges** us to teach differently, to meet new needs as well as old ones. Students can also study differently, with access to digital essence, mobile delivery, new forms of evaluation, study analytics to direct choices and progress, and interaction and communication with rivals around the world. As defined above, students can now participate in the distribution of knowledge and carving their own learning.

Several studies have described cases related to the use of blogs to support student collaboration and reflection.<sup>4</sup>

Some researchers also have promoted the credibility of using wikis for online student collaboration,<sup>5</sup> and podcasting is beginning to garner attention from educators for its instructional use. Although some discussions relate to effective practices in the use of derive technologies for online education, factual evidence to support or refute the effectiveness of such technologies, or, perhaps more importantly, guidance on how to use such tools effectively based on factual proof, is lacking. As faculty and instructors become more intimate with digital technologies for teaching and studying, pedagogical feedbacks and strategies are developing. Until recently, there was a clear difference between classroom-based teaching, often enriched by technologies, a management system of learning, and digital sources, and online teaching fully, in which the whole course is supported online. Now there is a much closer combination of classroom and online teaching under the general term of [blended or hybrid learning](#), where classroom time is shortened but not eliminated, with significant time being used for online learning. In the ['flipped' classroom](#), the teacher may record a lecture or support access to videos, readings, open study resources, quizzes, and other sources which students work through prior to coming to class. Classroom time is spent on interaction among students and with the teacher, whether discussion, problem-solving, case studies, practical exercises, or lab work. Materials are often arranged to be used after class for analyze and assignments. [Successful blended teaching and learning](#) require a focus on what may best be done on campus, such as face-to-face interaction between students and instructors, and what may best be done online, such as providing flexibility and extensive access to resources and experts. This requires reconsidering of teaching and learning practice, as well as classroom layouts, as more interaction takes place, involving the students, teachers, and outside experts who take part in-person or virtually. Teaching models for both classroom and online distribution must be reviewed and improved in response to new technological capacities.

As higher education institutions continue to grasp and debate online learning, it is important to conceive where the field is headed. What should the next generation of online learning environments look like? Will they move from gathering students in online environments to enlisting them in interactive and motivational activities? What technological and pedagogical advantages will they suggest? Current studies contribute a glimpse of the pedagogical and technological possibilities. Clearly, we are moving to a unique and exciting era in online teaching and studying. And may be the perfect e-storm is becoming less cloudy and perilous.

#### ***Literature:***

1. K. M. Partlow and W. J. Gibbs, "Indicators of Constructivist Principles in Internet-Based Courses," **Journal of Computing in Higher Education**, Vol. 14, No. 2, 2003, pp. 68–97.



2. M. T. Keeton, "Best Online Instructional Practices: Report of Phase I of an Ongoing Study," **Journal of Asynchronous Learning Networks**, Vol. 8, No. 2, 2004, pp. 75–100.
3. C. J. Bonk, **Online Teaching in an Online World** (Bloomington, Ind.: CourseShare, 2001).
4. J. Baggaley, "Blogging as a Course Management Tool," **The Technology Source**, July/August 2003, <<http://technologysource.org/article/blogging-as-a-course-management-tool/>> (accessed August 8, 2006); T. Martindale and D. A. Wiley, "Using Weblogs in Scholarship and Teaching," **TechTrends**, Vol. 49, No. 2, 2005, pp. 55–61; and J. A. Oravec, "Weblogs as an Emerging Genre in Higher Education," **Journal of Computing in Higher Education**, Vol. 14, No. 2, 2003, pp. 21–44.
5. B. Lamb, "Wide Open Spaces: Wikis, Ready or Not," **EDUCAUSE Review**, Vol. 39, No. 5, September/October 2004, pp. 36–48, <<http://www.educause.edu/pub/er/erm04/erm0452.asp>> (accessed August 6, 2006).

**Nino Lomsadze, Nino Bochorishvili**

### **Pedagogy and Technology in Online Education**

#### **Abstract**

The Article deals with the online learning as a key contributing factor and the emerging of a new pedagogy. Technology is changing the way we teach and learn, leading to the emergence of a new pedagogy.

The accessibility of such mode of learning offers many advantages both to students and instructors compared with traditional forms of teaching. New challenges also derive, in particular, what teaching mode will be approved and prioritized by the students, whether they support or not the teaching with the application of online technologies.

**ნინო ლომსაძე, ნინო ბოჭორიშვილი**

### **პედაგოგია და ტექნოლოგია ონლაინ განათლებაში**

#### **რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ონლაინ სწავლება, როგორც სწავლების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი და ახალი პედაგოგიკის წარმოქმნა. თუ როგორ ცვლის ტექნოლოგიები სწავლებისა და სწავლის გზას, რაც ახალი პედაგოგიკის წარმოშობის საბაბი ხდება. სწავლის ამგვარი სახით ხელმისაწვდომობა მრავალ უპირატესობას ანიჭებს სტუდენტებს და ინსტრუქტორებს, სწავლების ტრადიციულ ფორმებთან შედარებით. როგორ შეაქვს ტექნოლოგიების დანერგვას ინოვაციები სწავლება-შესწავლაში .

ასევე ჩნდება ახალი გამოწვევები, თუ რომელი სწავლების ტიპს მიანიჭებენ უპირატესობას სტუდენტები, ექნება თუ არა სტუდენტების მხარდაჭერა ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლების ეფექტურ დემონსტრირებას.



## გიორგი მათიაშვილი

### აკაკი წერეთელი რუსეთთან ურთიერთობის შესახებ

აკაკი წერეთლის რუსეთთან მიმართების საკითხი დიდი ხნის მანძილზე ცალმხრივად იყო წარმოჩენილი. ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ქართველი მწერლის შემოქმედება, ძირითადად, რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ნიადაგზე აღმოცენებულ მოვლენად მოიხარებოდა და მიუხედავად იმისა, რომ აკაკის შემოქმედების ორიგინალობას არავინ უარყოფდა, მაინც ხაზგასმით აღინიშნებოდა მასზე რუსული საზოგადოებრივი თუ ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის გავლენა. მაგრამ საქმე მთლად ასე არ იყო.

ახალგაზრდობისას, სტუდენტობის წლებშიც კი, როდესაც აკაკი რუსულ გარემოში, რუსული კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო აზრის ცენტრში მოხვდა, და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პერიოდში მყოფი ახალგაზრდობისთვის ძნელი უნდა ყოფილიყო გავლენისგან თავის დაღწევა, აკაკი წერეთელს მყარი, განონასწორებული, გონივრული პოზიცია ეკავა, საღად და კრიტიკული თვალთ აფასებდა ყოველივეს და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა, სულიერი, ზნეობრივი და იდეური ზეგავლენა არსებითად არ განუცდია. ლიტერატურულ გარემოში თავისი ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების შესახებ იგი აღნიშნავდა: „...შუა ადგილი მეჭირა... ზაიცვეს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევეს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მჯეროდა, მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს და კმარაო. *ორთა შუა მყოფს მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად*“ [გვერდნითელი 1985.90]. გერონტი ქიქოძის თქმით: „როგორც პოეტის ავტობიოგრაფიიდან ნათლად ჩანს, ... პეტერბურგის უნივერსიტეტს მაინც და მაინც ნაყოფიერი გავლენა არ მოუხდენია მის სულიერ განვითარებაზე“ [ქიქოძე, 1963, 140] რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ აკაკი წერეთელი კარგად იცნობდა და ჯეროვნად აფასებდა რუსულ კულტურას, ლიტერატურას. როგორც კირილე ლორთქიფანიძე გადმოგვცემს: „აკაკის ძალიან უყვარდა რუსული ლიტერატურისა და კრიტიკის კითხვა: მე-19 საუკუნის მგოსან ბელეტრისტებსა და კრიტიკოსებს ძალიან კარგად იცნობდა.“ [დ.გამეზარდაშვილი 1967. 274].

რუსული და ქართული ლიტერატურების საფუძვლიანი ცოდნა, ქართული მწერლობის სისხლხორცეული ინტერესები, ლიტერატურულ ურთიერთობათა პროცესის ღრმა წვდომა და კრიტიკული გააზრება აკაკი წერეთელს უქმნიდა საფუძველს, რათა ფრთხილად მოჰკვიდებოდა რუსული ლიტერატურის ზეგავლენის საკითხს და არა მხოლოდ დადებით მხარეებზე გაემახვილებინა ყურადღება. თუ ეროვნული მწერლობის განვითარების პროცესი არ გამომდინარეობს ქვეყანაში არსებული ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებებიდან, არ არის დაფუძნებული ეროვნულ ნიადაგზე და ექვემდებარება უცხო ლიტერატურის გავლენას, რომელიც, გარკვეულწილად, არააქტუალურ თემატიკას, მისი გამომსახველობითი საშუალებებისათვის, მხატვრული აზროვნებისათვის არაბუნებრივ, ხელოვნურ ფორმებს ახვევს თავს, მაშინ ლიტერატურული ურთიერთობები სარგებლობის ნაცვლად, ზიანის მომტანია. ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის მექანიკურ გადმოღებას სასიკეთო შედეგი არ მოაქვს; ამის თაობაზე აკაკი აღნიშნავდა: „...ნიგილიზმად წოდებული სენი რუსეთში კანონიერი მოვლინება იყო, როგორც მაშინდელ დროთა ვითარების ძალით, რუსეთისავე ცხოვრებიდან გამოწვეული, მაგრამ ჩვენში კი წამხედურობით იყო გადმოტანილი და ნაძალადევი და ამიტომაც უფრო მეტი ვნება მოგვიტანა.“ [წერეთელი 1961,ტ.13.243.] აკაკი ზოგჯერ გაზვიადებულად უარყოფითად წარმოგვიდგენს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის ზოგიერთ ტენდენციას: „ჩვენი მწერლობის ნაკლიც სწორედ ეს არის, რომ ის არ არის მშობლიურ დარჯაკში გატარებული, ავტორისგან შესისხლ-ხორცებული და მხოლოდ წარმოდგენითა და მიმბაძველობით არის გამოქანდაკებული.“ [წერეთელი 1961,ტ.13.356]. აკაკის ლიტერატურულ წერილებში კიდევ უფრო მკვახე შეფასებები გვხვდება, 1878 წელს ქართული მწერლების გარკვეული ნაწილის შესახებ იგი წერდა: „იმას არ უყურებს: ცივ ქვეყანაში შედგენილი რეცეპტი და იქ შეზავებული წამალი გამოსადეგი იქნება თუ არა, ცხელ – ქვეყნისათვის. ღმერთთან სწორი სჯობს, ესევე ემართება ჩვენებსაც: ამას ნათლად გვიჩვენებს ჩვენი ახლანდელი ლიტერატურა, რომელშიაც მშობლიური, ნაციონალური არა არის რა. ის არის მხოლოდ მონური მიბაძვა რუსული ლიტერატურისა.“ [წერეთელი 1960,ტ.11.439]. აკაკის





სამართლიანად მიაჩნდა, რომ ლიტერატურული ზეგავლენა რიგ შემთხვევაში ნეგატიურად აისახება ეროვნული მწერლობის განვითარების პროცესზე. „ჩვენ კი, რადგანაც რუსეთის ნასუფრალით ვიკვებებით . . . მათზე გვიან გამოვხრავთ ხოლმე ნაწყალობებს.“ [წერეთელი 1961, ტ. 1.39]

ლიტერატურულ ურთიერთობათა გარდა, აკაკი თავის პუბლიცისტიკაში საერთოდ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ურთიერთობებზეც ამახვილებდა ყურადღებას. აკაკი კარგად იცნობდა რუსეთს, მისი მმართველი წრეების თვითმპყრობელურ იმპერიულ მისწრაფებებს, ობიექტურად აფასებდა იმპერიის შოვინისტურ, ხშირად ცბიერ მიზნებს და აქტიურად იბრძოდა მათ წინააღმდეგ. ამ ბრძოლის სიყვარულს პოეტს მკაცრი შეფასებებისკენ უბიძგებდა. იგი აკრიტიკებდა რუსული ხასიათის უარყოფით თვისებებს და კრიტიკისას უშუალოდ რუსულ მწერლობაში ასახულ მაგალითებს იმონებდა. ამგვარი მეთოდი უფრო თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად წარმოაჩინდა აკაკი წერეთლის პოზიციას. აკაკი ა. ოსტროვსკის შემოქმედების განხილვისას ყურადღებას ამახვილებდა რუსი დრამატურგის მიერ პერსონაჟთა ხასიათის ღრმა ფსიქოლოგიური შრეების წვდომისა და რეალისტურად ასახვის უნარზე, რის საფუძველზეც დაასკვნდა, რომ ოსტროვსკი კონკრეტული საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელთა ხატვისას, არ შემოიფარგლებოდა მათი, როგორც მხოლოდ კონკრეტული სოციალური წრის ტიპებად დახასიათებით და თავის პერსონაჟებს უფრო ფართო, ზოგადეროვნულ ასპექტში წარმოადგენდა. აკაკი წერეთელი წერდა: „მისგან დანიშნულ და დახატულ ტიპებში ჩვენ მარტო ვაჭრებს და ან მარტო რომელიმე კერძო წრეს კი არ ვხედავთ, საზოგადოდ რუსეთის ტიპებს ვუყურებთ.“ [წერეთელი 1960, ტ. 12.34-35]. როგორც ვხედავთ, აკაკიმ შენიშნა, რომ ა. ოსტროვსკი რუსეთის ვაჭართა კლასის ასახვისას, თვალსაჩინოდ წარმოადგენდა ზოგადად რუსი ეროვნების ადამიანისთვის დამახასიათებელ თვისებებს: „ოსტროვსკიმ, ვაჭრების ხასიათის გამოხატვის დროს, მთელი რუსეთი გამოხატა და დაგვანახა.“ [წერეთელი 1960, ტ. 1., 36]. თავის წერილში აკაკი განიხილავს ოსტროვსკის პერსონაჟების კრებით სახეს და ასე აყალიბებს თავის პოზიციას მათ მიმართ: „ოსტროვსკის ტიპებს,“ აკაკის შეხედულებით, „სწამს ქვეყანაზედ მხოლოდ ერთი ძალა – ფული, და ესმით კაცთა შორის მხოლოდ ორგვარი დამოკიდებულება: ბატონობა და მონობა.“ [წერეთელი 1960, ტ. 12.35). აკაკი ოსტროვსკის მიერ დახატული ადამიანების თვალთმაქცურ ბუნებას წარმოაჩენს და აკრიტიკებს. ეს ტიპი მოძალადეა, მრავალი ბოროტების ჩამდენი, რის გამოსყიდვასაც, ღვთის წინაშე, გლახაკისათვის სამონყალოდ მიგდებული რამდენიმე გროშით ცდილობს; გარდა ამისა „დიდიდან საღამომდე მისის პირისაგან საზარელი უშვერება ამოდის, მაგრამ რა ენაღვლება, იცის, რომ დანიშნულ დროზედ სალოცავად წავა და მოინანიებს. ღორ-მუცელობს, ლოთობს და უძღვობს, მაგრამ მაგიერათ მარხვას ინახავს, მეძაობს, მრუშობს, მაგრამ მღვდლის პატივი იცის: ხელზედ ემთხვევა“. . . [წერეთელი 1960, ტ. 12.36] ესე იგი სინანული, ღმერთის რწმენა, მონყალება, ქველმოქმედება, სინძინდე ამ ადამიანების ბუნებრივი მოთხოვნილება, პიროვნული თვისება კი არ არის, არამედ მხოლოდ თვალთმაქცობაა, სიცრუეა, რომელსაც საკუთარი ჭეშმარიტი ბუნების შესანიღბად იყენებენ.

აკაკის აზრით, როგორც უკვე აღინიშნა, ოსტროვსკის მიერ დახატული საზოგადოების სხვადასხვა კლასებისა თუ ფენების წარმომადგენლებს შორის, არსებითი განსხვავება, ზოგადად ადამიანური ბუნების, პიროვნული თვისებებების გამოვლენის თვალსაზრისით, არ არსებობს: „ხასიათი და ზნე კი არ ასხვავებთ ამ პირებს, მხოლოდ მოედანი: დიდია – დიდათ გარბის, პატარაა – პატარათ. ძალა, სურვილი და მოქმედება ერთი და იგივეა.“ [წერეთელი 1960, ტ. 12.36].

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, აკაკი წერეთელმა ოსტროვსკის შემოქმედების განხილვის საშუალებით გამოხატა თავისი შეხედულება რუსული ხასიათის უარყოფითი თვისებების შესახებ.

სხვადასხვა პუბლიკაციაში ქართველი პოეტი ცდილობს განიხილოს რუსეთის ისტორიული განვითარების კანონზომიერებები, ჩანვდეს, ამოიყნოს რუსი ერის ბუნების, ხასიათის თავისებურებები. აკაკი მიიჩნევს, სრულიად სამართლიანადაც, რომ ერის ფოლკლორში აირეკლება ერის დამახასიათებელი თავისებურებები. ფოლკლორის პერსონაჟის ხასიათში აისახება ერის სულიკვეთება, მისწრაფებები, ოცნება, ზნეობა და ა.შ. რუსული ფოლკლორის ერთ-ერთ- ყველაზე პოპულარული გმირი არის „ივან ღურაკი“ ანუ „სულელი ივანე“, სწორედ ამ პერსონაჟის თვისებების მიხედვით მსჯელობს აკაკი თავისთვის საინტერესო საჭირობოროტო საკითხზე. იმისთვის, რომ უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთოს საკუთარი პოზიცია, აკაკი რუსული ფოლკლორის გმირს უდარებს ევროპული ლიტერატურის პერსონაჟებს ფალსტაფსა და დონ-კიხოსს, ამ ორის შესახებ აღნიშნავს, რომ თუ ფალსტაფი და დონ-კიხოტი „ნაციონალურიც არის და მსოფლიოცა“... „ივან ღურაკი ეს არის მხოლოდ ნაციონალური ტიპი, საკუთრად



რუსეთის ნიადგის ნაყოფი, რომელიც თავის კუბა კვიცზე ზის, თვითონაც არ იცის, სად მიდის და რისთვის მიდის, მაგრამ მისი ბედი, რაღაც გარეშე ძალა, ყველგან, ყოველთვის ეხმარება და ამარჯვებინებს.“ [წერეთელი 1961, ტ. 13. 125]

თავისი მსოფლმხედველობით, მოქალაქეობრივი მრწამსით ჭეშმარიტი პატრიოტი აკაკი, ინტერნაციონალისტი იყო. თავის ამ პოზიციას პოეტი შემდეგ სტრიქონებშიც ავლენს:

საერთაშორისო მტკიცე კავშირი, // ეს არის ქრისტეს სწავლა და მცნება, // საყოველთაო, სამარადისო, – // და არ საწუთრო სიზმარ-ოცნება.“ [წერეთელი 1954. 331]

ამგვარ პოზიციებზე მყოფი აკაკი სხვა ერების წარმომადგენლებისგანაც კეთილმეგობრულ დამოკიდებულებას ელოდა და მოითხოვდა. ამიტომ ცდილობდა წარმოეჩინა ერთა შორის ქრისტიანულ კაცთმოყვარეობაზე დაფუძნებული ურთიერთობების მაგალითები, ამასთანავე ემხილებინა შოვინიზმი, მცირე ერების ჩაგვრის, გადაგვარების თვითმპყრობელური ზრახვები. მსცოვანი პოეტი წერდა: „ჩვენ . . . დიდათ ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი“. . . სწორედ „ძმური კავშირის“ მოძულე, ქართველი ერის გადაჯიშების პოლიტიკისა და ამის მოსურნე პოლიტიკოსების წინააღმდეგ იმალლებდა ხმას აკაკი წერეთელი. იგი ღრმად წვდებოდა რუსეთის ცბიერ, ფარისევლურ პოლიტიკურ კურსს და მიიჩნევდა, რომ რუსეთმა ვერაგი მოქმედებით მიაღწია იმას, რასაც საუკუნეების მანძილზე ძალადობით ვერ ახერხებდა საქართველოს ვერცერთი მტერი. „როდესაც მტერი საქართველოს ერთ რომელსამე კუთხეს მიაღებოდა და დაიპყრობდა ერთ რომელსამე ნაწილს, მაშინ ქართველობა მეორე კუთხეში, მეორე მხარეში გადადიოდა, იქ იფარავდა თავს, იქ ძლიერდებოდა“... საქართველო, ქართველები „არასოდეს არ ყოფილან ერთსა და იმავე დროს ერთიანათ დაპყრობილი და ამ საუკუნის დასაწყისამდე არც შეეცნებულა მისი პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობა.“ [წერეთელი, 1960, ტ. 12. 72].

სახელმწიფოებრიობა გაუქმებული ქვეყანა ასიმილაციის საშიშროების წინაშე იდგა. ერთ, აკაკის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ და დღემდე ნაკლებად ცნობილ ლექსში, პოეტი წერდა: „სამღვდელოებას და მის ეგზარხოსს// აებნათ ქრისტეს ნამოძღვრი კვალი, // შეჰქონდათ ხალხში უსჯულოება, // საქრისტიანო უარპყვეს ვალი. // გარეგნად მღვდლები, შინაგნად მგლები// თავს არ იტეხდნენ ქრისტეს მცნებაზე, // და გამაძღრები ფიქრობდნენ მხოლოდ,

// როგორც უანდრები, გარუსებაზე“.

მართლაც, მეფის რუსეთის ცბიერი აგრესიული პოლიტიკური კურსი ძირს უთხრიდა საქართველოს ეროვნულ თვითმყოფადობას. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ღრმად ჩახედული აკაკი ობიექტურად, ფხიზლად აფასებდა ვითარებას და თვალნათლივ ხედავდა, რომ ქართველთა გადაგვარების ერთ-ერთ საშუალებად დამპყრობლები ერის ზნეობრივ გახრწნას მიიჩნევდნენ, რადგან ზნეობადაკარგული მასის საკუთარი ნებისთვის დამორჩილება დიდ სირთულეებთან აღარ იქნებოდა დაკავშირებული. აკაკი წერდა: „ამ უკანასკნელმა საუკუნემ, რომელიც სულ სხვაგვარ პოლიტიკას დაადგა, სულიც შეუბოროკა ქართველობას და ხორციც; ხორციელად ვითომ მშვიდობა მიანიჭა, მაგრამ ყოველგვარი მისი მოქმედება, ყოველი ბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხრწნა, მოეკლა და კიდევაც მიაღწია მიზანს.“ [წერეთელი 1961, ტ. 14. 352].

სულიერი გადაგვარების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება ქრისტიანული მსოფლმხედველობის, მორალის ამოძირკვა იყო. ეკლესიის რუსიფიკაციით, როგორც აკაკის მიაჩნდა, დამპყრობლები ამ მიზნის მიღწევას ცდილობდნენ. „ამ ბოლო დროს მაინც, ხალხში ვრცელდება უკულმართი აზრი, რომ ვითომც უნდა მოისპოს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე და მის ნაცვლად შემოიღონ სლოვენური... დაუჯერებელია!... როგორ? ის ენა, რომელზედაც მეოთხე საუკუნეშია შემოღებული ქრისტიანობა და რომელმაც თეფესმეტი საუკუნის განმავლობაში წმინდად, უმწიკვლოდ გაატარა მართლმადიდებლობა, უნდა გაუქმდეს და ხალხისგან ადვილად გასაგები ენის ნაცვლად შემოვიდეს, როგორც საქრისტიანო ენა, გაუგებარი სლოვენური? მაშინ ხომ უნდა გადავარდეს რჯული სრულიად საქართველოში და ეს ხომ სამარის გათხრა იქნება იმ ხალხისთვის, რომელიც სულითა და გულით მიენდო რუსეთს?“ [წერეთელი 1961, ტ. 14. 399]. იგივე პოზიციას გამოხატავს აკაკი წერეთელი თავის ლექსში: „მთელ საუკუნის ბატონ-მონობამ// დავგებორკილა ხელი და ფეხი// და რჯულთან ერთად ეროვნებასაც// საშვილიშვილოდ თავს დასცა მეხი“ [წერეთელი 1954. 288].



მეორე სფერო, რომელიც ნოციერ ნიადაგს ქმნიდა რუსეთის დამპყრობლური ზრახვების განსახორციელებლად, იყო განათლება. "აღმრბდელებიცა ჩვენი შვილების//მხოლოდ ჰფიქრობდნენ გარუსებაზე//და არა მათის მოწაფეების//გრძნობა-გონების ამალღებაზე." აკაკი მწვავედ ილაშქრებდა რუსიფიკატორული განათლების სისტემის წინააღმდეგ. რუსეთის მთავრობა, ერთი შეხედვით, თითქოს, საქართველოში განათლების გავრცელებაზე ზრუნავდა, ხსნიდა მრავალ სხვადასხვა სასწავლებელს, თუმცა ყველა მათგანში სწავლების ენა რუსული იყო. არსებულ ვითარებაში, როდესაც განათლების მიღება ზოგადად საშური საქმე იყო, აკაკი რუსულ ენაზე განათლების მიღების წინააღმდეგი არ იყო, თუმცა ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ამასაც ვერ ახერხებდა, რადგან დაწყებითი კლასებიდანვე რუსულის უცოდინარ ბავშვებს მათთვის გაუგებარ უცხო ენაზე სწავლას თხოვდნენ. ამ შემთხვევაში აკაკი გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ დაწყებით კლასებში სწავლება ძირითადად ქართულ ენაზე ყოფილიყო და პარალელურად მოსწავლეები რუსულშიც განაფუიყვნენ. მაგრამ რუსეთის განათლების სისტემის მესვეურებს თავისი მიზნები ჰქონდათ, მათ გეგმას უნდა ეიძულებინა მშობელი, თუ კი შვილისთვის განათლების მიცემა სურდა, ადრეული ასაკიდანვე რუსული ესწავლებინა.

ქართველთა გარუსებისკენ იყო მიმართული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტი – სასამართლო: „სამსჯავროებში აღარსად იყო//აღარც კანონი, არც სამართალი//და თვითოველ მსაჯულ-თავანსაც//გარუსებისკენ ეჭირა თვალი.“ სასამართლოში პროცესები, საქმის წარმოება უმეტესობისთვის უხო, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის თაობაზე აკაკი წერდა: „...უბედურება ეს არის, რომ საქმე წარმოებს ჩვენს უცნობ ენაზე და მთარგმნელები კი არა გვყავს, მაშინ როდესაც ყველაფერი მათგან დამოკიდებული. რაც უნდა იმას იტყვიან, თუ გამომძიებელმა და მსაჯულმა თვითონ არ იცის ჩვენი ენა, უნდა დაღუპავენ საწყალ კაცს ცრუ და უხეირო გადმოთარგმნით და უნდა არა“ [წერეთელი 1960, ტ. 11. 263] აქ აღნიშნული გარემოება ერთის მხრივ უსამართლო, არაკანონიერი გადაწყვეტილების საფუძველს ქმნიდა და ამასთანავე კიდევ ერთხელ გამოკვეთდა ქართულის დაკნინების, განდევნის ტენდენციას და რუსული ენის დამკვიდრების აუცილებლობას.

ფარისევლური ეროვნული პოლიტიკის პარალელურად რუსული მმართველობა არც ძალადობას ერიდებოდა. ამის წინააღმდეგ ილაშქრებდა აკაკი წერეთელი როგორც თავისი მხატვრული შემოქმედებით, ასევე პუბლიცისტიკით. მთელი საქართველო შეძრა 1905 წლის 22 ოქტომბერს „ჭემბარით რუსთა კავშირისა“ და რუსეთის ჯარის მიერ მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის დაუნდობელმა რბევამ, რომლის ცალკეულ დეტალებს თითქმის დოკუმენტური სიზუსტით აღწერს აკაკი თავის ლექსში „კოჭაობა.“ „...ჩამჯდარმა თოფ-იარაღში სკვითების ჯარმა ჩამოიარა //და დაერია მოულოდნელად!.. შეუბრალებლად სისხლი დაღვარა.“ [წერეთელი 1954. 167] ვანდალური აქციის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ეპიზოდი იყო გიმნაზიის 8 წლის მოსწავლის მკვლელობა: „...სისხლიც წითელი მოთქრიალებდა, //თავს დაჰყურებდა მას ჯარისკაცი// ძღვევამოსილი დაჰხარხარებდა.“ [წერეთელი, 1954. 169] მსგავსი მაგალითები მრავლად მოიპოვება აკაკის შემოქმედებაში.

აკაკი წერეთელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ობიექტურად აფასებდა და არც ცალკეულ პოზიტიურ ფაქტებზე ხუჭავდა თვალს, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ ზოგად შტრიხებში, სქემატურად მაინც წარმოგვედგინა დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ამ საკითხისადმი დამოკიდებულების ლიტერატურის ისტორიაში შედარებით მწირად წარმოჩენილი მხარე. ნათლად იკვეთება, რუსეთს არ შეუცვლია ზეგავლენის, აგრესიის, ღია თუ ფარული მოქმედების მეთოდები. აკაკის ეპოქისდროინდელი ბევრი მწვავე პრობლემა კვლავ არსებობს და აღნიშნულ საკითხზე არც აკაკის ნააზრევს დაუკარგავს აქტუალობა.

### დამონებული წყაროები

1. გვერდნითელი გურამ, შემდგენელი. 1985. ქართული პროზა, წიგნი 9. ქართული პროზა. თბილისი: „საბჭოთა საქართველო.“
2. გამეზარდაშვილი დავით, 1967. „ქართული კრიტიკული რეალიზმი: აღმოცენება და დამკვიდრება, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. ქიქოძე გერონტი, 1963. *რჩეული თხზულებანი (ლიტერატურული წერილები და პორტრეტები*, ტ. 1. თბილისი. „საჭოთა საქართველო.“



4. წერეთელი აკაკი, 1954. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმედ ტომად*, (ლექსები), ტ.3. თბილისი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.“
5. წერეთელი აკაკი, 1960. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმედ ტომად*, (პუბლიცისტური წერილები), ტომი მე-11. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
6. წერეთელი აკაკი, 1960. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმედ ტომად*, (პუბლიცისტური წერილები), ტომი მე-12. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
7. წერეთელი აკაკი, 1961. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმედ ტომად*, (პუბლიცისტური წერილები), ტომი მე-13. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“.
8. წერეთელი აკაკი, 1961. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმედ ტომად*, (პუბლიცისტური წერილები), ტომი მე-14. თბილისი „საბჭოთა საქართველო“.

**გიორგი მათიაშვილი**

**აკაკი წერეთელი რუსეთთან ურთიერთობის შესახებ**

**რეზიუმე**

საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობა ამკვიდრებდა თვალსაზრისს, რომ აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა, ლიტერატურულ – ესთეტიკური პრინციპები, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ზეგავლენით ჩამოყალიბდა. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ეს თვალსაზრისი მცდარია და რუსული ზეგავლენა აკაკის შემოქმედებასა და პუბლიცისტურ ნააზრევში ნაკლებად ვლინდება. სტატიაში წარმოჩენილია, რომ აკაკი წერეთელი ღრმად წვდებოდა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის არსს, ხილულ თუ შეფარულ მეთოდებს და თავისი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებით უკომპრომისოდ ებრძოდა მათ.

**Giorgi Matiashvili**

**Akaki Tsereteli about the Relationship with Russia**

**Abstract**

Soviet literary studies used to inculcate a point of view, that Akaki Tsereteli's worldview, literary and aesthetic principles, social and political attitudes were established under the influence of Russian revolutionary-democratic ideology. The author suggests that this standpoint is false, and Russian influence is revealed to a lesser extent in the creation and publicistic works by Akaki Tsereteli. The article highlights that Akaki Tsereteli had a deep insight of Russian colonial policy, its direct and indirect methods and fought them uncompromisingly by his fictional and publicistic texts



## ავტორები

- ნინო ბოჭორიშვილი** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- ნინო ბოჭორიშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- ინგა დიაკონიძე** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- თამარ ებრაღიძე** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- დავით ვეკუა** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- ნიკო კვარაცხელია** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- ანა კობიაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი
- გივი ლობჯანიძე** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- დავით ლობჯანიძე** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- ნინო ლომსაძე** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მონვეული სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- გიორგი მათიაშვილი** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- თალიკო ჟვანია** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- მაია უკლება** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- ედიშერ ფუტკარაძე** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
- ნინო ხუნაშვილი** - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მონვეული სპეციალისტი



## AUTHORS

**Nino Bochorishvili** –Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor

**Nino Bochorishvili** - Georgian Technical University, PhD

**Inga Diakonidze** - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor

**Tamar Ebralidze** - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor

**Davit Vekua** - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor

**Niko Kvaratskhelia** - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor

**Ana Kobiashvili** – Georgian Technical University, Professor

**Givi Liobzhanidze** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor,

**Davit Lobzhanidze** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor

**Nino Lomsadze** – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, invited specialist, PhD

**Giorgi Matiashvili** - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor

**Taliko Zhvania** - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor

**Maia Ukleba** - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor

**Edisher Putkaradze** – Sokhumi State University, Professor; T. Tsereteli Institute of State and Law, Senior  
Researcher

**Nino Khunashvili** - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, invited specialist

ფასი სხეულშეკრულებლო





## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბოროსაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com